ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№136 (12815) | 12 ივნისი პარასკევი 2009 | ფასი 60 თეთრი



მსოფლიოს სატრანსფერო რეკორდი

# 96 მილიონი €

# მანჩესტერი თანახმაა, რონალდო რეალს მიჰყიდოს

» გვერდი 6

# დიეგოს მორიგი კრახი

» გვერდი 7



## კიდევ ერთი ქართველი ალიარეს:

მეტრეველი იტალიის ახალგაზრდული ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში



» გვერდი 14



# ახალგაზრდული ნაკრები უმწვრთნელოდ

ფედერაციისთვის შეთავსება მიუღებელია

» გვერდი 2 ინტერვიუ კახა ცხადაძესთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდული ნაკრები

# ფეხბურთის ფედერაცია: პოსტების შეთავსება მიუღებელია

## ცხადაძემ, ყოველდღიური მუშაობა მერჩივნაო...



კახა ცხადაძე

**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე ბაქოს „ინტერის" მთავარ მწვრთნელად რომ დაინიშნა, ეს უკვე გამცნეთ. აზერბაიჯანის ვიცე-ჩემპიონთან ერთად მუშაობას ცხადაძე 13 ივნისიდან შეუდგება. მანამდე კი ფეხბურთის ფედერაცია გადაწყვეტს, დასაშვებია თუ არა, რომ ახალგაზრდულის დამრიგებელმა ნაკრებშიც ილვაწოს და აზერბაიჯანულ კლუბშიც...**

**ალბანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან გასვლითი მატჩის (1:0 მასპინძელთა სასარგებლოდ) შემდეგ ცხადაძე საქართველოში დაბრუნდა და „ლელოს" გაესაუბრა.**

**- ბატონო კახა, „ინტერში" თქვენმა დანიშვნამ გაურკვევლობა წარმოქმნა. ახალგაზრდული ნაკრებიდან მიდიხართ თუ შეთავსებით იმუშავებთ?**

- ეს ჯერ არ ვიცი. ახალგაზრდა მწვრთნელი ვარ და მიყვარს ყოველდღიური მუშაობა, კვირიდან კვირამდე ვარჯიშებისა და შეკრებების ლოდინი ძნელია... და ამ დროს, აზერბაიჯანიდან ძალიან საინტერესო შემოთავაზება მივიღე. „ინტერი" ძალიან ძლიერი, ამბიციური, მდიდარი, ინფრასტრუქტურით გამართული კლუბია. იქ ყოველდღიური პრაქტიკა მექნება და სწორედ ამას აქვს ჩემთვის მნიშვნელობა, მწვრთნელის განვითარებისთვის ეს აუცილებელია... თანაც, კლუბი წინააღმდეგი არ არის, რომ ნაკრებშიც ვიმუშაო, ყოველ შემთხვევაში, საქმე არ გაფუჭდება. რაც მთავარია, თანამოაზრეებთან ერთად ახალგაზრდულ ნაკრებში უკვე ჩამოვაყალიბე სისტემა, გუნდის ბირთვი და დარწმუნებული ვარ, მათთან ერთად საქმეს კარგად გავუძლვები. ჩემი გუნდი ამისთვის მზად არის.

**- და ფედერაცია ამაზე თანახმაა?**

- ნოდარ ახალკაცი არ იყო თბილისში და მასთან დალაპარაკება ვერ მოვახერხე. რევაზ არველაძემ და გოგი ქავთარაძემ კი ჩემი ნათქვამი საკმაოდ ნორმალურად მიიღეს. ბოლოს და ბოლოს, მგონი, მისაღები უნდა იყოს ფედერაციისთვის, რომ ქართველი მწვრთნელი გაიზარდოს. „ინტერში" წასვლის გადაწყვეტილება სწორედ ამის გათვალისწინებით მივიღე.

**- ნაკრებში სელექცია დაამთავრეთ?**

- სელექცია ალბანეთში დავამთავრე, უახლოესი რეზერვიც გავსინჯე...

**- ალბანეთთან თამაშზე რას გვეტყოდით?**

- სხვათა შორის, ბიჭებმა საკმაოდ კარგად ითამაშეს, თუმცა ბოლო 10-15 წუთი ძალიან დაიღალნენ. თავის გამოჩენის შანსი ყველა კანდიდატს მივეცი. სწორედ ამიტომ ვთქვი, სანაკრებო სელექცია ალბანეთში დავასრულე-მეთქი. მიხარია, რომ სანამ ბიჭებს ენერგია ჰქონდათ, დალაგებული ფეხბურთი აჩვენეს. ერთადერთი, ფორვარდებით ვარ უკმაყოფილო - უამრავი მომენტიდან ერთიც ვერ გამოვიყენეთ, ასე არ შეიძლება. საკმაოდ კარგად გამოიყურებოდნენ ნემსაძე, შონია, თარხნიშვილი, კაკუბავა, ხიდეშელი, თოთაძე, თომაშვილი, მაისურაძე... აქტიურად ჩაერთვნენ თამაშში კბილცეცხლაშვილი და ივანიშვილი. მხოლოდ თარგამაძისა და ფანცხავას თამაშით ვარ უკმაყოფილო. თუ მათ საქმისადმი დამოკიდებულება არ შეცვალეს, ასე წინ ვერ წავლენ, შანსი არ არის...

**- რაც შეეხება - „ინტერს". გეყოლებათ თუ არა გუნდში ქართველი ფეხბურთელი?**

- დიახ, მეყოლება, მაგრამ ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი, მის ვინაობას მოგვიანებით გავამხელ.

**- დაბოლოს, როგორც შევიტყვეთ, კიევში პროლიცენზიის აღებას შეეცდებით...**

- სწავლება ოლიმპიურმა კომიტეტმა დამიფინანსა და მსურს, მის პრეზიდენტ გია ნაცვლიშვილს მადლობა გადავუხადო.

**მერაბ მამულაშვილი**

*P.S. პროფლიგის თავკაცმა და ამავდროულად ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა პოსტების შეთავსებასთან დაკავშირებით საკმაოდ ლოიალური პოზიცია დააფიქსირა: „ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ ცხადაძე ბაქოელებს მოელაპარაკება. ვფიქრობ, სანაკრებო მუშაობასთან ერთად, ჩვენს მწვრთნელებს კლუბებში ყოველდღიური სამწვრთნელო პრაქტიკაც არ აწყენდათ", -განაცხადა რამიშვილმა.*

*გუშინ შუადღისას ფეხბურთის ფედერაციაში ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის საკითხზე იმსჯელეს და საბოლოოდ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ პოსტების შეთავსება მიუღებელია - როგორც მწვრთნელისთვის, ისე ახალგაზრდული ნაკრებისთვის.*

დია 2009



# დღეს საუკეთესოები დასახელდებიან

დღეს 18:00 საათზე „დია 2009-ის" გალაკონცერტი გაიმართება. პროფესიული ფეხბურთის ლიგის ხელმძღვანელობა მე-20 ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეებს, მწვრთნელებს, მსაჯებსა და პროექტებს დაასახელებს. ამასთან დაკავშირებით ლიგის ხელმძღვანელებმა გუშინ პრესკონფერენცია გამართეს.

**დიმიტრი რამიშვილი**, პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი: *„სეზონის საზეიმო გალაკონცერტით დასრულება ლამაზ ტრადიციად ჩამოყალიბდა. ვფიქრობ, ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციაში ჩვენმა პროექტმა დადებითი როლი შეასრულა. ამჯერად, ღონისძიების სპონსორია შამპანურის ქარხანა „ბაგრატიონი 1882". გალაკონცერტიც ავჭალაში, ამ კომპანიის საბანკეტო დარბაზში გაიმართება. ჩვენი პრიორიტეტი ქართული ფეხბურთია, მისი პოპულარიზაცია და საუკეთესოების გამოვლენაც ამას ემსახურება. ისევე, როგორც წინა წლებში, გამარჯვებული ათ ნომინაციაში გამოვლინდება. მედიაწარმომადგენლებმა საუკეთესო მეკარე, მცველი, ნახევარმცველი, თავდამსხმელი, მწვრთნელი, მსაჯი და „წლის აღმოჩენა" დაასახელეს. ეროვნული ჩემპიონატისა და წლის გამორჩეული ქართველი ფეხბურთელის გამოვლენა კი უმაღლესი ლიგის გუნდების მთავარ მწვრთნელებს, კაპიტნებს, პირველობის მომსახურე დელეგატებსა და დამკვირვებლებს მივანდეთ. რაც შეეხება „წლის პროექტს", მას პროფლიგის შეხედულებით გამოვავლენთ. უდავოდ გამოსარჩევია ის ხალხი, ვინც ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის უდიდეს საქმეს აკეთებს. მიხარია, რომ კომპანია „ბაგრატიონი 1882" გვერდში დაგვიდგა და ამ საღამოს სპონსორობა იკისრა. „დია 2009-ზე" ტრადიციული შოუს ელემენტებიც იქნება. საზოგადოებას შონზო და მისი ჯგუფი გაამხიარულებენ, იმღერებს სალომე კორკოტაშვილი".*

ლიგის პრეზიდენტს კითხვა მედიაკომპანია „კოლხიდასთან" დაკავშირებითაც დავუსვით - არის თუ არა ეს მედიაკომპანია მზად, შეასრულოს ვალდებულება და გადაუხადოს კლუბებს კუთვნილი პრემიალური თანხა?

*„შარშანდელი სეზონის თანხა „კოლხიდამ" კლუბებს იანვარში გადაუხადა, რასაც პროფლიგასთან კომპანიის მიერ გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა. „კოლხიდა" პროექტს ახალ სეზონშიც გააგრძელებს. ამის ხელისშემშლელ ფაქტორს ვერ ვხედავ", - განმარტა რამიშვილმა.*

**მერაბ მამულაშვილი**

ზესტაფონი

# სლოვენიაში 22 ფეხბურთელით

## მარიბორი, პოლონია, ზაგრების დინამო... მელქაძემ ზესტაფონი დატოვა

ევროპის ლიგაში საქართველოდან სამი გუნდი იასპარეზებს. თბილისის „დინამოსა" და რუსთავის „ოლიმპის" გარდა, გათამაშებაში „ზესტაფონიც" დაიცავს ჩვენი ქვეყნის ღირსებას. იმერლებმა ევროტურნირებისა და საერთოდ, ახალი სეზონისთვის მზადება უკვე დაიწყეს. **გია გეგუჩაძის** გუნდი დღეს გამთენიისას მოსამზადებელ შეკრებაზე გაემგზავრა - სტამბოლის გავლით სლოვენიისკენ აიღო გეზი. როგორც კლუბის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა **სერგო ფუტკარაძემ** გვითხრა, სლოვენიაში გუნდი მარიბორთან ახლოს, უძველეს ქალაქ პტუიში დაბანაკდება. ზესტაფონელები „გრანდ ოტელ პრიმუსში" 26 ივნისამდე გაჩერდებიან. ფუტკარაძის თქმით, 14, 17, 21 და 25 ივნისს გეგუჩაძის შეგირდები 4 ამხანაგურ მატჩს ჩაატარებენ. რაც შეეხება სპარინგპარტნიორებს, სამი მეტოქის ვინაობა ცნობილია - სლოვენიის ჩემპიონი „მარიბორი", პოლონეთის მეოთხეადგილოსანი „პოლონია" და ხორვატიის ჩემპიონი ზაგრების „დინამო". რაც შეეხება მეოთხე ტესტმატჩს, ამ საკითხზე მოლაპარაკებები გრძელდება და მეტოქის ვინაობა მალე გაირკვევა.

ბოლო 10 დღის განმავლობაში „ზესტაფონში" რამდენიმე ცვლილება მოხდა. შეგახსენებთ, რომ იმერულ კლუბს 5 ახალი ფეხბურთელი შეემატა - აზერბაიჯანის „გაბალადან" 30 წლის ნახევარმცველი **თორნიკე აფციაური**, რომელიც **ალენ ჟირესის** მწვრთნელობისას ეროვნულ ნაკრებში იყო გამოძახებული; ასევე ეროვნული გუნდის ყოფილი წევრი, 23 წლის მცველი **ზაალ ელიავა**, რომელიც რიგის „სკონტოში" ასპარეზობდა და გასული სეზონი თბილისის „ლოკომოტივში" ჩაამთავრა; 26 წლის **გიორგი ონიანი**, ვინც იენის „კარლ ცაისის" შემდეგ რუსთავის „ოლიმპში" დაბრუნდა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო; კიშინიოვის „დაჩიას" 23 წლის ფორვარდი **ჯაბა დვალი**, რომელიც 2 წლის წინ მოლდოვაში საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის სტატუსით წავიდა. მეხუთე ახალწვეული კი 17 წლის მეკარე **კახაბერ მეშველიანია**, რომელიც საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებსა და ქუთაისის „კოლხიდაში" გამოდიოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ „ზესტაფონში" სინჯებზე მყოფმა უკრაინელმა მცველმა **ანტონ პრიხოდკომ** იმერული კლუბისგან კონტრაქტი ვერ დაიმსახურა. კლუბთან ხელშეკრულება დაუმთავრდა 30 წლის თავდამსხმელ **ლევან მელქაძეს**, რომელმაც „ზესტაფონი" დატოვა... და კიდევ, ფეროელები მოლაპარაკებას აწარმოებენ „ვენტსპილსისა" და ეროვნული ნაკრების ნახევარმცველ **ზურაბ მენთეშაშვილთან**, მაგრამ ამ მხრივ, ჯერჯერობით, გარკვეული არაფერია.

ზესტაფონელთა თავკაცმა გია გეგუჩაძემ სლოვენიურ შეკრებაზე 22 ფეხბურთელი იახლა. მათ შორის არ არის ახალგაზრდა მცველი **გიორგი კაჭკაჭიშვილი**, რომელიც ბალკანეთში ტრავმის გამო ვერ გაემგზავრა. „ზესტაფონის" 22-კაციანი შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები - **როინ კვასხვაძე, ზურაბ მამალაძე, კახაბერ მეშველიანი;**

მცველები - **სევასტი თოდუა, უჩა ლობჟანიძე, გიორგი ხიდეშელი, კარენ მაკარიანი, გიორგი ონიანი, ზაალ ელიავა, გიორგი გურაბანიძე;**

ნახევარმცველები - **ნიკა კვასხვაძე, მურთაზ დაუშვილი, ალექსი ბენაშვილი, თორნიკე გორგიაშვილი, ირაკლი ძარია, შოთა გრიგალაშვილი, თორნიკე აფციაური, გიორგი ჭანკოტაძე;**

თავდამსხმელები - **ზურაბ იონანიძე, ნიკოლოზ გელაშვილი, ჯაბა დვალი, ნიკოლოზ ჩიხლაძე.**

ევროპის ლიგაში ქართული კლუბების მეტოქეები 22 ივნისს, ციურიხში ჩატარებულ წილისყრისას გაირკვევა. „ზესტაფონი" ევროტურნირებზე პირველ მატჩს 2 ივლისს გამართავს.

*„სლოვენიაში ნაყოფიერ შეკრებას გავივლით, ძლიერ მეტოქეებთან მოგვიწევს ამხანაგური მატჩები, რაც მზადების პროცესში დიდად წაგვადგება. იმედი მაქვს, ბალკანურ შეკრებას ნაყოფიერად გამოვიყენებთ",* - თქვა გეგუჩაძემ სლოვენიაში გამგზავრების წინ.

**დავით ცაბაძე**



ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

## ლადო დვალიშვილი

# ზესტაფონი? წინასწარ არაფერს ვიტყვი...

### კუპერმა, ასეთ უთავმოყვარეო თამაშს ვერ ავიტან, უნდა გამოფხიზლდეთო...

ლადო დვალიშვილმა ექტორ კუპერის იმედები გაამართლა. რიგის „სკონტოს" 22 წლის თავდამსხმელმა საქართველოს ნაკრებში მეორე შეხვედრა ჩაატარა და ალბანეთის ნაკრებთან არა მარტო გოლით, არამედ აქტიური და სასარგებლო თამაშითაც გამოიჩინა თავი.

**- ლადო, ალბანეთთან ძირითად შემადგენლობაში შენი გამოჩენა მოულოდნელი იყო. თავად თუ ელოდი ექტორ კუპერის ამგვარ გადაწყვეტილებას?**

- არა, არ ველოდი. 20 წუთი იქნება თუ 10, ფეხბურთელი ყოველთვის მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ მოედანზე შევიდეს და თავისი შანსი გამოიყენოს. დიდი შემართებით გავისარჯე, რათა დამემტკიცებინა, რომ თამაშის შნო და უნარი მაქვს და ნაკრებში ადგილს ვიმსახურებ.

**- გოლის შემდეგ საქართველოს ნაკრები გატყდა და თავდაპირველი ენთუზიაზმი დაკარგა. რა ხდება? ნაკრებს ბრძოლისუნარიანობა საერთოდ არ გააჩნია?**

- აქ ბრძოლისუნარიანობა არაფერ შუაშია. ალბანეთში ისეთი სიცხე იყო, თამაში ყველას გაგვიჭირდა. პირადად მე, ასეთ სიცხეში მოედანზე არასდროს გავსულვარ. კობიაშვილი და ხიზანიშვილი ხუმრობდნენ, მგონი ყატარში მოვხვდითო. მესმის, რომ ეს არ არის გასამართლებელი მიზეზი, მაგრამ სიგრილეში 10 კილომეტრს ვირბენ, სიცხეში კი ამის ნახევარიც გამიჭირდება. 1:1-ზე ველარც ჩვენ შევუტიეთ და ვერც მასპინძლებმა. მოძრაობა გვიჭირდა.

**- საინტერესოა სანაკრებო კულისები. მოლდოვასთან სამარცხვინო წაგების შემდეგ კუპერმა რა გითხრათ?**

- ძალიან გაბრაზებული იყო და ამბობდა - ასეთ უთავმოყვარეო თამაშს ვერ ავიტან, უნდა გამოფხიზლდეთო. მესმის იმ გულშემატკივრების, რომელთაც, ამ მატჩის გადამკიდე, ალბანეთთან ჩვენს წაგებაში ეჭვიც არ ეპარებოდათ. არადა, რომ იცოდეთ, სულ თავისუფლად შეგვეძლო მოგება. ალბანეთის გუნდი არ ალმოჩნდა, რომელიც სახლში ნებისმიერ მეტოქესთან ძლიერად თამაშობს.

**- სხვათა შორის, შაბათს პორტუგალიამ ტირანაში ძლივს მოიგო. ასეთ ნაკრებთან თქვენ როგორ გაგიადვილდათ თამაში?**

- სრული სერიოზულობით ვამბობ - ჩვენი ნაკრების პოტენციალი ბოლომდე რომ გამოვიყენოთ, ალბანეთზე ბევრად ძლიერი ნაკრებიც ვერ დაგვიდგება წინ.

**- კუპერს პირადად თუ ესაუბრე?**

- მხოლოდ თამაშამდე. თავისუფლად ითამაშე, ისე, როგორც კლუბშიო, - ასე მითხრა. საკმაოდ უშუალო საუბარი გვქონდა და ამან ჩემზე კარგად იმოქმედა. მისგან დიდი ნდობა ვიგრძენი.

**- როგორც შევიტყვეთ, რიგის „სკონტოში" საკმაოდ მძიმე ფინანსური მდგომარეობაა, ოთხი თვეა ფეხბურთელებისთვის ხელფასები არ დაურიგებიათ თურმე. ასეთ ვითარებას როგორ ეგუები? კლუბის შეცვლას ხომ არ აპირებ?**

- ხელფასებს მხოლოდ ლატვიელებს არ უხდიან, ჩვენ კი ხან ნახევარს, ხან მთლიანად ვიღებთ.

**- თავისუფალი აგენტის სტატუსის მოპოვებაზე არ გიფიქრია? ასეთ შემთხვევაში, ფიფა ფეხბურთელს კონტრაქტის განყვეტის უფლებას აძლევს...**

- ვფიქრობდი, მაგრამ სეზონი მალე დამთავრდება და სასამართლოში სირბილისთვის არ მცალია. თანაც, კლუბი ადრე თუ გვიან დავალიანებას მაინც ისტუმრებს. „სკონტოს" მწვრთნელ პოლ ეშვორთს მე და დათო გამეზარდაშვილი ძალიან მოვწონვართ და გუნდიდან ასე გაუაზრებლად წასვლა არ მილირს. ყველაფერი კარგად უნდა მოვიფიქრო. რა თქმა უნდა, ლატვიაში სამუდამოდ დარჩენას არ ვაპირებ.

**- შევიტყვეთ, რომ შენით „ზესტაფონიც" იყო დაინტერესებული...**

- კი, იყო ამაზე ლაპარაკი, მაგრამ წინასწარ არ მსურს ვთქვა, რას გადავწყვეტ. ეშვორთი ევროპის რამდენიმე კლუბის ინტერესზეც მესაუბრა. ლაპარაკია გერმანულ, შვეიცარიულ და ავსტრიულ გუნდებზე. წესით, ყველაფერი ერთ თვეში უნდა გაირკვეს. სამწუხაროდ, ნაკრების თამაშის შემდეგაც არ მაქვს დასვენებისა და ტრანსფერზე ფიქრის საშუალება. ლატვის ჩემპიონატი გაზაფხული-შემოდგომის სისტემით ტარდება. ორ დღეში „სკონტო" თამაშობს და კლუბის ხელმძღვანელობას მხოლოდ მაშინ დაველაპარაკები, როცა ჩემპიონატში შესვენება გამოცხადდება.

**მერაბ მამულაშვილი**



ლადო დვალიშვილი

სანაკრებო ანალიზი



ექტორ კუპერი და ხოსე ფანტაგუცი

# შრომა და... სიჯიუტე

ერთი მოგება, ოთხი ფრე და ექვსი წაგება - აი, ასეთია **ექტორ რაულ კუპერის** თერთმეტმატჩიანი „მონაგარი" საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე. ის ერთადერთი გამარჯვება შარშან, 20 აგვისტოს, კუპერისთვის სადებიუტო მატჩში იყო - სტუმრად უელსის ნაკრებს 2:1 რომ ვძლიეთ. ოღონდ, ისიც ვთქვათ, რომ საქართველოს ნაკრებისა და კუპერის „გაცნობა", ფაქტობრივად, უელსთან მატჩის წინ მოხდა. საერთოდაც, ფეხბურთელების სია არგენტინელ მწვრთნელს... **პეტარ შეგრტმა** გადასცა, თვითონაც რომ სულითა და გულით ილტვოდა საქართველოს ეროვნული ნაკრების გაწვრთნაზე. ახლა, ალბათ, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორი იმედით ველოდით კუპერის საქართველოში ჩამოსვლას; ალარც არგენტინელი სპეციალისტის ძველ სამწვრთნელო მიღწევებს გავიხსენებთ; ისე, როგორც იმ ფაქტს, რომ, ტრადიციულად, ყველა შესარჩევი ციკლის დაწყებას კვლავაც ოპტიმისტურად ვუცქერდით. სხვათა შორის, წინამორბედისგან განსხვავებით, კუპერს არც „ზღაპრების მოყოლა" დაუწყია და არც ქართული საფეხბურთო საზოგადოების გაბრუება - 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის საგზურს „უეჭველი ჩაგახუტებთო"...

...და მაინც: კუპერს ყველა იმედით შევცქეროდით; იმაზე ხომ სულ „ჭკუიდან გადავედით", თბილისში ცხოვრებას რომ დათანხმდა; მერე, ლამის სულ „გადავირიეთ", ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე ბეჯითად რომ დაიწყო სიარული. თანაც, იმავე წინამორბედისგან განსხვავებით (აქაური ჩემპიონატი საერთოდ რომ არ აინტერესებდა), საპატიო სტუმართათვის განკუთვნილ ადგილას კი არა, სადმე, ტრიბუნის ბოლოში მოკალათდებოდა ხოლმე. ხან - მარტო, ხან - თანაშემწეებთან ერთად...

...მერე, „სამშაბათობები" დანერგა: დაიწყო და ამაზე ხომ, მართლაც, კინალამ „შევიშალეთ": ამიერიდან ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებს მოტივაცია გაეზრდებათ და ყველა ეცდება, რომ ბეჯით მწვრთნელს თავი მოაწონოს-თქო. ერთი მხრივ, ამ „სამშაბათობებმა" და ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე სისტემატურად დასწრება-დაკვირვებამ დადებითიც დაგვანახვა: ბოლოს და ბოლოს, კუპერის ხელმძღვანელობით ჩატარებულ თერთმეტ შეხვედრაში 35-მა ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა და აქედან თითქმის ნახევარი - 16 ეროვნულ ჩემპიონატს წარმოადგენდა! დაგვეთანხმებით, ალბათ, რომ მცირე რაოდენობა არ არის; მით უმეტეს, ამ თექვსმეტიდან რამდენიმეს (**უჩა ლობჟანიძე, გიორგი ლომაია, ლუკა რაზმაძე, ალექსანდრე კვახაძე, გიორგი მერებაშვილი, ლევან ხმალაძე**) კუპერი თითქმის ყველა შეხვედრის წინ იძახებდა და, ხშირ შემთხვევაში, ძირითადში ათამაშებდა კიდეც!

მოკლედ, არგენტინელი მწვრთნელის მუშაობაში არაერთი დადებითი მომენტი დავინახეთ. გულშემატკივრებიც აფასებდნენ, ჟურნალისტებიც, უმეტესწილად, აღმატებულ ხარისხში მოვიხსენიებდით, მაგრამ, ამავე დროს, მთავარიც არ ჩანდა! ანუ, შედეგი - აი, უელსთან იმ პირველი გამარჯვების მერე, უკვე იმ დონეზეც დავეშვით, რომ... ალბანეთთან ფრეც გვიხარია! ჰო, ესეც კარგია, რომ არ წავაგეთ; მით უფრო, რომ ალბანეთამდე ოთხი დღით ადრე ჩვენმა ნაკრებმა არსებობის ისტორიაში ერთ-ერთი სამარცხვინო მატჩი ჩაატარა (მოლდოვასთან წაგებას ვგულისხმობთ). აი, სწორედ იმ შეხვედრის მერე... გაბრაზებულა კუპერი და უთქვამს: საქართველოს ნაკრებში ამის შემდეგ ბევრი ვინმე თუ რამე შეიცვლებაო. ოთხ დღეში რა უნდა მოესწრო, მაგრამ ძირითადში გარკვეული გადაადგილებები კი მოახდინა (ზოგი - იძულებითი ხასიათის იყო), მაგრამ, აი ტაქტიკას მაინც ჯიუტად არ ცვლის. განსაკუთრებით კი ნახევარდაცვა-თავდასხმის ხაზზე აქვს „გართულება" და იმ თერთმეტიდან თითქმის ყველა შეხვედრაში ჩვენი ნაკრების ტაქტიკურ განლაგებას შემდეგი სახე აქვს: 4-3-2-1; ანუ, კუპერს უყვარს სამი ცენტრალური ნახევარმცველით, ორი გარემარბით და მხოლოდ ერთი გამოკვეთილი ფორვარდით თამაში. ამასთან, ყველაზე ხშირად საკამათო გარემარბების პოზიციაზე სხვა ამპლუის ფეხბურთელების გამწესებაა - თუმცა, კუპერი საკუთარ გადაწყვეტილებას ჯიუტად არ ცვლის! ისე როგორც, ცოცხალი თავით არ უნდა, საქართველოს ნაკრებში ისეთი ფეხბურთელი თამაშობდეს, ბურთის „დაჭერა" და „ბოლო პასის მიცემა" რომ იცოდეს; ანუ, გამოკვეთილ „ფლეიმეიკერზე" ვსაუბრობთ (**ლევან ყენია** კუპერის ნაკრებში, როგორც წესი, გარემარბის ფუნქციას ასრულებს) და ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ ამ პოზიციაზე არაერთ ფეხბურთელს შეუძლია მეტ-ნაკლები წარმატებით ასპარეზობა. მაგრამ კუპერი არ „ცნობს" ასეთი სტილის ფეხბურთელებს: **დავით მუჯირი** ერთხელ ნახა (ისიც, უელსთან) და შემდეგ აღარ დაინტერესებულა; უფრო მეტიც: ხანდახან, ეჭვიც გვეპარება ხოლმე, აქვს თუ არა ზოგიერთ ფეხბურთელზე საკმარისი ინფორმაცია? მართალია, სხვა ამპლუის მოთამაშეა, მაგრამ **ლადო დვალიშვილის** მაგალითიც ამას მოწმობს - რიგის „სკონტოს" ფორვარდი მხოლოდ ახლა გამოიძახეს საქართველოს ნაკრებში და ალბანელებთან მატჩში ერთ-ერთი საუკეთესოც იყო! თუმცა, ისევ „გამთამაშებლების" თემას დავუბრუნდეთ; ამხანაგური მატჩები ხომ იმისთვის არის, რომ სხვადასხვა მოთამაშეზე საკმარისი წარმოდგენა შეგექმნას. ლევან კობიაშვილს, **კახა კალაძესა** თუ **ალექსანდრე იაშვილს** რაღა დაკვირვება სჭირდება - მთავარია, ნაკრების სამივე ლიდერი ჯანმრთელი იყოს. სამაგიეროდ, ცოტა არ იყოს გაუგებარია, რატომ არ სურს კუპერს შემდეგი ფეხბურთელების გასინჯვა: **ლევან გვაზავა, გოჩა ხოჯავა, ალექსანდრე ამისულაშვილი, თორნიკე აფციაური, დავით გამეზარდაშვილი, სანდრო გურული**, - ყველა ეს მოთამაშე ხომ საკუთარ კლუბებში შეუცვლელად მიიჩნევა. აღარაფერს ვამბობთ **გოგიტა გოგუაზე** - მართლაც, უნივერსალ ფეხბურთელზე, ერთდროულად რამდენიმე პოზიციაზე რომ შეუძლია წარმატებით თამაში; ბოლოს და ბოლოს, **მალხაზ ასათიანთან** მიმართებაშიც რაიმე კომპრომისი ხომ უნდა გამოიძებნოს - განა, ბევრი გვყავს მსგავსი ნიჭისა და შესაძლებლობების ფეხბურთელი? ამას გარდა, კუპერს წინამორბედისგან (უცხოელებისა და ქართველისგანაც) ცუდი ჩვეულებაც გადმოჰყვა - ყველა ლიზიანდება, როცა ნაკრების შემადგენლობაში... უგუნდო ფეხბურთელს ხედავს. ასე იყო უკანასკნელ სანაკრებო შეკრებაზეც და მაშინათვე კითხვა ჩნდება - სხვებმა რაღა დააშავეს? თუნდაც, **დიმიტრი ტატანაშვილმა** (ჩეხეთის უმაღლეს ლიგაში 19 მატჩი მაინც ჩაატარა) ან **გიორგი ადამიამ** (აზერბაიჯანის ჩემპიონი, გახდა); ანდა, თუ უგუნდო ფორვარდებს ხშირად იწვევს, მაშინ **სანდრო იაშვილიც** ენახა, სავიზო პრობლემების გამო რომ ვერ თამაშობს თავის ახალ კლუბში.

მოკლედ, კუპერთან დაკავშირებით ძალიან ბევრი კითხვა დაგროვდა; კიდევ ვიმეორებთ: დაუნახავი უნდა იყო კაცი, მის მუშაობას უგულო და უპასუხისმგებლო რომ უწოდო; მაგრამ, ამდენ წარუმატებლობასაც ხომ უნდა მოეღოს ბოლო? თორემ, ეტყობა არც ის დღეა შორს, მოლდოვასთან ერთბურთიანი სხვაობით დამარცხებაზე რომ ვიტყვით - ღირსეულად წავაგეთ-თქო; აი, ადრე იტალიასთან, ინგლისთან და გერმანიასთან მარცხის გამო გული რომ გვწყდებოდა, ალბათ, ისეთივე გრძნობა გვექნება. მანამდე კი... ალბანეთთან მიღწეული საპატიო ფრით ვიამაყოთ!..

დაბოლოს, კუპერის ხელმძღვანელობით ჩატარებულ 11 შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 35-მა ფეხბურთელმა: **ლევან კობიაშვილი - 10, ალექსანდრე იაშვილი - 10, უჩა ლობჟანიძე - 8, ბექა გოცირიძე - 8, ზურაბ ხიზანიშვილი - 7, დავით ოდიკაძე - 7, რატი ალექსიძე - 7, ლევან მჭედლიძე - 7, გიორგი ლომაია - 7, ლუკა რაზმაძე - 7, გიორგი შაშიაშვილი - 6, ზურაბ მენთეშაშვილი - 6, დავით სირაძე - 6, ალექსანდრე კვახაძე - 6, გიორგი მერებაშვილი - 6, ლაშა სალუქვაძე - 5, ლევან ხმალაძე - 5, ლევან ყენია - 5, დავით კვირკველია - 4, კახა კალაძე - 3, გიორგი ლორია - 3, ირაკლი კლიმიაშვილი - 3, გურამ კაშია - 3, მურთაზ დაუშვილი - 3, მალხაზ ასათიანი - 2, ოთარ მარცვალაძე - 2, გიორგი ფოფხაძე - 2, გიორგი სეთურიძე - 2, ვლადიმერ დვალიშვილი - 2, დავით მუჯირი - 1, დავით დევდარიანი - 1, ზაალ ელიავა - 1, მათე ლვინიანიძე - 1, ილია კანდელაკი - 1, გრიგოლ ბედიაშვილი - 1.**

**გია ტუხაშვილი**

სამტრედია

# შენიშვნები გამოსწორებულია

## სამტრედია უმაღლეს ლიგასა და ზესტაფონის გაბარიტებს ელის

დღეს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი შეიკრიბება და სხვათა გარდა, ისიც უნდა გადაწყვიტოს, დამდეგ სეზონში უმაღლეს ლიგაში რამდენი გუნდი ითამაშებს. განვლილ სეზონში უმაღლესში 11 გუნდი იყო და დებულების თანახმად, სამი მათგანი პირველ ლიგაში ქვეითდებოდა, პირველი ლიგიდან კი უმაღლესში 2 გუნდი უნდა გადასულიყო - დასავლეთი და აღმოსავლეთი ზონის გამარჯვებულები, ანუ უმაღლეს ლიგაში 2009/10 წლების სეზონში ათ გუნდს უნდა ეთამაშა. მაგრამ აღმოსავლეთ ზონის გამარჯვებული თბილისის „ამერი“ ფინანსურმა პრობლემებმა მოიცვა და უმაღლესი ლიგისთვის საჭირო დოკუმენტაცია არც შეუტანია ფეხბურთის ფედერაციაში, დასავლეთ ზონის გამარჯვებულ „სამტრედიას“ კი ლიცენზია არ მისცეს.

უმაღლეს ლიგაში დარჩენილთაგან ლიცენზია არ აქვს „მესხეთს“ და ნაკლებად სავარაუდოა, რომ აღმასკომმა დღეს ახალციხელებს უმაღლეს ლიგაში დარჩენის ნება მისცეს.

მარტივი არითმეტიკით გამოდის, რომ აღმასკომის გადაწყვეტილებამდე უმაღლეს ლიგაში ამ დროისთვის ოდენ 7 გუნდია, თუმცა არ არის გამორიცხული, წლეულს უმაღლეს ლიგიდან გავარდნილი „გაგრა“ და ცხინვალის „სპარტაკი“ მაინც დატოვონ ტოპლიგაში იმ ლოგიკით, რომ მათ შესაბამისი ლიცენზია აქვთ. ასეთ შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი უხეშად დაარღვევს სპორტულ პრინციპს...

ჩვენი რესპონდენტი კი „სამტრედიას“ პრეზიდენტი ზაზა ადეიშვილი გახლავთ, რომელმაც ისე აღგვიწერა სიტუაცია, რომ დიდი შანსია, დღევანდელმა აღმასკომმა სამტრედიელები უმაღლეს ლიგაში მიიღოს.

**- რა გადაწყვეტილებას ელით აღმასკომის ამ სხდომაზე? როგორია იმის შანსი, რომ „სამტრედიამ“ უმაღლეს ლიგაში ითამაშოს?**

- ჩვენ სამართლიან გადაწყვეტილებას ველით და იმედი გვაქვს, რომ ფედერაცია ყველაფერს ისეთ ჩარჩოში მოაქცევს, როგორიც თავად ჰქონდა დაგეგმილი - ათგუნდიანი უმაღლესი ლიგა სპორტული პრინციპის გათვალისწინებით. „სამტრედიამ“ უმძიმეს ბრძოლაში მოიპოვა გამარჯვება პირველი ლიგის დასავლეთ ზონაში. არავის წარმატებას არ ვაკნინებ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთი ზონისგან განსხვავებით, დასავლეთ ზონაში პირველობისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიდიოდა. ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩვენ ლიცენზირების პროცესში ვმონაწილეობდით და ამ მხრივ კატასტროფული სიტუაცია არ გვქონია.

**- ფაქტია, ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზირების კომიტეტმა თქვენ ლიცენზია არ მოგცათ...**

- ასეა, ლიცენზირების კომიტეტმა რამდენიმე შენიშვნა მოგვცა, თუმც მათი გამოსწორება ჩვენთვის შეუძლებელი ნამდვილად არ ყოფილა.

**- ანუ რა მოთხოვნებიც იყო, უკვე სრულად დააკმაყოფილეთ?**

- სალიცენზიო კომიტეტის მიერ გამოთქმული შენიშვნები გამოსწორებულია. მაგალითად, მსაჯების გასახდელი სტადიონის ცენტრალური ლოჟის ქვემოთ იყო, ფეხბურთელებისა კი - ტრიბუნის გვერდით მხარეს. ლიცენზირების კომიტეტის მითითება იყო, რომ ორივე გასახდელს ერთი შემოსასვლელი ჰქონოდა და ეს საკითხი უკვე მოგვარებულია. შენიშვნები ეხებოდა საკონფერენციო და სამედიცინო ოთახის მოწესრიგებასაც. რა თქმა უნდა, ესეც გავითვალისწინეთ და ახლა ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. ლიცენზირება მოიცავს საკადრო საკითხსაც - უსაფრთხოებისა და მედიაოფიცრის ყოლას, რაც გავითვალისწინეთ. ყოველივე ეს ფეხბურთის ფედერაციაში უკვე იციან.

**- გამოდის, რომ პრობლემები მოგიგვარებიათ, რაც, წესით და რიგით, აღმასკომმა უნდა გაითვალისწინოს...**

- სხვათა შორის, როცა ლიცენზია არ მოგვცეს, ასე დაგვაიმედეს - საქმე გამოასწორეთ და ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომთან გიშუამდგომლებთო.

**- კონკრეტულად ვინ მოგცათ ასეთი პირობა?**

- რევაზ ლორთქიფანიძემ და ბაქარ ჟორდანიამ.

**- რა ფინანსური გარანტიები აქვს საფეხბურთო კლუბ „სამტრედიას“? არაერთი კლუბი გვინახავს, რაღაც ეტაპზე ამ მხრივ ნორმალურად რომ აქვს საქმე, მაგრამ მერე აღმოჩენილა, რომ საკმარისი ფინანსური რესურსი არ გააჩნია...**

- „სამტრედიას“ ქალაქის მუნიციპალიტეტი აფინანსებს, მაგრამ გამოიკვეთა პერსპექტივა, რომ კლუბს კერძო ბიზნესიდანაც გამოუჩნდეს პარტნიორები.

**- ამ მხრივ, რაიმე კონკრეტულს ხომ ვერ გვეტყოდით?**

- რატომაც, არა?! მაგალითად, „კაუკასუს ონლაინმა“ ჩვენი ფეხბურთელების პრემიების საკითხის მოგვარება ითავა - ჩვენი ბიჭების გარჯით ხომ „სამტრედიამ“ უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა. ახლა მიდის ლაპარაკი იმაზე, რომ „კაუკასუს ონლაინსა“ და „სამტრედიას“ შორის ხელშეკრულება გაფორმდეს სარეკლამო პარტნიორობასთან დაკავშირებით. არის ვარიანტები, რომ სხვა კერძო კომპანიებთანაც დავამყაროთ ურთიერთობა. ერთი სიტყვით, დამდეგ სეზონში „სამტრედია“ მხოლოდ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე არ იქნება ჩამოკიდებული. ერთსაც გეტყვით - თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა, „სამტრედიას“ კერძო ინვესტორი მოჰკიდებს ხელს.

**- თქვენი ნათქვამიდან ისე ჩანს, რომ „სამტრედიას“ უმაღლეს ლიგაში დაშვებას წინ არაფერი დაუდგება. თუ აღმასკომმა თქვენთვის დადებითი გადაწყვეტილება მიიღო, დაახლოებით რა გაქანების გუნდი გეყოლებათ უმაღლეს ლიგაში?**

- არის შანსი, რომ საქართველოში კიდევ ერთი საფეხბურთო კერა გაცოცხლდეს და კიდევ ერთ რაიონში შეიქმნას ისეთი გაბარიტების კლუბი, როგორიც „ზესტაფონია“. საყურადღებოა ისიც, რომ ფეხბურთში ტრადიციები ძალიან ბევრს ნიშნავს და ყველა დაგვეთანხმება, რომ „სამტრედიას“ სწორედაც საკმაოდ მდიდარი საფეხბურთო ტრადიციები აქვს. ამის გამოც იყო, რომ განვლილ სეზონში ჩვენს საშინაო მატჩებს საშუალოდ 3-4 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, სტუმრად კი გუნდს ათასამდე ქომაგი დაჰყვებოდა. „სამტრედიას“ სტადიონის ტრიბუნა მაყურებელს ველარ იტევდა...

**დავით თავართქილაძე**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# კახელიშვილი ვიტ ჯორჯიაში

თბილისის „ლოკომოტივის“ ფორვარდი **გიორგი კახელიშვილი** კლუბის შეცვლას აპირებს. 20 წლის ფორვარდი დიდი ხანია, უცხოეთში წასვლას ცდილობს, მაგრამ სერიოზული და საინტერესო წინადადება ჯერ არ მიუღია. ახლახან, **ექტორ კუპერმა** გიორგი ტრადიციულ „სამშათობაზეც“ მიიწვია, თუმცა ბოლო ამხანაგური მატჩებისთვის ის სანაკრებო განაცხადში ვერ მოხვდა. როგორც ჩანს, კახელიშვილს უცხოეთში გამგზავრების იმედი ამჯერადაც გადაეწურა და შესაძლოა, საქართველოში ხანგრძლივი პერიოდით დარჩეს. საქმე ისაა, რომ მან მოლაპარაკება წამოიწყო საქართველოს ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიასთან“ და შესაძლოა, მალე კონტრაქტიც გააფორმოს, თან ისეთი, „ვეტერინარებს“ რომ სჩვევიათ - ხანმოკლე ხელშეკრულებებს ისინი ყოველთვის ხანგრძლივ, სტაბილურ პარტნიორობას ამჯობინებენ.

აშკარაა, რომ კახელიშვილისთვის ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ასპარეზობა საინტერესო გამოწვევაა და როგორც შევიტყვეთ, „ვიტ ჯორჯიაში“ გადასვლასაც სწორედ ამის გამო დათანხმდა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

# ლუქაშვილის სადებიუტო გოლი

ლიტვის A ლიგის მე-9 ტურში ძმები ქილლაძეების „ტაურასი“ სტუმრად ერთპიროვნულ ლიდერ „სუდოვასთან“ 0:3 დამარცხდა. **დავით ქილლაძემ** 90 წუთი ითამაშა, ხოლო **ბესიკ ქილლაძე** 76-ე წუთზე შეცვალეს. „ტაურასი“ 8 ქულით მე-6 ადგილზე ლიტვის რვაგუნდიან ჩემპიონატში.

გუშინ ლატვიური ვირსლიგის მე-13 ტური გაიმართა. **თამაზ პერტიას** „დინაბურგი“ ერთ-ერთ ლიდერ „მეტალურგსს“ ესტუმრა. „დინაბურგის“ რიგებში დებიუტი ჰქონდა **ვასილ ლუქაშვილს**. ქართველმა ფორვარდმა დებიუტი გოლით აღნიშნა, მან დააწინაურა სტუმრები, თუმცა ამის შემდეგ ქართველი მწვრთნელის გუნდმა სამი გოლი გაუშვა - 1:3. „დინაბურგის“ სასტარტო შემადგენლობაში ორი ქართველი იყო, ლუქაშვილი და **ირაკლი ქორთუა**. „ვენტსპილსმა“ 3:0 მოუგო „იურმალას“. მასპინძელთა რიგებში 22-ე წუთზე შეცვალეს **ზურაბ მენთეშაშვილი**. სტუმართა შორის 87 წუთი ითამაშა **გაგა გუგანაშვილმა**. „ვენტსპილსი“ 33 ქულით პირველია, „სკონტო“ (რომელიც ისვენებდა) 26 ქულით მესამეა, „იურმალას“ და „დინაბურგს“ 15-15 ქულა აქვთ (მე-5 და მე-6 ადგილები).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მსაჯები

# ტოპხუთეულები ცნობილია

საქართველოს მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა ასოციაციამ XX ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესოები დაასახელა - სულ 5 საუკეთესო არბიტრი და ამდენივე გამორჩეული ასისტენტი. ანბანის მიხედვით ეს არჩევანი ასე გამოიყურება.

5 საუკეთესო არბიტრი: **მალხაზ ბეუქლიშვილი, გიორგი ვადაჭკორია, ლევან კვარაცხელია, ლაშა სილაგავა, დავით ხარიტონაშვილი.**

5 საუკეთესო ასისტენტი: **მამუკა ელიკაშვილი, ლევან თოდრია, ზაზა მენთეშაშვილი, გურამ ჩიგოგიძე, ზურაბ ჯვარიძე.**

**დავით ცაგაძე**

ლეგენდის გასახსენებლად

# ყიფიანის ტურნირზე 8 გუნდი ითამაშებს



18 ივნისს ლეგენდარული **დავით ყიფიანი** 58 წლისა გახდებოდა. მის იუბილეს ქართული საფეხბურთო საზოგადოება ხშირად აღნიშნავს და გამონაკლისი არც 2009 წელი იქნება. ცნობილი გახდა, რომ 17-18 ივნისს, 35-ე საფეხბურთო სკოლაში, ბავშვთა შორის დავით ყიფიანის სახელობის ტურნირი ჩატარდება. გათამაშებაში 1998 წელს დაბადებულ ბავშვთა 8 გუნდი მიიღებს მონაწილეობას: **„ნორჩი დინამოელი“, „35-ე საფეხბურთო სკოლა“, „ოლიმპი“, „ლოკომოტივი“, „ოლიმპიკი“, „ირაო“, „თენგიზ სულაქველიძის სახელობის საფეხბურთო აკადემია“** და **„ოუფენ ფან ფუტბოლი“**.

ტურნირის ორგანიზატორია „კახი ასათიანის სახელობის ფონდი“, საერთაშორისო პროექტი „ოუფენ ფან ფუტბოლი“ და მცხეთა-მთიანეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაცია. გათამაშების სპონსორები კი კომპანიები - „ქართული ფოლადი“, „სახალხო აფთიაქი“, ჟურნალი „ათიანი“, „35-ე საფეხბურთო სკოლა“ და ქართული ჭიდაობის ფედერაცია არიან.

ტურნირის წილისყრა ორშაბათს, 15 ივნისს, „ოუფენ ფან ფუტბოლის“ ოფისში გაიმართება.

**დავით ცაგაძე**

ინტერვიუ



## გიორგი ნერგაძე

# მთავარია, მოინდომო და ყველაფერი გამოვა

გასული სეზონი თბილისის დინამოელი გიორგი ნერგაძისთვის გამორჩეული აღმოჩნდა. ნერგაძე, რომელიც ჩემპიონატის პირველ 2 წრეში უმეტესად ნახევარდაცვაში ასპარეზობდა, სეზონის დასკვნით მესამედში დაცვის ცენტრში მოგვევლინა. მან ჩინებულად შეცვალა სლოვაკი მცველი მილოშ კრშკო, რომელიც გუნდს ტრავმის გამო გამოაკლდა. კრშკო თასის მფლობელებს აგვისტომდე ვერ დაეხმარება და დაცვის ცენტრში მთავარი დასაყრდენი ისევ ნერგაძეა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გიორგი ნერგაძე უნივერსალური ფეხბურთელია. ის თავის დროზე „დინამომ“ ქუთაისის „ტორპედოდან“ ნახევარმცველად დაიმატა. მან შუა ხაზშიც ითამაშა და დაცვაში ორ სხვადასხვა პოზიციაზეც (დაცვის ცენტრში და მარცხენა ფლანგზე) მოსინჯა ძალები, რასაც ჩინებულად გაართვა თავი.

თასის ფინალში გიორგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მასთან გასულ სეზონზე და სამომავლო გეგმებზე ვისაუბრეთ.

**- გიორგი, გასული სეზონი თქვენთვის ალბათ ერთ-ერთი გამორჩეული იყო...**

- კი, ასეა, მაგრამ თასთან ერთად „დინამოს“ ჩემპიონობაც რომ მოეპოვებინა, ჩემთვის მეოცე ჩემპიონატი უფრო დასამახსოვრებელი იქნებოდა.

**- ნახევარდაცვის შემდეგ დაცვაში ორ პოზიციაზე მოგიწიათ გარჯამ და ახალ ამპლუაშიც ჩინებულად წარმოჩნდით...**

- რამდენად გავართვი თავი დაცვაში თამაშს, ეს მწვრთნელებისა და სპეციალისტების შესაფასებელია. ვფიქრობ, ურიგოდ არ გამომსვლია. დაცვაში ჯერ მარცხენა ფლანგზე ვთამაშობდი, მერე კი ცენტრში.

**- დაცვის ცენტრში მილოშ კრშკოს შეცვლა დაგევალათ და ეს მოახერხეთ. რამდენადაც მახსოვს, მცველად „ტორპედოშიც“ გითამაშიათ...**

- კი, შტელინის მწვრთნელობისას მარჯვენა მცველად იშვიათად ვთამაშობდი. თუმცა უმთავრესად ნახევარდაცვაში ვირჯებოდი.

**- შუა და უკანა ხაზზე ფეხბურთელს მწვრთნელები სხვადასხვა მოთხოვნას უყენებენ. ასე თავისუფლად როგორ ახერხებთ ტრანსფორმაციას?**

- კი, ფუნქციები მართლაც სხვადასხვაა, მაგრამ ერთმანეთისგან რადიკალურად ნამდვილად არ განსხვავდება. თამაშის წაკითხვა და სწრაფი აზროვნება, ნახევარმცველსაც სჭირდება და მცველსაც. მთავარია, მოინდომო და ბოლომდე გულიანად შეეცადო მწვრთნელის დავალების შესრულებას. რა თქმა უნდა, მონდომებასთან ერთად ნიჭი და იღბალიც საჭიროა და ყველაფერი გამოვა... რაც შეეხება კითხვის ბოლო ნაწილს, საკუთარ თავზე ბევრი საუბარი არ მიყვარს. სადაც გუნდს ვჭირდები, მზად ვარ, იმ პოზიციაზე ვითამაშო. დანარჩენი სპეციალისტებმა შეაფასონ.

**- მიუხედავად იმისა, რომ მცველი ხართ, არაერთი გოლი გაიტანეთ. მაინც რამდენი ბურთია თქვენს აქტივში?**

- ხუთი ჩემპიონატში გავიტანე, ერთი კი თასის ფინალში. ყველაზე მეტად ფინალში გატანილი ბურთი დამამახსოვრდა. იმ გოლის შემდეგ, რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ თასი ჩვენ დაგვრჩებოდა. მართალია თასის დაუფლებისთვის ბრძოლა ჩემი იმ გოლით არ დასრულებულა. 90 წუთი და დამატებითი დრო საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებულის გამოსავლენად. თანაც მეტოქეს კაცნაკლულები ვეთამაშებოდით... ბოლოს საქმე პენალტების სერიამდე მივიდა... თუმცა, ღმერთის მადლიერი ვარ, რომ გარჯა დაგვიფასდა და თასი დამსახურებულად მოვიპოვეთ..

**- სეზონი დასრულდა, რჩებით „დინამოში“ თუ ლეგიონერთა რიცხვს შეუერთდებით?**

- კლუბთან მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებს და ვრჩები. კლუბის შეცვლა ჩემს უახლოეს გეგმაში არ შედის. ახლა ევროპის ლიგაზე მოგვიწევს ასპარეზობა და ღირსეულად უნდა წარმოვჩნდეთ.

**- მაინც რამდენი ეტაპის გავლას გეგმავს ქვეყნის თასი მფლობელი?**

- რაც უფრო მეტ რუნდს გავივლით, მით უკეთესი. ვნახოთ 22 ივნისს წილისყრა რომელ გუნდს გვარგუნებს მეტოქედ.

**- ახალ სეზონში „დინამო“ რა მიზნებისთვის იბრძოლებს?**

- როგორც ყოველთვის, „დინამოს“ ამჯერადაც მაქსიმალური მიზნები ექნება, ჩემპიონობისა და თასისთვის ვიბრძოლებთ. მართალია, მეკარე დიდიე ოვონო წავიდა, მაგრამ მეკარე გიორგი სომხიშვილი დაგვემატა, შოთა კაშიამ გააგრძელა კონტრაქტი... ალბათ კიდევ გავძლიერდებით, უცხოეთში გავივლით მოსამზადებელ შეკრებას. ერთი სიტყვით, ახალ სეზონს სრულ მზადყოფნაში უნდა შევხვდეთ და იმედი მაქვს, უკეთესი შედეგებით გავახარებთ გულშემატკივარს.

**დავით ცაგაძე**

ლეგიონი

შეჯამება

# 36 ქართული გოლის ამბავი



ამირან მუჯირი (მარცხნივ) და თორნიკე აფციაური

აზერბაიჯანში ყველაზე მეტი ქართველი ლეგიონერი თამაშობს და ალბათ საგაისოდაც ასე იქნება. მოკლედ, იმას, რასაც ადრე ამრეზით ვუყურებდით, უკვე რეალობად ვილებთ - ალარაფრით ვჯობივართ მეზობლებს და ეს ჩვენს ჩემპიონატში გამორჩეულმა და შემდეგ აზერბაიჯანში დიდად ვერაფრით გამორჩეულმა ფეხბურთელებმაც „დაგვიმტკიცეს“, თუმცა იყო ქართული გამონათებებიც აზერბაიჯანში და არაერთი...

ქვეყნის ჩემპიონი 62 ქულით გახდა „ბაქი“, რომლის ღირსებასაც სამი ქართველი ლეგიონერი იცავდა. თუმცა ამ სამეულიდან ყველაზე მეტად **ამირან მუჯირის** თამაშია გამოსარჩევი. 35 წლის ქართველი შემტევი ნახევარმცველი „აზერისპორტის“ მიერ მწვრთნელებისა და კლუბის კაპიტნების მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მან ლომის წილი დაიდო „ბაქის“ გაჩემპიონებაში. მუჯირმა 22 თამაშში 11 გოლი გაიტანა (ანუ ყოველ მეორე მატჩში გაჰქონდა) და სეზონის ბოლომდე ის ინარჩუნებდა ჩემპიონატის მთავარი მეგოლის ტიტულის მოპოვების შანსს. მაისის დასაწყისში მას და „ხაზარის“ ფორვარდ **ივან ცვეტკოვს** 11-11 გოლი ჰქონდათ გატანილი. სამწუხაროდ, მცირე ტრავმებისა და დისკვალიფიკაციის „წყალობით“ ამირანმა მონაგარს ველარაფერი შემატა. სხვათა შორის, ვერც ცვეტკოვი (15 გოლი) გახდა ბომბარდირი, სულ ბოლო ტურებში მას „ინტერის“ სამხრეთამერიკელმა ფორვარდმა **ვალტერ გუგლემონმა** (17 გოლი) გადაუსწრო. თუმცა მუჯირის კარგი თამაში მხოლოდ გოლების გატანით არ გამოიხატებოდა, ის ხშირად იყო შედეგიანი შეტევის წამომწყები და მთავარი მეპასეც (სამწუხაროდ, აზერბაიჯანში მსგავს, სრულ სტატისტიკას არავინ აწარმოებს). ჩვენი აზერბაიჯანელი კოლეგები კი ძალიან ხშირად ალნიშნავდნენ, თუ როგორი შემართებით და ასაკის მიუხედავად ენერგიულად თამაშობდა ქართველი ლეგიონერი. არადა 2007 წელს, როცა ამირანი „ბაქიში“ გადავიდა, ის ლამის სეზონის ყველაზე დიდ იმედგაცრუებად შერაცხეს. მუჯირმა აზერბაიჯანულ მედიას დაუმტკიცა, რომ მწარედ ცდებოდა. უკვე ორ-ნახევარი სეზონია, ამირან მუჯირი აზერბაიჯანში და მის ანგარიშზე 51 მატჩში გატანილი 15 გოლია (მხოლოდ ჩემპიონატში).

მართალია, ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ, მაგრამ „ბაქის“ ორი სხვა ქართველი ლეგიონერისთვის ეს სეზონი ია-ვარდით მოფენილი ნამდვილად არ ყოფილა. **გიორგი ადამია** სეზონის პირველ ნახევარში „ნეფთჩის“ ფეხბურთელი იყო, სადაც გერმანელ მწვრთნელთან, **ჰანს-იორგენ გედესთან** კონფლიქტის გამო არ ათამაშებდნენ (დუბლებში გადაიყვანეს, სადაც თავად გიორგიმ არ ისურვა თამაში). წლების განმავლობაში ადამია „ნეფთჩის“ ლიდერი იყო, მას ამ კლუბის შემადგენლობაში 39 გოლი აქვს გატანილი, თუმცა კლუბი ქართველს ცუდად მოექცა და, რომ არა „ბაქის“ მოწადინება, იგი ახლაც უკლუბოდ იქნებოდა. მეორე წრის წინ ადამიას გასაჭირს ბოლო მოელო, მან „ბაქის“ სასტარტო შემადგენლობაშიც მოიპოვა ადგილი, თუმცა სეზონში 2 გოლზე მეტი ვერ გაიტანა. ნაკრების ექსფორვარდის **გიორგი დემეტრაძის** აზერბაიჯანული კარიერა კი უილბლო ალმოჩნდა, „დემემ“ პირველ წრეში ორჯერ შეარხია მეტოქეთა კარის ბადე, სულ ეს იყო. 32 წლის ფორვარდს 10 მატჩში 2 გოლი დაუგროვდა.



გიორგი ადამია

ძალიან წარმატებული სეზონი ჰქონდა ისტორიული ჰერეთის გუნდს, ზაქათალის „სიმურგს“, საინგილოელებმა 53 ქულით პრემიერლიგის ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. წარმატებაში კი დიდი წვლილი მიუძლვის ქართულ კვარტეტს. ოთხივე გამორჩეული იყო ამ სეზონში, თუმცა **დავით ბოლქვაძე** მაინც ცალკე გამოსაყოფია, ის ხომ გუნდში ლიდერის მისიასაც ითავსებს. ეს 29 წლის გამთამაშებლისთვის მეორე აზერბაიჯანული სეზონი იყო, დავითმა 24 თამაშში 5 გოლი გაიტანა. **მიხეილ მახვილაძემ** 25 მატჩში მიიღო მონაწილეობა (1 გოლი), **კახაბერ ჩხეტიანმა** - 26-ში, **გრიგოლ დოლიძემ** - 17-ში. მახვილაძე ზაქათალელი ფანების ფავორიტია, ჩხეტიანმა ძალიან ბევრი საგოლე პასი გააკეთა (უმთავრესად, სტანდარტულებიდან), ხოლო დოლიძეს სეზონის ბოლო სერიოზული ტრავმის გამო გაუცდა.

ბაქოს „ოლიმპიკმა“ 44 ქულით მე-6 ადგილზე დაასრულა ჩემპიონატი, გუნდის ღირსებას კი **ალექსანდრე გოგობერიშვილი**, **რევაზ გეწაძე** და **რომან ახალკაცი** იცავდნენ. იყო დრო, როცა გოგობერიშვილი აზერბაიჯანში ყველაზე ძლიერ ლეგიონერად მიიჩნეოდა, თუმცა ამ სეზონის დასაწყისში მას პრობლემები შეექმნა „ყარაბახთან“. 31 წლის ქართველმა კლუბი შეიცვალა და „ოლიმპიკში“ გადავიდა, სადაც საქმეები აშკარად უკეთ წაუვიდა, 13 თამაშში მან 1 გოლი გაიტანა. 29 წლის რომან ახალკაცი ბაქოურ გუნდში „ქარვანიდან“ გადავიდა, მან ერთი გოლი გაიტანა სეზონში. რევაზ გეწაძეს ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა „ოლიმპიკში“, სანამ ის ტრავმას მიიღებდა, გეწაძემ 3 გოლი გაიტანა. სეზონის დასაწყისში გუნდში იყო **მიხეილ ხუციშვილი**, რომელიც მალე სერბულ „ვოივოდინაში“ გადავიდა.

39 ქულით მე-7 ადგილი დაიკავა „სტანდარდმა“, რომელმაც ორი ქართველი მწვრთნელი გამოიცვალა, ჯერ **კახა ცხადაძე** და შემდეგ - **ბადრი კვარაცხელია**. ორივე საკუთარი სურვილით წავიდა გუნდიდან. პირველ წრეში გუნდში თამაშობდნენ მეკარე **მიხეილ ალავიძე** და ფორვარდი **ბაჩანა ცხადაძე**, რომლებიც ცხადაძის წასვლასთან ერთად გუნდში ალარ ირიცხებიან. თავიდან ბოლომდე მხოლოდ **ლევან სილაგაძემ** (21 თამაში) და **დავით ჭიჭვეიშვილმა** (18 თამაში) ჩაამთავრეს სეზონი, თუმცა ამ უკანასკნელს ბოლოს ოპერაცია დასჭირდა და რამდენიმე ტური გაუცდა.

აზერბაიჯანული ფეხბურთის ფლაგმანი „ნეფთჩი“ 36 ქულით მერვე ადგილს დასჯერდა. მეორე წრეში უკვე ერთი ქართველი ლეგიონერიც არ ირიცხებოდა გუნდში. პირველში კი გიორგი ადამია და **გიორგი ჭელიძე** იყვნენ. 22 წლის ჭელიძემ ვერაფერი აჩვენა აზერბაიჯანში, მან 4 მატჩში მიიღო მონაწილეობა და სამშობლოში დაბრუნდა.

მეცხრე ადგილს დასჯერდა „ქარვანი“, რომლის რიგებშიც **მიხეილ მესხი** და **ალექსანდრე ინწკირველი** გაისარჯნენ. მესხმა ორი გოლი გაიტანა ჩემპიონატში.

„გაბალამ“ 33 ქულას მოუყარა თავი და მე-10 ადგილი იკმარა. სეზონი ორმა ჩვენებურმა გაატარა „გაბალაში“, **თორნიკე აფციაურმა** და **გოგა ბერაიამ**. აფციაურმა 22 მატჩში 3 გოლი გაიტანა. თორნიკემ ორი სეზონი დაყო აზერბაიჯანში, სულ 7 გოლი გაიტანა და სამშობლოს დაუბრუნდა. ის კარიერას „ზესტაფონში“ გააგრძელებს.

14 ქულით მე-12 ადგილი დაიკავა და გავარდნას ძლივს გადაურჩა „მუღანი“, რომლის მთავარი ფორვარდი **გივი ჩხეტიანი** იყო. გივიმ წრეებს შორის „ბაქილის“ მაისურა „მუღანისაზე“ გაცვალა. ჯამში მან 3 გოლი გაიტანა. „ბაქილი“ პრემიერლიგას დაემშვიდობა, პირველ წრეში მის რიგებში გივი ჩხეტიანის გარდა კიდევ **დავით ქოქიაშვილი** (2 გოლი) და **შოთა ჯიშკარიანი** თამაშობდნენ.

ამით ჩვენ ვასრულებთ ქართველ ლეგიონერთა სეზონის შემაჯამებელ მიმოხილვას, რომელიც ოთხ ნაწილად შემოგთავაზეთ (გერმანია, ევროპა, უკრაინა, აზერბაიჯანი). დაგვრჩა მხოლოდ მოლდოვის ჩემპიონატი, რომელსაც ცალკე თემას ვერ მივუძლვნით და აქვე შევაჯამებთ. ზაფხული-შემოდგომის სისტემით მიმდინარე ჩემპიონატები კი ისევ გრძელდება.

მოლდოვის ნაციონალური დივიზიონი კვლავ ტირასპოლის „შერიფმა“ მოიგო. მისმა უბერებელმა კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** 28 თამაშში მიიღო მონაწილეობა. კიშინოვის „დაჩია“ მეორე ადგილზე გავიდა, იქ სამმა ქართველმა ითამაშა: **ლევან კორლალიძემ** (24 თამაში, 5 გოლი), **ჯაბა დვალმა** (16 თამაში, 7 გოლი) და **კახა მჟავანაძემ** (8 თამაში). მესამე ადგილზე გასულ „ზიმბრუში“ სეზონის პირველი ნახევარი ითამაშა **მამუკა ლომიძემ**.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ლეგიონერი



ზურაბ მენთეშაშვილი

# მენთეშაშვილი ვენტსპილსში რჩება

**ზურაბ მენთეშაშვილი** „ზესტაფონში“ არ ითამაშებს. მიუხედავად კლუბის ხელმძღვანელების იმედებისა და წინასწარი მოლაპარაკების შედეგებისა, საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა ლატვიაში დარჩენა გადაწყვიტა.

შევიტყვეთ, რომ „ზესტაფონი“ და მენთეშაშვილი თავდაპირველად საკმაოდ სოლიდურ თანხაზე შეთანხმდნენ. თუმცა საბოლოოდ, იმერული კლუბის მესვეურებმა ფეხბურთელს საკონტრაქტო თანხის შემცირება სთხოვეს. მენთეშაშვილისთვის ეს წინადადება მიუღებელი ალმოჩნდა.

პარალელურად, 28 წლის ნახევარმცველი მოლაპარაკებას აწარმოებდა „ვენტსპილსთანაც“, სადაც ამჟამად თამაშობს. ლატვიელებმა მისი პირობები დააკმაყოფილეს, რის შემდეგაც ქართულ კლუბთან მენთეშაშვილი ველარ მორიგდა.

„ზესტაფონს“ რიგის „სკონტოს“ ცენტრალური მცველის **დავით გამეზარდაშვილის** ჩამოყვანაც სურდა, კონკრეტული წინადადებაც შესთავაზა, მაგრამ სამშობლოში დაბრუნება საბოლოოდ „ბაიანომაც“ (ფეხბურთელის მეტსახელი) იუარა.

მერაბ მამულაშვილი

ბავშვთა ფეხბურთი



# ჭაბუკთა კაპიტანია... ნინო იამანიძე

ვაკეში, „მზიურის“ ტერიტორიაზე, ნოდარ დუმბაძის სახლის ეზოსთან ახლოს, მერიის თაოსნობით ამ დღეებში მინიფეხბურთის, კალათბურთის და ფრენბურთის კომპლექსური სპორტული სარბიელი გაიხსნა. „მზიურის“ გაშენების იდეა ნოდარ დუმბაძეს ეკუთვნოდა და ახალგახსნილ მოედანზე პირველად სწორედ მისი სახელობის ტურნირი ჩატარდა მინი-ფეხბურთში. ტურნირის ორგანიზატორი თბილისის 57-ე საჯარო სკოლა (დირექტორი **სოსო ხუციშვილი**, ესთეტიკისა და სპორტის ხელმძღვანელი **ვახტანგ ბაქანიძე**) იყო და პრიზებიც მათ დააწესეს.

ფინალში პირველობისთვის ერთმანეთს ეცილებოდნენ 57-ე სკოლისა („ნორჩი დინამო“) და ახალბედა „მზიურის“ პირველი გუნდები. 8:7 გაიმარჯვეს უფრო გამოცდილმა თანატოლებმა. მესამე ადგილზე გავიდა „მზიურის“ მეორე ნაკრები. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა **სანდრო კუპრეიშვილი** („ნორჩი დინამო“).

ალსანიშნავია, რომ 55-ე საჯარო სკოლის ჭაბუკთა გუნდში თამაშობდა და კაპიტნობდა კიდეც მეხუთეკლასელი გოგონა **ნინო იამანიძე**, თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული კაპიტნის **შოთა იამანიძის** შვილიშვილი.

შემოდგომაზე, იქვე, ნოდარ დუმბაძის ხსოვნის მეორე ტურნირი გაიმართება.

„ლელოს“ კორ.

განცხადება
„დინამო“ თბილისის საფეხბურთო აკადემია აცხადებს 1993-94-95 წლებში დაბადებულ ბავშვთა შერჩევას.
13-14 ივნისი, 11 საათი.
„დინამოს“ დიღმის სანვრთნელი ბაზა
ტელეფონი 53 20 76

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

# 96 მილიონი ევრო: მანჩესტერმა რეალის წინადადება მიიღო!

## რონალდო სრულფასოვანი მადრიდელია, ტრანსფერი ორივე კლუბმა დაადასტურა



ჯერ კიდევ ორი დღის წინ **კრისტიანო რონალდოს** მომავალთან დაკავშირებით გადაჭრით ვერავინ ლაპარაკობდა, თუმცა ვარაუდითა და მარჩიელობით გატაცებული ესპანური გაზეთები ერთხმად აცხადებდნენ, რომ კრისტიანო 30 ივნისამდე მადრიდის „რეალის" სრულუფლებიანი წევრი გახდებოდა. ეს ინფორმაცია ავტორიტეტულმა გამოცემებმა სამეფო კლუბის თანამშრომელზე დაყრდნობით გაავრცელეს. მათი ინფორმატორის კატეგორიული მოთხოვნით, ამ ადამიანის ვინაობა არ გახმაურდა. ზუსტად ერთი დღის შემდეგ ყველა ეჭვი გაიფანტა. ახლა დასამალი აღარაფერია. თავად „მანჩესტერის" ოფიციალურ ვებგვერდზე დაიწერა, რომ პორტუგალიელმა ვარსკვლავმა ბრიტანული კლუბი დატოვა. „წითელი ეშმაკები" მათზე უფრო დიდი ეშმაკის, **ფლორენტინო პერესის** წინადადებას დათანხმდნენ და რონალდო სამეფო კლუბს სწორედ იმ თანხის სანაცვლოდ დაუთმეს, რომელზეც ესპანური მედია ინკოგნიტო ინფორმატორზე დაყრდნობით საუბრობდა. საუბარია 96 მილიონ ევროზე. „მანჩესტერ იუნაიტედის" პორტალზე გამოკიდებული ცნობა იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ტრანსფერი შედგა და მას წყალი არ გაუვა. სამეფო კლუბის გულშემატკივრებს ამ უდიდეს შენაძენს ვულოცავთ. ფლორენტინომ პრეზიდენტის თანამდებობაზე დაბრუნებიდან რამდენიმე დღეში ფენომენალურ წარმატებებს მიაღწია. შეგახსენებთ, კრისტიანომდე მან **კაკა** გადაიბირა და ამით ახალი დიადი „რეალის" მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი.

ბრიტანელები გარიგებას ისტორიულს უწოდებენ და აცხადებენ, რომ პორტუგალიელი ვარსკვლავის გაყიდვით მსოფლიო რეკორდი დამყარდა. მოგეხსენებათ, ფეხბურთში ამ თანხად არასოდეს არც ერთი მოთამაშე არ გაყიდულა. როგორც გაირკვა, ალბიონელებს თავიანთი სუპერვარსკვლავის გაყიდვა არ უნდოდათ, მაგრამ ყველაფერი პორტუგალიელის სურვილმა გადაწყვიტა. მან „მანჩესტერის" მესვეურებს კიდევ ერთხელ განუცხადა, რომ სამეფო კლუბში თამაში სურს და მათგან ტრანსფერზე დაყენება ითხოვა. „წითელმა ეშმაკებმა" თხოვნა გაითვალისწინეს საქმეც მყისიერად მოგვარდა. ბრიტანელები იმასაც წერენ, რომ ფეხბურთელის მენეჯერთან საინტერესო მსჯელობა ჰქონდათ. მისი არგუმენტების მოსმენის შემდეგ აღარანაირი კითხვა აღარ დარჩა. „მანჩესტერის" ვებგვერდზე კიდევ ერთი ნიშანდობლივი ინფორმაცია დაიწერა. მხარეებს შორის კონტრაქტი 30 ივნისს გაფორმდება. მანამდე ინგლისური გრანდის მესვეურები ოფიციალურ განცხადებას აღარ გააკეთებენ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ კრისტიანოსთან გაფორმებული ხელშეკრულების დეტალებს სამეფო კლუბის ხელისუფლება სწორედ 30 ივნისს გაახმაურებს, ჯერჯერობით არავინ ამბობს, პორტუგალიელ ფეხბურთელთან რა ვადის კონტრაქტი დაიდება და ყოველწლიური გასამრჯელოს სახით რა თანხას აიღებს. ექსპერტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ რონალდო მადრიდის „რეალის" ყველაზე ძვირად ღირებული მოთამაშე გახდება. ის კაკაზე მეტ ფულს იშოვისო. იმაზე წერას საჭიროდ არ მივიჩნევთ, რომ ესპანური გიგანტის ხელისუფალმა პირებმა „მანჩესტერის" ვებგვერდზე გავრცელებული ინფორმაცია მაშინვე დაადასტურეს, როგორც კი ის ვირტუალურ სივრცეში გამოკიდა. **ხორხე ვალდანო** კოლოსალური თანხის გადახდის მიუხედავად უკიდურესად კმაყოფილი და ბედნიერია:

*„რატომ მიხარია? იმიტომ, რომ კრისტიანო პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელია და ის ჩვენს გუნდში ითამაშებს. განა ეს ცოტაა? ფლორენტინომ ფენომენალური ტრანსფერი გაჩარხა. გახსოვთ, ამ გარიგებაზე რამდენი ხანი ლაპარაკობენ? თითქოს ყველაფერი დასრულებული იყო, მაგრამ წინა ხელმძღვანელობის მიერ წარმოებული 30-თვიანი ომი ფლორენტინომ რამდენიმე დღეში ტრიუმფალური გამარჯვებით დაასრულა. ეს ფანტასტიკაა. „რეალს" არამარტო საუკეთესო ფეხბურთელები, არამედ საუკეთესოთა შორის საუკეთესო პრეზიდენტიც ჰყავს. რონალდო დიდ გამარჯვებებსა და ფინანსურ მოგებას მოგვიტანს."*

რონალდოს მანჩესტერიდან მადრიდში გადაბარგებას თვით დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი **გორდონ ბრაუნი** გამოეხმაურა. და ეს მაშინ, როცა გაერთიანებულ სამეფოში სამთავრობო კრიზისი არ დასრულებულა. ბატონი ბრაუნი კრისტიანოს წასვლით გულდაწყვეტილია: *„ძალიან ცუდია, რომ რონალდო პრემიერლიგიდან წავიდა. დარწმუნებული ვარ, ეს ჩვენს ნაციონალურ ჩემპიონატს დაასუსტებს. გული მწყდება, მას ინგლისის სტადიონებზე რომ ვეღარ ვნახავ, მაგრამ რა გაეწყობა. მანჩესტერელებმა მათი კლუბის საქმე ყველაზე უკეთ იციან."*

**ილია ნიკოლაიშვილი**



ამელიამ აურია

მეტოქე

# თვითონაც ითამაშა და სხვაც ათამაშა

სამხრეთ აფრიკაში მყოფი იტალიის ნაკრები კონფედერაციათა თასისთვის გამალებით ემზადება. **მარჩელო ლიპი** შეგირდებს დღეში ორჯერ ავარჯიშებს და როგორც აპენინელი ჟურნალისტები წერენ, ფეხბურთელებს ძალიან დიდ დატვირთვას აძლევს. ოთხშაბათს „სკუადრა აძურამ" ერთი სპარინგ მატჩიც გამართა - იტალიის უმთავრესი გუნდი ამხანაგურად ახალი ზელანდიის ეროვნულ ნაკრებს ეპაექრა. ზელანდიელებიც საკონტინენტთაშორისო თასისთვის ემზადებიან და იტალიელების მსგავსად, აფრიკაში რამდენიმე დღით ადრე ჩავიდნენ.

გასულ შაბათს, „სკუადრა აძურამ" ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებს უმასპინძლა და მეტოქე დიდი ანგარიშით დაამარცხა. თანაც, იტალიელთა რიგებში არაერთმა დებიუტანტმა იასპარეზა, რაც კიდევ უფრო ფასეულს ხდის აპენინელთა იმ გამარჯვებას. რაც მთავარია, ლიპის სამწყსომ დიდებულად ითამაშა და მასმედიის ქებაც დაიმსახურა. იტალიელებმა ზელანდიის დამარცხებაც მოახერხეს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ჟურნალისტები და გულშემატკივრები არცთუ კმაყოფილები დარჩნენ.

ალბათ გახსოვთ, დაახლოებით ორი წლის წინ, პორტუგალიაში შეკრებაზე მყოფი საქართველოს ეროვნული ნაკრები სწორედ ახალ ზელანდიასთან დამარცხდა - 1:3, **კლაუს ტოპმიოლერი** კი მკაცრი კრიტიკის ქვეშ მოექცა. მაშინ ბევრმა აღნიშნა, რომ ზელანდიელებმა თავიანთი რეკორდი დაამყარეს და ევროპულ ქვეყანას პირველად გაუტანეს სამი გოლი. და აი, მეორე შემთხვევაც, თანაც მსოფლიოს ჩემპიონ იტალიის ეროვნულ ნაკრებთან. ვინც ჯერ კიდევ არ იცით და გეტყვით, რომ „აძურამ" მეტოქე მინიმალური სხვაობით, 4:3 დაამარცხა.

ბუნებრივია, „აძურას" დაცვის ხაზის ასეთი სუსტი თამაში აპენინებზე ძალიან არ მოეწონათ. თუმცა, მთავარ დამნაშავედ მაინც **მარკო ამელია** შერაცხა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამელიამ მართლაც საშინლად ითამაშა და შეხვედრის ანტიგმირი გახდა. „პალერმოს" კიპერს პირველი გაშვებული გოლისას ცოტა უფრო სხარტად რომ ემოქმედა, გუნდს აშკარად იხსნიდა. მეორე და მესამე ბურთებში კი უპატიებელი შეცდომები დაუშვა. ჯერ გამოსვლაზე შეცდა და მეტოქეს დარტყმის საშუალება მისცა, შემდეგ კი უწყინარ სიტუაციაში თერთმეტმეტრიანი აიკიდა. მოკლედ, ეს ნამდვილად არ იყო ამელიას თამაში და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კონფედერაციათა თასზე, მეორე მეკარის სტატუსი **მორგან დე სანქტისს** ექნება. შევეშვათ უკანა ხაზს და ორიოდე სიტყვა შეტევაზეც ვთქვათ.

მარჩელო ლიპიმ გუნდი 4-3-2-1 ტაქტიკით ათამაშა და ფეხბურთელები შემდეგნაირად განალაგა: ნახევარდაცვის ხაზზე **პალომბო, გატუზო** და **პეპე** დააყენა, მათ წინ კი ორი გარემარბი, **ფაბიო კვალიარელა** და **ჯუზეპე როსი** მოქმედებდა. ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი **ალბერტო ჯილარდინო** გახლდათ, თუმცა მხოლოდ პირველ ტაიმში, მეორე ნახევრიდან საქმეში **ვინჩენცო იაკვინტა** ჩაერთო. ალბერტომაც და ვინჩენცომაც მწვრთნელის იმედები ბოლომდე გაამართლეს, დუბლით გამოირჩნენ და განაპირობეს კიდეც „აძურას" გამარჯვება. თუმცა, არც სხვების დამსახურების დავიწყება ივარგებს. ძალიან კარგად წარმოჩინდა ფაბიო კვალიარელა, ვინაც მისთვის უჩვეულო, მარცხენა გარემარბის პოზიციაზე ირჯებოდა. იტალიელებმა ორი გოლი სწორედ მისი დიდებული გადაცემების წყალობით გაიტანეს. ჯერ ჯილარდინოს უპასა ფაბიომ, შემდეგ კი იაკვინტას. კარგი იყო **ანდრეა პირლოც** - მილანელი მეორე ნახევარში გავიდა მოედანზე, თუმცა ბევრი მოასწრო და ერთი საგოლე გადაცემაც მიითვალა აქტივში. მოკლედ, შეტევამ დაცვისგან განსხვავებით, კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ის რაც აძურელებს ზელანდიელებთან გაუვიდათ, შესაძლოა, გაცილებით ძლიერ მეტოქესთან არ გაუვიდეთ. როგორ აფასებს შეხვედრას მარჩელო ლიპი? - ამას მისი კომენტარიდან გაიგებთ:

*„ვფიქრობ, კონფედერაციათა თასისთვის მზად ვართ. გეთანხმებით, ამ შეხვედრაში არაერთი შეცდომა დავუშვით და ხარვეზი ბევრი იყო, მაგრამ ეს ნორმალურად მიმაჩნია. მთლიანობაში, ძალიან ნაყოფიერი თამაში გამოვიდა, რომელიც სამომავლოდ გამოგვადგება. ტურნირში სათამაშოდ ამხელა გზაზე წამოვედით და პირველ შეხვედრას პირდაპირ კონფედერაციათა თასზე ვერ ვითამაშებდით. ადაპტაციის თვალსაზრისით, ეს პაექრობა დიდად წაგვადგება და თავად ნახავთ, ამერიკის ნაკრებს სულ სხვა იტალია დაუპირისპირდება. კმაყოფილი ვარ თუ არა ამელიას თამაშით? - რა თქმა უნდა, არა. მარკომ ბევრი შეცდომა დაუშვა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას აღარ ვენდობი. შეცდომისგან დაზღვეული არც ერთი ფეხბურთელი არაა და მით უფრო, მეკარე. ამელია ძლიერი კიპერია და მას კვლავაც გამოვიძახებ ეროვნულ გუნდში. ძალიან მომეწონა კვალიარელა და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მასზე აქცენტის გაკეთება მომავალშიც შეიძლება. გარემარბის ფუნქციები შესანიშნავად შეასრულა და კიდევ ერთხელ დამანახვა, რომ უნივერსალი ფეხბურთელია. რომელ მოთამაშეებს დავეყრდნობი შეტევის წინა ხაზზე? - ამხელა გზაზე ტურისტად არავინ ჩამომიყვანია. თითოეულ მათგანს თავისი ფუნქცია ექნება და ყველამ უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა. 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე არაერთი ინდივიდუალისტი გვყავდა, მაგრამ პირველ რიგში, გუნდური თამაშით მივაღწიეთ წარმატებას. დარწმუნებული ვარ, თავს არც ამ მეტად პრესტიჟულ ტურნირში შევირცხვენთ".*

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიეგოს კიდევ ერთი კრახი

## ...მაგრამ მარადონამ ბრაზილიის ნაკრების დამარცხების პირობა დადო

**კოლუმბია-პერუ 1:0**

**კოლუმბია:** დავიდ ოსპინა, ამარანტო პერეა, კრისტიან საპატა, მარიო იეპესი, კამილო სცნიგა, ფაბიქნ ვარგასი (54. აბელ აგილარი), ფრედი გარინი, ვლადიმირ მარინი, მაკნელი ტორესი (67. ხუან პაბლო პინო), ვასონ რენტერია (46. უგო როდალიეგა), რადამელ ფალკაო გარსია.

**პერუ:** ლეაო ბუტრონი, კარლოს სამბრანო, ალბერტო როდრიგესი, ვალტერ ვილჩესი, ხუან კარლოს ლა როსა, ხოსეპმირ ბალონი (81. ალექს სანჩესი), პაოლო დე ლა ასა, ხუან ვარგასი (21. ლუის ტრუხილიო), ლუის რამირესი, ხოან ფანო, პაოლო გურერო (87. ერნან რენგიფო).

**გოლი:** 1:0 რადამელ გარსია (25)

**ვენესუელა-ურუგვაი 2:2**

**ვენესუელა:** რენი ვეგა, გერსონ ჩაკონი (57. ხოსე მანუელ ველასკესი), ხოსე მანუელ რეი, კარლოს სალასარი, ხუან ფუენმაიორი, ფრანკლინ ლუსენა, თომას რინკონი, სესარ გონსალესი (70. ანხელო პენია), ხუან არანგო, ჯანკარლო მალდონადო (62. ნიკოლას ფედორი), ალეხანდრო მორენო.

**ურუგვაი:** ხუან კასტილიო, ხორხე ფუსილე, დიეგო გოდინი, დიეგო ლუგანო, მარტინ კასერესი (81. ედისონ კავანი), მიგელ ამადო, დიეგო პერესი, ალვარო პერეირა, ალვარო ფერნანდესი (46. კრისტიან როდრიგესი), დიეგო ფორლანი, ლუის სუარესი (67. სებასტიან აბრეუ).

**გოლები:** 1:0 ჯანკარლო მალდონადო (9), 1:1 ლუის სუარესი (61), 1:2 დიეგო ფორლანი (72), 2:2 ხოსე მანუელ რეი (75)

**ჩილე-ბოლივია 4:0**

**ჩილე:** კლაუდიო ბრავო, გარი მედელი, ვალდო პონსე, გონსალო ხარა, როდრიგო მილიარი (83. მაურისიო ისლა), მარკო ესტრადა, ჟან ბოსეჟური, მათიას ფერნანდესი (68. ხორხე ვალდივია), ალექსის სანჩესი, უმბერტო სუაზო (83. ექტორ მანსილია), მარკ გონსალესი.

**ბოლივია:** კარლოს არიასი, რონალდ რივეროსი, ხუან მანუელ პენია, რონალდ რალდესი, კრისტიან ვარგასი, იგნასიო გარსია, დიდი ტორიკო (57. აბდონ რეიესი), ხაიმე რობლესი (83. ხოსელიტო ვაკა), რონალდ გარსია, ალექს და როსა (46. ხერარდო იესეროტე), პაბლო ესკობარი.

**გოლები:** 1:0 ჟან ბოსეჟური (44), 2:0. მარკო ესტრადა (73), 3:0. ალექსის სანჩესი (78), 4:0 ალექსის სანჩესი (90)

**გაძევება:** იგნასიო გარსია (72. ბოლივია)

**ბრაზილია-პარაგვაი 2:1**

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი, დანიელ ალვესი, ლუსიო, ჟუანი, კლებერი, ფელიპე მელო, ჟილბერტო სილვა, ელანო (59. რამირესი), კაკა, რობინიო (85. კლებერსონი), ნილმარი (75. პატო).

**პარაგვაი:** ხუსტო ვილიარი, დარიო ვერონი, პაულო და სილვა, ხულიო სესარ კასერესი, დენის კანისა, კარლოს ბონეტი (69. ედგარ ბენიტესი), ვიქტორ კასერესი, კრისტიან რივეროსი, ედუარდო ლედესმა (62. სერხიო აკინო), ოსვალდო მარტინესი (78. დანტე ლოპესი), სალვადორ კაბანიასი.

**გოლები:** 0:1 სალვადორ კაბანიასი (25), 1:1 რობინიო (40) 2:1 ნილმარი (49)

**ეკვადორი-არგენტინა 2:0**

**ეკვადორი:** ელისაგა, რეასკო, ესპინოსა, ურტადო, აიოვი, ნობოა (46. პალასიოსი), მენდესი, კასტილიო, ვალენსია, საისედო (80. გერონი), ტენორიო (14. მონტერო).

**არგენტინა:** ანდუხარი, ძანეტი, დემიკელისი, ჰაინცე (83. დიეგო მილიტო), ოტამენდი, გაგო (75. ვერონი), ბატალია, ხონას გუტიერესი, მაქსი როდრიგესი, მესი, ტევესი (67. ბერგესიო).

**გოლები:** 1:0 აიოვი (72), 2:0 პაბლო პალასიოსი (83)

გასულ ოთხშაბათს არგენტინის ნაკრებს მორიგი დიდი უსიამოვნება შეემთხვა. უსიამოვნება ისევ ძალიან რბილი ნათქვამია, რადგან ამ ყველაფერს ფიასკო და კატასტროფა უფრო ჰქვია. მოგეხსენებათ, დაახლოებით ორთვენახევრის წინ ალბისელესტემ 2010 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო რაუნდში ბოლივიასთან გასვლითი შეხვედრა დიდი ანგარიშით 1:6 წააგო. დაგვეთანხმებით, მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი უპირველესი გრანდის ასეთი ანგარიშით წაგება ყოველთვის ტოტალურ კრახად შეფასდება. ასე მოხდა მაშინაც, თუმცა **დიეგო მარადონას** იმედი ჰქონდა, რომ მისი გუნდი მიმდინარე საკვალიფიკაციო რაუნდს დაუმარცხებლად ჩაატარებდა და მთელ საზოგადოებას დაუმტკიცებდა, რომ ლაპასში განცდილი კრახი უბედური შემთხვევა იყო და სხვა არაფერი. მარადონას იმედი არ გამართლდა. ალბისელესტემ კიდევ ერთი გასვლითი პაექრობა წააგო. მართალია, ამჯერად ადამიანური ანგარიშით, მაგრამ ამით აბსოლუტურად არაფერი იცვლება. მთავარი შედეგი და თამაშის ხარისხია. არგენტინელები ოთხშაბათის შეხვედრაში ვერც ერთი თვალსაზრისით ვერ გამოირჩეოდნენ. მარადონისტებმა ისევ და ისევ მაღალმთიანი კლიმატით აპელირება და თავის მართლება დაიწყეს. მათ შორისაა, თავად დიეგოც, მაგრამ ალბისელესტეს მთავარი მწვრთნელი წაგების ერთადერთ მიზეზად ზღვის დონიდან 2800 მეტრის სიმაღლეზე თამაშს არ მიიჩნევს.

აღსანიშნავია, რომ არგენტინელები გასულ შაბათსაც არ ბრწყინავდნენ, არადა, კოლუმბიასთან საშინაო შეხვედრაში მათ კლიმატთან დაკავშირებული პრობლემები ნამდვილად არ აწუხებდათ. პირდაპირ და დაუფარავად უნდა ითქვას, რომ სტუმრებმა კიტოში საზიზღრად ითამაშეს და სრულიად დამსახურებულად წააგეს. ერთი საათის განმავლობაში არგენტინა მეტნაკლებად ნორმალურად ასპარეზობდა, მაგრამ შეხვედრის დასკვნითი ნაწილი იმდენად უბადრუკად ჩაატარეს, რომ მათი ფიასკო უილბლობით ნამდვილად არ უნდა აიხსნას. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ციდან ვარსკვლავებს არც ეკვადორელები წყვეტდნენ, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა შეხვედრის მონაწილე გუნდების პრესტიჟი, მიზნები და ამბიციები უნდა გავითვალისწინოთ. არგენტინელებისთვის სამწუხაროდ, დიეგო იმ შედეგს ვერ აღწევს, რისთვისაც ის ამ საოცნებო თანამდებობაზე დაინიშნა. საფეხბურთო ასოციაციის მესვეურებსა და გულშემატკივრებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ მარადონას ნაკრები შეტევაში ჯადოსნურად ითამაშებდა და მთელ მსოფლიოს აალაპარაკებდა. ჯერჯერობით მსგავსი არაფერი ხდება. ამასობაში კი, ლეგენდარული არგენტინელის წინააღმდეგ პროტესტის ახალი ტალღა აგორდა.



მარადონამ მოედანი პოლიციის თანხლებით დატოვა

დიეგოს ოპონენტთა კრიტიკის პირველი ტალღა, ბუნებრივია, ბოლივიასთან განცდილ კატასტროფას მოჰყვა. მაშინ საზოგადოების ერთი ნაწილი ეროვნული გუნდის დამრიგებლის დაუყოვნებლივ წასვლას ითხოვდა. მსგავს სიტუაციებში როგორც ყოველთვის ათასგვარ სოციოლოგიურ გამოკითხვას ატარებენ ხოლმე. ასე მოხდა მაშინაც. ერთ-ერთი საგულშემატკივრო საიტის მიერ მოწყობილ გამოკითხვაში 23 545 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. საიტის მონაცემებით, გულშემატკივრების 38 პროცენტი მიიჩნევდა, რომ მარადონა გამოუცდელი სპეციალისტია და ნაკრებს სიკეთეს ვერ მოუტანდა. ისინი მის დაუყოვნებლივ წასვლას ითხოვდნენ. სახელდახელო გამოკითხვა ამჯერადაც ჩატარდა. მასში დაახლოებით იმდენივე ინჩასმა მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ანტიმარადონისტების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ მაშინ მის წასვლას 38 პროცენტი ითხოვდა, ახლა მათი რაოდენობა გამოკითხულთა 47 პროცენტამდე გაიზარდა. დაგვეთანხმებით, ეს ძალიან საგანგაშო სიგნალია. დროა, მარადონამ რადიკალური ნაბიჯები გადადგას, თორემ ზეწოლას ველარ გაუძლებს და სანუკვარი თანამდებობის დატოვება მოუწევს.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ალბისელესტეს მთავარმა მწვრთნელმა ასეთი რამ განაცხადა:

*„პირველ ტაიმში ბოლივიამ ვერაფერი დაგვიპირისპირა. შესვენების შემდეგ კი ის გოლები გაგვიტანეს, რომელიც მათ ფეხბურთის ღმერთმა აჩუქა. არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ თავს ვიმართლებ. ჩვენს დღევანდელ წარუმატებლობას არანაირი გამართლება არ გააჩნია, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა ოპტიმიზმს არ ვკარგავ. პრობლემები რომ არ გვქონდეს, რა თქმა უნდა, დღეს არ დავმარცხდებოდით, თუმცა მეორე მხრივ არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ ალბისელესტე მაინც პროგრესის გ ზით მიდის. მთავარია, ეს პროგრესი დადებით შედეგებში აისახოს. ბოლივიასთან და დღეს ეკვადორთან განცდილი მარცხის გამო რეაბილიტაცია გვმართებს. ვფიქრობ, ამისთვის საუკეთესო საშუალება ბრაზილიის დამარცხებაა. დარწმუნებული ვარ, მე და ჩემი ბიჭები ამას შევძლებთ. ფეხბურთში ყველაფერი ხდება, დღევანდელი წარუმატებლობის გამო იმედს ნუ დავკარგავთ. წინ დიდი გამარჯვებები გველის. დამიჯერეთ, არგენტინა საუკეთესო ფეხბურთს ძალიან მალე ითამაშებს. ფეხბურთელებს ვერაფერს ვუსაყვედურებ. მათ თავი დადეს, ყველაფერი გააკეთეს რაც შეეძლოთ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ 2800 მეტრის სიმაღლეზე სტუმრად ჩასულ ადამიანს ბევრი არც არაფრის გაკეთება შეუძლია.“*

ამ შეხვედრის მიმოხილვის დასასრულს იმასაც გეტყვით, რომ ეკვადორის ნაკრებმა მეხუთე პოზიციაზე გადაინაცვლა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას მუნდიალის დასკვნით ეტაპზე მოხვედრის რეალური შანსი გაუჩნდა.

ბრაზილიისგან პარაგვაისთან საშინაო შეხვედრაში ტორსიდა ბევრად უფრო შთამბეჭდავ თამაშს ელოდა. გულშემატკივრები გარკვეულწილად იმედგაცრუებული დარჩნენ, მაგრამ ყველა ერთხმად აღიარებს, რომ მაშინ, როცა ევროპაში მოასპარეზე ფეხბურთელების უდიდესი ნაწილი დაღლილი და არაქათგამოცლილია, უპირველესი ამოცანა მაინც შედეგია. შედეგის თვალსაზრისით კი სელესაოს ნამდვილად ვერაფერს დავუწუნებთ. მთავარია, რომ მორიგი სამი ქულის წყალობით პენტაკამპეონებმა ლიდერობა განიმტკიცეს. უნდა აღინიშნოს, რომ მასპინძელთა წარმატება დიდ წილად **კაკასა** და **რობინიოს** არაჩვეულებრივმა თამაშმა განაპირობა. მადრიდის „რეალისა“ და „მანჩესტერ სიტის“ ვარსკვლავები პარაგვაის ნაკრების ნახევარმცველებსა და მცველებს მოსვენებას არ აძლევდნენ. რობინიომ გოლი თავად გაიტანა, კაკა კი პრაქტიკულად ყველა სახიფათო იერიშში აქტიურად მონაწილეობდა. სტუმრებს ოდნავ მეტად რომ გამართლებოდათ, ალბათ, არ წააგებდნენ, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ქულების დაკარგვას ბრაზილიელებიც არ იმსახურებდნენ.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მაქსიმალისტმა ბრაზილიელმა ჟურნალისტებმა **დუნგა** თამაშის არცთუ სახარბიელო ხარისხის გამო გააკრიტიკეს, თუმცა სელესაოს მთავარმა მწვრთნელმა თავი იოლად დაიცვა:

*„ძალიან კარგად მესმის, რომ ჟურნალისტებსა და გულშემატკივრებს ბევრად უფრო შთამბეჭდავი ნაკრების ნახვა სურთ, მაგრამ ობიექტური მიზეზების გათვალისწინებით, ეს ყოველთვის არ არის შესაძლებელი. მით უმეტეს ახლა, როცა ფეხბურთელების უდიდესი ნაწილი ხანგრძლივი და მომქანცველი საკლუბო სეზონის გამო გადაღლილია. ისინიც ხომ ადამიანები არიან. იოლი არ არის, მთელი წელი ევროპაში გაატარო, უმძიმესი მატჩები ითამაშო და სეზონის მიწურულს ისეთივე თავშემონახული იყო, როგორც აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისში. ბიჭებმა თავდაუზოგავად იასპარეზეს. მათ მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. მრავალი პრობლემის მიუხედავად, სელესაომ ორივე მატჩი მოიგო. ნუ დაგავიწყდებათ, რომ რამდენიმე დღის წინ ურუგვაი ურუგვაიში დავამარცხეთ. ეროვნულ გუნდს ასეთი დიდი წარმატება ბოლო 33 წლის განმავლობაში არ ჰქონდა მიღწეული. დიდი ბოდიში, რომ საუკეთესო თამაში ვერ ვაჩვენეთ, მაგრამ მე მაინც ყოველმხრივ კმაყოფილი ვარ. დღეს მთავარი ამოცანა გამარჯვება და ლიდერობის განმტკიცება გახლდათ. ჩვენ ამ ამოცანას წარმატებით გავართვით თავი და უკმაყოფილო ნამდვილად ვერ ვიქნები. ხარვეზებს რაც შეეხება, რის გამოც ახლა მაკრიტიკებთ, დროთა განმავლობაში აუცილებლად გამოვასწორებთ. მთავარია, 2010 წლის მუნდიალს მაქსიმალურად მომზადებული შევხვდეთ. ჩვენ ამას აუცილებლად გავაკეთებთ“.*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრაზილია | 14 | 7 | 6 | 1 | 25-6 | 27 |
| 2. ჩილე | 14 | 8 | 2 | 4 | 23-14 | 26 |
| 3. პარაგვაი | 14 | 7 | 3 | 4 | 20-13 | 24 |
| 4. არგენტინა | 14 | 6 | 4 | 4 | 19-15 | 22 |
| 5. ეკვადორი | 14 | 5 | 5 | 4 | 18-20 | 20 |
| 6. ურუგვაი | 14 | 4 | 6 | 4 | 23-16 | 18 |
| 7. კოლუმბია | 14 | 4 | 5 | 5 | 7-11 | 17 |
| 8. ვენესუელა | 14 | 5 | 2 | 7 | 17-24 | 17 |
| 9. ბოლივია | 14 | 3 | 3 | 8 | 19-30 | 12 |
| 10. პერუ | 14 | 1 | 4 | 9 | 7-29 | 7 |

ილია ნიკოლაიშვილი



მესის ძალიან გაუჭირდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საგზურამდე სამი ქულა დარჩა



ჯონ ჰეიტინგა მორტენ გამსტ პედერსენის წინააღმდეგ

## I ჯგუფი

**შვედეთი-მალტა 4:0**

**გოლები:** 1:0 კალსტრიომი (22), 2:0 მაისტროვიჩი (52), 3:0 იბრაჰიმოვიჩი (56), 4:0 ბერგი (58)

შვედეთის ნაკრებმა მოსალოდნელი გამარჯვება იზეიმა. ბუნებრივია, მალტა არ არის ის ძალა, რომელიც „ტრე კრუნურს" წინააღმდეგობას გაუწევდა. შეხვედრა მოულოდნელად დაიწყო, თუმცა **ალექს მუსკატმა** და **დანიელ ბოგდანოვიჩმა ანდრეას ისაკსონის** უხეში შეცდომით ვერ ისარგებლეს. მასპინძლებმა პირველი ტაიმის შუა წელს გაიტანეს - თავი გამოიჩინა **კიმ კალსტრიომმა.** საგოლე კომბინაციაში მონაწილეობა მიიღეს მარცხენა მცველმა **ბეჰრანგ საფარიმ** და ნახევარმცველმა **რასმუს ელმმა** - 1:0. ზოგადად პირველ ნახევარში შვედები დაცვაში უყურადღებოდ გამოიყურებოდნენ და უპირატესობაც მეტად მყიფე ჰქონდათ. მეორე ტაიმში ყველაფერი შეიცვალა. 6 წუთის ინტერვალში მათ 3 გოლის გატანა მოახერხეს და შეხვედრას წერტილი დაუსვეს. 52-ე წუთზე იმავე კიმ კალსტრიომის კუთხურს **დანიელ მაისტროვიჩი** გამოეხმაურა - 2:0, რასაც **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** და **მარკუს ბერგმა** თითო დაამატეს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დანია | 6 | 5 | 1 | 0 | 13-2 | 16 |
| 2. უნგრეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 8-2 | 13 |
| 3. პორტუგალია | 6 | 2 | 3 | 1 | 8-4 | 9 |
| 4. შვედეთი | 6 | 2 | 3 | 1 | 6-2 | 9 |
| 5. ალბანეთი | 8 | 1 | 3 | 4 | 4-8 | 6 |
| 6. მალტა | 8 | 0 | 1 | 7 | 0-21 | 1 |

## IV ჯგუფი

**ფინეთი-რუსეთი 0:3**

**გოლები:** 0:1 კერჟაკოვი (27), 0:2 კერჟაკოვი (53), 0:3 ზირიანოვი (71)

ვერ გეტყვით, იმოქმედა თუ არა რუსეთის ნაკრებზე ფინეთთან ამ დღეებში დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ, მაგრამ ფაქტი ერთია, **გუს ჰიდინკის** ნაკრებმა სუომისგან ქვა ქვაზე არ დატოვა. თავი გამოიჩინეს **ალექსანდრ კერჟაკოვმა** (ორჯერ) და **კონსტანტინ ზირიანოვმა.** შეხვედრას ესწრებოდა გერმანიის ნაკრების მწვრთნელი **ჰანსი ფლიკიც.** მე-4 ჯგუფში ჯერ პირველადგილოსნის ვინაობა გარკვეული არ არის. ის კი უკვე გასაგებია, რომ გერმანელებისა და რუსების გარდა ჯგუფიდან გასასვლელად უკვე ველარავინ იბრძოლებს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 6 | 5 | 1 | 0 | 18-4 | 16 |
| 2. რუსეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 12-3 | 15 |
| 3. ფინეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-10 | 10 |
| 4. უელსი | 7 | 3 | 0 | 4 | 5-7 | 9 |
| 5. აზერბაიჯანი | 5 | 0 | 1 | 4 | 0-5 | 1 |
| 6. ლიხტენშტაინი | 6 | 0 | 1 | 5 | 1-15 | 1 |

## VI ჯგუფი

**ინგლისი-ანდორა 6:0**

**გოლები:** 1:0 რუნი (4), 2:0 ლემპარდი (29), 3:0 რუნი (39), 4:0 დეფო (73), 5:0 დეფო (76), 6:0 კრაუჩი (80)

ინგლისის ნაკრების თავკაცი **ფაბიო კაპელო** შეხვედრის წინადღეს წუწუნებდა - ცხადია, რომ ხვალ ანდორას გავანადგურებთ და ასეთ შეხვედრებს რა აზრი აქვს, იქნებ ამ კალიბრის ნაკრებების შესარჩევში მონაწილეობის აზრი ვინმემ ამიხსნასო. ბუნებრივია, იტალიელი მაესტრო გადაღლილი ფეხბურთელების გამო მოთქვამდა. მატჩს ერთადერთი ინტრიგა ახლდა თან - რამდენი ათასი მაყურებელი მივიდოდა სტადიონზე. ჩვენი გაზეთი უკვე წერდა, რომ ლონდონში მეტროს მუშაკთა საყოველთაო გაფიცვა მოხდა და ორი დღეა, ქალაქი ლამის პარალიზებულია. შეიქმნა გადაადგილების პრობლემა. საფეხბურთო ასოციაციამ ეს ყველაფერი წინასწარ გაითვალისწინა და ზუსტად 90 ათას მაყურებელზე გათვლილ არენაზე 70 ათასი ბილეთი დაბეჭდა. ანდორელთა განადგურებას კი რეალურად სულ 58 ათასმა ადამიანმა უყურა.

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მოსალოდნელი იყო: ინგლისმა მეტოქე მიწასთან გაასწორა. დუბლით გამოიჩინეს თავი **უეინ რუნიმ** და **ჯერმეინ დეფომ,** თითო გოლი ჩაიწერეს თავიანთ აქტივში **ფრენკ ლემპარდმა** და **პიტერ კრაუჩმა.**

თამაშის პერიპეტიების აღწერით თავს აღარ შეგაწყენთ. მხოლოდ ერთ საინტერესო ფაქტს გეტყვით: უეინ რუნიმ დუბლის წყალობით 1991 წელს **გარი ლინეკერის** მიერ დამყარებული რეკორდი გაიმეორა, გაიტანა რა, ერთი სეზონის განმავლობაში 10 სანაკრებო გოლი. ამით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ რუნი კლასიკური ცენტრფორვარდია და ის პოზიცია, რომელზეც მას **ალექს ფერგიუსონი** ათამაშებს, მისთვის შეუფერებელია.

*„შესვენებისას რუნისა და ჯერარდს ვუთხარი, რომ მათ შეეძლოთ, მშვიდი სინდისით გასულიყვნენ შვებულებაში და კარგად დაესვენათ, - განაცხადა ფაბიო კაპელომ. - ეს იყო იდეალური თამაში. ჩვენ წარმოუდგენლად ძლიერად ვიასპარეზეთ. დაუბრკოლებლად ვქმნიდით სახიფათო მომენტებს. როცა ანდორის წინააღმდეგ თამაშობ, უნდა დაიწყო და დაასრულო ყველაფერი ძალიან მალე. სასიამოვნოა, რომ ყოველ შეხვედრაში უფრო უკეთ გამოვიყურებით".*

**უკრაინა-ყაზახეთი 2:1**

**გოლები:** 0:1 ნურსბაიევი (19), 1:1 ნაზარენკო (33), 2:1 ნაზარენკო (47)

**ალექსეი მიხაილიჩენკოს** შეგირდებმა შაბათს მნიშვნელოვანი ქულა წამოიღეს ზაგრებიდან და მიუხედავად იმისა, რომ ეს ქულა **ანდრეი შევჩენკოს** ტრავმად დაუჯდათ, ყაზახეთთან გუნდის განწყობილება მაინც საბრძოლო იყო.

შეხვედრა მასპინძელთა შეტევებით დაიწყო. უკვე მესამე წუთზე შეეძლო ანგარიშის გახსნა **არტიომ მილევსკის,** მაგრამ მან **სერგეი ნაზარენკოს** იდეალური ჩაწოდება ვერ გამოიყენა. გატანა შეეძლო **ალექსეი გაისაც,** მაგრამ გადამწყვეტი დარტყმა ძალზე უხეიროდ შეასრულა. აღსანიშნავია, რომ ხორვატებთან ნაომარი **ანატოლი ტიმოშჩუკი** ისევ ბრწყინვალედ გამოყურებოდა, ოღონდ დაცვით სამუშაოებში, რაც შეეხება შეტევის წამოწყებას, „ბაიერნის" ახალწვეულს ეს ნაკლებად გამოსდიოდა. მე-18 წუთზე **ბოგუშის** კარში გატანილი გოლი აბსოლუტურად ამოვარდნილი იყო შეხვედრის ლოგიკიდან. დაცვამ შოკის მომგვრელი შეცდომა დაუშვა - **შევჩუკმა** და **როტანმა ნუსაბაიევი** ყველაფრის უფლება მისცეს - 0:1. უკრაინამ სრული უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ საოცარ მომენტებს აფუჭებდნენ მილევსკი და **ვორონინი.** 33-ე წუთზე ბრწყინვალედ გაისროლა „დნიპროს" ნახევარმცველმა **სერგეი ნაზარენკომ,** მან ბურთი ზუსტად მაღალ „ცხრიანში" ჩასვა. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა იმავე ნაზარენკომ თავისი გუნდი წინ გაიყვანა - მილევსკის პასით მეკარესთან ერთი-ერთზე დარჩა და შორეული კუთხის დალაშქვრა აღარ გასჭირვებია. 71-ე წუთზე **როტანის** მიერ შესრულებული საჯარიმოს შემდეგ თავურით გატანა მართებდა ისევ და ისევ მილევსკის. მე-80 წუთზე **მოკინი** კიდევ ერთხელ დაინდო შეცვლაზე შესულმა **ევგენი სელეზნიოვმა.**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 7 | 7 | 0 | 0 | 26-4 | 21 |
| 2. ხორვატია | 6 | 3 | 2 | 1 | 12-6 | 11 |
| 3. უკრაინა | 6 | 3 | 2 | 1 | 9-6 | 11 |
| 4. ბელარუსი | 5 | 3 | 0 | 2 | 14-7 | 9 |
| 5. ყაზახეთი | 7 | 1 | 0 | 6 | 7-22 | 3 |
| 6. ანდორა | 7 | 0 | 0 | 7 | 2-25 | 0 |

## VII ჯგუფი

**ფარერები-სერბეთი 0:2**

**გოლები:** 0:1 იოვანოვიჩი (43), 0:2 სუბოტიჩი (62)

ბუნებრივია, შეხვედრა სერბების უპირატესობით წარიმართა. დებიუტშივე მართებდა გოლის გატანა **ნიკოლა ჟიგიჩს,** მაგრამ მისი თავური ხარიხას მოხვდა. ხანდახან, მაგრამ მომენტებს მასპინძლებიც ქმნიდნენ, მაგალითად, ანგარიშის გახსნა შეეძლო **იოჰან დავიდსონს.** ფარერელთა კარის დარაჯმა მიკელსენმა **პანტელიჩისა** და **იოვანოვიჩის** რთული დარტყმები აიღო, თუმცა ამ უკანასკნელმა 43-ე წუთზე მაინც მოახერხა თავის გამოჩენა. 55-ეზე გათანაბრება შეეძლო **სუნი ოლსენს,** თუმცა კარგი პოზიციიდან ვერ მოახერხა კარის ჩარჩოში მორტყმა. 62-ე წუთზე მატჩი ინტრიგა „დორტმუნდის" ახოვანმა ცენტრალურმა მცველმა **ნევენ სუბოტიჩმა** მოკლა. მან კუთხურის გათამაშების შემდეგ მოახერხა თავის გამოჩენა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სერბეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 15-5 | 18 |
| 2. საფრანგეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-6 | 10 |
| 3. ლიტვა | 7 | 3 | 0 | 4 | 6-6 | 9 |
| 4. ავსტრია | 6 | 2 | 1 | 3 | 7-9 | 7 |
| 5. რუმინეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-10 | 7 |
| 6. ფარერები | 5 | 0 | 1 | 4 | 1-7 | 1 |

## IX ჯგუფი

**ჰოლანდია-ნორვეგია 2:0**

**გოლები:** 1:0 ოოიერი (33), 2:0 რობენი (51)

სკანდინაველებთან მოგება ჰოლანდიელებს მხოლოდ პრესტიჟის გასამყარებლად სჭირდებოდათ, რადგან ისლანდიასთან მოგების შემდეგ მათ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური უკვე გაინაღდეს. თუმცა თავად ფეხბურთელებს სურდათ **იოჰან კრუიფისთვის** დაემტკიცებინათ, რომ ის სულ ტყუილად ცდილობს მათი ძალის დაკნინებას. მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის წინ მან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა თანამემამულეები. „ნარინჯისფრებმა" ნორვეგიასთან ზედიზედ მე-7 საკვალიფიკაციო შეხვედრა მოიგეს. როტერდამში საფეხბურთო ზეიმი არ შედგა - ამის მიზეზი კოკისპირული წვიმა გახდა. „დე კუიპის" მინდვრის სადრენაჟო სისტემამ უზარმაზარ ნალექს ვერ გაუძლო და ფეხბურთელებს ლამის ჭაობში უხდებოდათ თამაში. აუტანელ პირობებშიც კი „მფრინავი მასპინძლები" სტუმართა კართან მომენტებს მაინც ქმნიდნენ. მეორე ათწუთეული ახალი დაწყებული იყო, რომ **არიენ რობენის** ჩაწოდების შემდეგ **დირკ კუიტს** სულ ცოტა დააკლდა ანგარიშის გახსნამდე. ნორვეგიელები კი, როგორც ჩანს, მეტოქის კარისკენ გახედვას არც აპირებდნენ. ისინი სრული შემადგენლობით თავს იცავდნენ. 35-ე წუთზე **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** საჯარიმო შეასრულა და ბურთი ახლო ძელთან დაკიდა. **ანდრე ოოიერმა** „მეორე სართულზე" ბრძოლაში ყველას აჯობა - 1:0.

მეორე ტაიმის დებიუტში სტუმრებმა გაიხსენეს, რომ მათთვის წინ წასვლა არავის აუკრძალავს. **მორტენ გამსტ პედერსენმა** მომხიბლავი სოლო რეიდით რამდენიმე ჰოლანდიელი მცველი ჩამოიშორა და ძლიერად დასცხო, რასაც ადგილზე დახვდა **მაარტენ სტეკელენბურგი** და კუთხურზე მოიგერია. სტანდარტულის გათამაშებას აიაქსელის არადამაჯერებელი თამაში მოჰყვა, თუმცა ის **იორის მატიისენმა** დააზღვია. ორიოდე წუთში რობენმა მოახერხა ადგილობრივი გულშემატკივრის დამშვიდება. მან **ვან პერსისგან** მიიღო პასი, მეკარეს პირისპირ შეეყარა და მახვილი კუთხიდან დაარტყა - 2:0. შეხვედრის დარჩენილი პერიოდიც ჰოლანდიელთა სრული უპირატესობით წარიმართა. გატანა მართებდათ რობენსა და ვან დერ ვაარტს, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

**მაკედონია-ისლანდია 2:0**

**გოლები:** 1:0 სტოიკოვი (10), 2:0 ივანოვსკი (86)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 7 | 7 | 0 | 0 | 16-2 | 21 |
| 2. მაკედონია | 6 | 2 | 1 | 3 | 4-7 | 7 |
| 3. შოტლანდია | 5 | 2 | 1 | 2 | 4-6 | 7 |
| 4. ისლანდია | 7 | 1 | 1 | 5 | 6-12 | 4 |
| 5. ნორვეგია | 5 | 0 | 3 | 2 | 2-5 | 3 |

**შალვა ბიბილაშვილი**



გამოვიდა ივნისის ნომერი

ჰამბურგი

# პოულსენი ლაბადიასთან?

## იუვენტუსს დანიელი საყრდენი აღარ სჭირდება

სამხრეთელი საკითხის გადაწყვეტის შემდეგ („ჰამბურგი“ **ბრუნო ლაბადიამ** ჩაიბარა), ჩრდილოგერმანულმა კლუბმა გუნდის გაძლიერებაზე დაიწყო ზრუნვა. სასურველ ფეხბურთელთა სია საკმაოდ გრძელია. ფავორიტები კი ლორიკ კანა, „ჰერტას“ მცველი **იოზიპ შიმუნიჩი** და „იუვენტუსის“ საყრდენი ნახევარმცველი **კრისტიან პოულსენი** არიან.

ჩვენი გერმანელი კოლეგები ირწმუნებიან, რომ „ჰამბურგის“ ხელმძღვანელები პირველ რიგში პოულსენის შეძენას ცდილობენ. დანიელი ნახევარმცველი „იუვენტუსს“ აღარაფერში სჭირდება. პოულსენი ტურინული გრანდის ძირითად შემადგენლობაში ძალიან იშვიათად ხვდება და გუნდის გამოცვლა უნდა, რადგან წინ მსოფლიოს ჩემპიონატია და არ უნდა, რომ სათამაშო პრაქტიკის უქონლობის გამო მუნდიალს მიღმა დატოვონ. „იუვენტუსის“ სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო** მზადაა, „ჰამბურგთან“ მოლაპარაკებები აწარმოოს. გერმანული კლუბისთვის ერთადერთი ხელის შემშლელი ფაქტორი ის არის, რომ დანიელს ტურინულ გრანდში ძალიან მაღალი ხელფასი აქვს: ის წელიწადში სამ მილიონ ევროს იღებს და ფაქტია, რომ „ჰამბურგს“ მისთვის ამდენის გადახდა არ შეუძლია. თუმცა დიდი შანსია, რომ პოულსენი ხელფასის დაკლებას დაყაბულდეს.

„ჰამბურგში“ გადასვლის კიდევ ერთი სერიოზული კანდიდატი ალბანელი **ლორიკ კანაა**, რომელიც მარსელის „ოლიმპიკში“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახლავთ. გაირკვა, რომ კანას „ჰამბურგის“ ხელმძღვანელები პორტუგალიისა და ალბანეთის ნაკრები გუნდების მატჩის დროს (2:1 პორტუგალიელთა სასარგებლოდ) აკვირდებოდნენ. კანა ნაკრებში ცენტრალური მცველის პოზიციაზე თამაშობს, კლუბში კი საყრდენი ნახევარმცველია. საფრანგეთში მას ერთ-ერთი საუკეთესო ჩამშლელის სტატუსი აქვს. „მარსელი“ 25 წლის ალბანელის სანაცვლოდ 10 მილიონ ევროს ითხოვს. შეგახსენებთ, რომ „ჰამბურგის“ თავკაც ლაბადიას ტრანსფერებისთვის სულ 16 მილიონი აქვს გამოყოფილი.

„ჰამბურგში“ შეიძლება ვიხილოთ ბერძენი **კოსტას კაცურანისიც**, რომელიც ლისაბონის „ბენფიკას“ საკუთრებაა. ის სამი მილიონი ევრო ღირს. კანდიდატად რჩება **ტიმ ბოროვსკიც**, რომელმაც „ბაიერნში“ იმედები ვერ გაამართლა. ფაქტია ისიც, რომ ჰამბურგელებს დაცვის ცენტრშიც სჭირდებათ გაძლიერება. ისინი „ჰერტას“ დაცვის ბურჯ **იოზიპ შიმუნიჩს** უმიზნებენ, რომელმაც ბუნდესლიგის გასული სეზონი ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა. აღსანიშნავია, რომ შიმუნიჩი 1997-1999 წლებში უკვე ასპარეზობდა „ჰამბურგის“ რიგებში, მაგრამ მაშინ იმედები ვერ გაამართლა და გუნდი დაატოვებინეს. ახლა კი შესანიშნავ ფორმაშია. ბერლინელები შიმუნიჩს 7 მილიონად აფასებენ და როგორც „ბერლინერ კურიერი“ გვამცნობს, მისი გადაბირება მადრიდის „ატლეტიკოს“ და „სევილიასაც“ უნდათ.


კრისტიან პოულსენი შეიძლება ჰამბურგში გადავიდეს

თითქმის გადაწყვეტილი იყო, „ჰამბურგს“ **ბასტიან რაინჰარდტი** დაეტოვებდა. 33 წლის მცველმა ამას წინათ ბოსებს ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარი უთხრა. ახლა კი, როგორც ჩანს, გადაიფიქრა და „ჰამბურგში“ დარჩენა უნდა. რაინჰარდტი ამბობს, მზად ვარ, „ჰამბურგის“ წინადადებას დავთანხმდე და კონტრაქტი გავაგრძელოო.

ამბები

### შტუტგარტი— [illegible]

„შტუტგარტი“ რომ ახალ გოლეადორს ეძებს, ამის შესახებ „ლელოს“ მკითხველი ინფორმირებულია. შეგახსენებთ კანდიდატების სიას: **იოვანოვიჩი, პანტელიჩი, ვაგნერ ლავი, კავენაგი** და **დემბა ბა**. „კიკერის“ ინფორმაციით, შვაბური კლუბისთვის ფავორიტად ჰოფენჰაიმელი ბა რჩება და „შტუტგარტი“ „სოფლელებისთვის“ ახალი წინადადებით მიმართვას აპირებს. ლაპარაკია 16-დან 19 მილიონ ევროზე.

### მეფე არტური ჰანოვერში?

ბილეფელდის „არმინია“ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდა, რის გამოც ამ გუნდის თავდამსხმელს და ლიდერს, **არტურ ვიხნიარეკს** ახალი კლუბის პოვნა სურს. „მეფე არტურის“ გადაბირება „ჰანოვერმა“ მოისურვა. „შპორტ ბილდი“ იტყობინება, რომ „წითლები“ მზად არიან, „არმინიას“ ვიხნიარეკის სანაცვლოდ 1.5 მილიონი ევრო გადაუხადონ. ამ უკანასკნელს „არმინიასთან“ კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს. ვიხნიარეკმა ბუნდესლიგის გასულ სეზონში 13 გოლი გაიტანა, მაგრამ ბილეფელდური კლუბი მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებისგან ვერ იხსნა.

### ჰამით ალთინთოფს ფენერში უხმობენ

თურქეთის ნაკრების ნახევარმცველ **ჰამით ალთინთოფს** „ბაიერნთან“ კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს. თურქული გამოცემა „ფანატიკის“ ცნობით, ტყუპისცალს „ფენერბაჰჩე“ ეპატიჟება – გუნდი, რომლის მთავარ მწვრთნელად **კრისტოფ დაუმი** დაინიშნა. ხსენებული გაზეთი წერს, რომ „ფენერი“ მზადაა, „ბაიერნს“ 26 წლის ჰამითის სანაცვლოდ 7 მილიონი ევრო გადაუხადოს. „ფენერბაჰჩე“ ჰამით ალთინთოფს ყოველწლიურად 3-მილიონიან ხელფასს ჰპირდება.

ბაიერნი

# კიდევ ერთი შანსი რენზინგს?

## მიუნხენში ნოიერზე ხელი ჩაიქნიეს, პრანჯიჩის ტრანსფერიც შეიძლება ჩაიშალოს



ბაიერნის კარი, შეიძლება, გაისადაც მიხაელ რენზინგს ანდონ

„ბაიერნის“ ხელმძღვანელებმა სეზონის დასრულებისთანავე გუნდის გაძლიერებაზე დაიწყეს ზრუნვა და დღეისათვის უკვე რამდენიმე მეტად საინტერესო ტრანსფერი აქვთ გაჩარხული, მაგრამ ახალი ფეხბურთელების გადაბირების ტემპი დაეცა. როგორც ირკვევა, მიუნხენური კლუბი იძულებულია, „შალკეს“ მეკარე **მანუელ ნოიერს** შეეშვას და უცებ, ყველასათვის მოულოდნელად, **დანიელ პრანჯიჩის** ტრანსფერსაც საფრთხე დაემუქრა. არადა, ეს გარიგება უკვე გაჩარხულად მიიჩნეოდა. ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა გაარკვიეს, რომ „შალკემ“ „ბაიერნს“ ნოიერის სანაცვლოდ 18 მილიონი ევრო მოსთხოვა, რეკორდმაისტერს კი ეს თანხა ეძვირა.

ბავარიელებმა ნოიერს მას შემდეგ დაუმიზნეს, რაც **ოლივერ კანის** შემცვლელად მონათლულმა **მიხაელ რენზინგმა** რეკორდმაისტერში იმედები ვერ გაამართლა, რის გამოც ბავარიულ კლუბს სასწრაფოდ ახალი მეკარე დასჭირდა. *„შალკესგან“ ახალი აღარაფერი გვსმენია, რაც იმას ნიშნავს, რომ ნოიერის თემა ჩვენთვის დახურულია,“* - აცხადებს „ბაიერნის“ გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი** „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. ახლა კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მიუნხენელები იძულებულები არიან, რენზინგს კიდევ ერთი შანსი მისცენ, რადგან ჰიონესმა ხსენებულ ინტერვიუში ისიც თქვა, ნოიერის გარდა სხვა მეკარე არ გვაინტერესებსო.

*„თუკი შალკელებს ჩვენთან მოლაპარაკებების გაგრძელება არ სურთ, მაშინ მომავალ სეზონს იმ მეკარეებით შევხვდებით, რომლებიც ახლა გვყავს, კერძოდ, რენზინგით და ჰანს-იორგ ბუტით,“* - ამბობს ჰიონესი და იქვე დასძენს, - *„ვფიქრობ, ეს მეკარეები მედგრად იბრძოლებენ ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად და კონკურენცია გაძლიერებთ.“*

შესაძლოა, ეს ჰიონესის ტაქტიკაა, რომლითაც მას „შალკეს“ შეფების მოტყუება და მოთაფვლა სურს, მას უნდა, რომ გელზენკირხენულმა კლუბმა ნოიერის ფასი დააგდოს. იყო ლაპარაკი, რომ „ბაიერნი“ „ჰანოვერისა“ და გერმანიის ნაკრების მეკარე **რობერტ ენკეთიც** იყო დაინტერესებული, მაგრამ ირკვევა, რომ ბავარიელებს ვეტერანი ენკე არ აინტერესებთ. *„ბაიერნის“ ხელმძღვანელებთან კონტაქტი არ გვაქვს, მიუნხენიდან ჩემთვის არავის დაურეკავს,“* - ამბობს ენკეს აგენტი **იორგ ნებლუნგი**. ამ უკანასკნელს არ სჯერა, რომ „ბაიერნი“ რენზინგს კიდევ ერთ შანსს მისცემს. მისი აზრით, მიუნხენელები, ბოლოს და ბოლოს, უცხოელ მეკარეს იყიდიან. ნებლუნგი ამბობს, არა მგონია, რომ ნოიერი ან **რენე ადლერი** „ბაიერნში“ გადავიდნენო.

ვრცელდება ცნობები, რომ „ბაიერნი“ „უდინეზეს“ სლოვენიელი მეკარის, **სამირ ჰანდანოვიჩის** ვარიანტსაც სინჯავს, რომელსაც იტალიურ კლუბთან კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს. აღსანიშნავია, რომ სლოვენიელი ჰანდანოვიჩი საკმაოდ ძვირად ფასობს - სავარაუდოდ, 25 მილიონი ევრო. სწორედ აქედან გამომდინარე განიხილავენ მიუნხენელები **სებასტიან ფრეის** ვარიანტს, რომელიც „ფიორენტინას“ კარის დარაჯია და 20 მილიონი ღირს. იტალიური „ტუტოსპორტის“ ცნობით, „ბაიერნს“ ფლორენციელთა მეკარეც სიაში ჰყავს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ 29 წლის ფრეი დიდი ხანია, პერსპექტიული მეკარე აღარ არის. ის უკვე ჩამოყალიბებული კიპერია და არა კარის ახალგაზრდა, იმედისმომცემი დარაჯი. ჰიონესმა ენკეზე უარი სწორედ ასაკის გამო თქვა - რობერტი 31 წლისაა. შესაბამისად, საკითხავია, არიან კი ბავარიელები მზად, მხოლოდ ორი წლით ახალგაზრდა ფრეიში 20 მილიონი გადაიხადონ?

გადაწყვეტილი ჩანდა დანიელ პრანჯიჩის ტრანსფერი, მაგრამ გაირკვა, რომ გარიგებას ჩაშლის საფრთხე ემუქრება. ჰიონესი ამბობს, პრანჯიჩის ტრანსფერი ჯერ გადაწყვეტილი არ არისო. ბავარიელები ფეხბურთელთან ყველაფერზე შეთანხმებულები არიან, მაგრამ კლუბთან შეექმნათ პრობლემა. ჰოლანდიელები 27 წლის პრანჯიჩის სანაცვლოდ 7.5 მილიონ ევროს ითხოვენ, მიუნხენელებს კი მხოლოდ 6 მილიონის გადახდა სურთ. *„თუ „ჰერენვენი“ ჩვენ მიერ შეთავაზებულ პირობებს არ დათანხმდება, ტრანსფერი არ შედგება!“* - მკაცრი ტონით ამბობს ჰიონესი.

### ბრააფჰეიდი 2013 წლამდე

გუშინ, „ტვენტეს“ 26 წლის მარცხენა მცველმა **ედსონ ბრააფჰეიდმა** მიუნხენში სამედიცინო შემოწმება გაიარა და რეკორდმაისტერთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მხარეებმა სატრანსფერო თანხის ოდენობაზე დუმილი ამჯობინეს, მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ბაიერნმა“ ბრააფჰეიდში 2 მილიონი ევრო გადაიხადა.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცამ



ინტერვიუ

რუუდ ვან ნისტელროი


2008 წლის 5 ნოემბერი. რუუდ ვან ნისტელროი იუვენტუსთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო

# მუხლი, ფეხბურთი და ცხოვრება

**რუუდ ვან ნისტელროი** ღიმილიანი სახით ჰყვება საკუთარ განცდებზე, რაც მას იმ მომენტში დაეუფლა, როცა შეიტყო, რომ მუხლის უმძიმესი ტრავმის გამო ექვსი თვე უნდა გამოეტოვებინა: *„სკამზე ჩამოვჯექი და წყალი მოვსვი... შოკში ვიყავი“.* სარეაბილიტაციო პროცესი ძალზე ხანგრძლივი გამოდგა - ის დაგეგმილ 6 თვეზე მეტხანს გაიწელა. ფეხბურთელს „რეალის“ სამედიცინო შტაბის წევრებთან ერთად მუშაობა ყოველდღიურად რამდენიმე საათის განმავლობაში უწევდა. ვან ნისტელროი ირწმუნება, რომ გულშემატკივართა მხარდაჭერამ მას არანაკლები სამსახური გაუწია, ვიდრე ექიმების გვერდში დგომამ.

*„ასეულობით მხარდამჭერი წერილი მივიღე, როგორც ელექტრონულ ფოსტაზე, ისე პირადად. სწორედ რიგითი გულშემატკივრების სიყვარული გაიძულებს სატრენაჟორო დარბაზში დაბრუნებას და მუყაითად შრომას. ფეხბურთში ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ დამრჩა მისაღწევი. ნამითაც კი არ მეპარება ეჭვი, რომ მინდორს დავუბრუნდები და ისევ ვითამაშებ უმაღლეს დონეზე“*, - აცხადებს ფეხბურთელი. მაშ ასე, მოვუსმინოთ ჰოლანდიელ ვარსკვლავს.

**- პირველ რიგში, როგორ არის თქვენი საქმეები?**

- ახლა უკვე ყველაფერი კარგად არის. სარეაბილიტაციო პერიოდის მტანჯველი დღეები, ანუ ყველაზე ცუდი, უკან დარჩა.

**- როგორ ატარებდით მთელ დღეებს? ალბათ სულ მუშაობდით...**

- პირველი ეტაპი ყველაზე რთული იყო: ვმოძრაობდი ყავარჯნების დახმარებით, ჩემს მუხლს დღეში 8 საათი თავს დასტრიალებდნენ მასაჟისტები და ფიზიოთერაპევტები. იანვარში კასტილები გადავყარე. ამის შემდეგ საქმე მხოლოდ ფიზიოთერაპევტებთან დამრჩა. ფიზიკური კონდიციების ალსადგენად ნელ-ნელა ვარჯიშსაც შევუდექი. გადავედი სატრენაჟორო ველოსიპედზე, ცოტა ხანში სპეციალურ მანქანაზე, რომელიც თხილამურებზე სიარულის იმიტაციას იწვევს. ვეჩვეოდი წყალში მოძრაობასაც. თებერვლიდან დატვირთვები ეტაპობრივად გაიზარდა. დავიწყე ვარჯიში გულსისხლძარღვთა სისტემის გაჯანსაღებაზე, კუნთების მოძლიერებაზე. ახლა კი შემიძლია ვთქვა, რომ თითქმის მზად ვარ ჩქარი სირბილისთვის.

**- რამდენ ხანში შეგვეძლება რუუდ ვან ნისტელროის მინდორზე ხილვა?**

- 8 ივნისიდან სწრაფ სირბილს შევუდექი. სიჩქარეს ყოველდღიურად გავზრდი. წინასასეზონო მომზადება ივლისის შუა რიცხვებში დაიწყება და ამ დროისთვის უკვე ნორმალურ კონდიციებში უნდა ვიყო. იმედია, გუნდთან ერთად შემეძლება მზადების დაწყება.

**- ხშირად ფიქრობდით თუ არა 5 ნოემბერზე - დღეზე, როცა „იუვენტუსთან“ შეხვედრისას მინდორი ტრავმირებულმა დატოვეთ? ვერავინ იფიქრებდა, რომ ყველაფერი ასე რთულად იქნებოდა.**

- არა. ტრავმა იმ შეხვედრაში არ მიმილია. დაზიანება ტურინულ დაპირისპირებაში მივიღე. მადრიდში პირველი ტაიმი ტკივილებით ვითამაშე. არადა, ყველამ იცოდა, რომ ამით სერიოზულ რისკზე მივდიოდი. ეს კი იმიტომ გავაკეთე, რომ „რეალისთვის“ უდიდესი მნიშვნელობის მატჩი იყო. რისკი ორივე მხარეს გააზრებული გვქონდა.

**- გაგახსენდათ თუ არა პირველი ტრავმა, როცა გაიგეთ, რომ საოპერაციო სწორედ იგივე მუხლი იყო?**

- ვფიქრობდით, რომ ტრავმა სერიოზული კი იყო, მაგრამ მენისკს არ შეეხებოდა. მეგონა, მინდორზე 6-8 კვირაში დავბრუნდებოდი. თუმცა დაზიანების გულდასმით შესწავლის შემდეგ ექიმებმა ბევრად უფრო მძიმე მდგომარეობა დააფიქსირეს. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ყველაფერი უფრო რთულად იყო, ვიდრე წარმოვიდგენდი. ეს უდიდესი შოკი იყო. ექიმს საკმაო ხანი ველაპარაკე, ყველაფერი დაწვრილებით გამოვკითხე. მთელი შემდგომი პერიოდი, ჩემი ცხოვრება ერთადერთი რამისგან შედგებოდა: ეს იყო ზრუნვა ჩემს მუხლზე. ქირურგმა პირობა მომცა, რომ ცხრა თვისთავზე თამაშს შევძლებდი. უზარმაზარი სამუშაოსთვის მორალურად პირველივე დღეებიდანვე მოვემზადე.

**- ქირურგმა, რომელმაც თქვენ ოპერაცია გაგიკეთათ, განაცხადა, რომ 32 წლის ასაკში ისეთი, ძლიერი აღარ ხართ, როგორიც 24 წლის იყავით - როცა ასეთი სიმძიმის ტრავმა პირველად მიიღეთ. თუმცა იქვე განაცხადა, რომ ძველ დონეზე თამაშს ისევ შეძლებდით.**

- დიახ, ამისთვის ყველაფერს ვაკეთებ. ხანდახან საკუთარ თავს ვეკითხები ხოლმე: „კი, მაგრამ რისთვის ვიტანჯავ თავს?“, - პასუხი ყოველთვის ერთი და იგივე იყო - „იმისთვის, რომ კიდევ ვითამაშო ფეხბურთი“. იცით, რა? ფეხბურთში ჯერ კიდევ არ მიმიღწევია მწვერვალისთვის, ყველაფერი ჯერ არ მომიგია. სწორედ ეს ძალა მამოძრავებს.

**- რონალდომ ზუსტად თქვენნაირი ტრავმა გასულ წელს გადაიტანა. ის უკვე დაბრუნდა და სურს, 2010 წლის ჩემპიონატზე ითამაშოს. ჩვენც გვინდა, რომ ჰოლანდიის ნაკრების ფორმაში გიხილოთ.**

- წინასწარ რამის თქმა ძნელია, მაგრამ ასეთი ტრავმის შემდეგ ფეხბურთში დაბრუნების მაგალითები რომ არსებობს, ეს უკვე ძალიან კარგია. მქონდა საშუალება, სხვა ფეხბურთელებთანაც მელაპარაკა ამ თემაზე. მნიშვნელოვანია, გჯეროდეს, რომ შენც შეძლებ ამას. როცა დაუზარებლად მუშაობ და დასახული მიზნისთვის ყველაფერს აკეთებ, ყველაფერი გამოგივა.

**- თქვენმა მიზანდასახულობამ ალბათ დიდად შეგიწყოთ ხელი, ისევე როგორც მთელი კარიერის განმავლობაში...**

- დიახ. მჯერა, რომ ასეა. ამ ეტაპზე ჩემი ფორმა დამაკმაყოფილებელია. როცა საჭირო იქნება, იმ პერიოდისთვის უკვე ყოველმხრივ მზად უნდა ვიყო.

**- ამბობენ, რომ სწორედ გაჭირვების დროს ამოიცნობ იმ ადამიანებს, რომელთაც შენზე ყველაზე მეტად შესტკივათ გული. ვინ იყო თქვენი ყველაზე ძლიერი დასაყრდენი ამ თვეების განმავლობაში?**

- ჩემი მეუღლე და ჩემი ოჯახი. მათ მშვენივრად გააცნობიერეს პრობლემის მთელი სიმძიმე და ახლაც იციან, რომ ფეხბურთის სათამაშოდ ყველაფერს გავაკეთებ. რა თქმა უნდა, ისედაც მიმძიმდა, მათ გარეშე კი ტვირთი გაათმაგდებოდა. გვერდში დამიდგნენ ჩემი თანაგუნდელებიც. ამას გარდა, წელანაც ვთქვი, რომ გულშემატკივრებისგან უამრავ წერილსა და ელექტრონულ შეტყობინებას ვიღებდი. ყველაფერი ეს, შევაგროვე და უზარმაზარ ალბომში მოვათავსე. ყოველთვის, როცა ვათვალიერებ და წერილებს ვკითხულობ, ცოტას ისევ ვნერვიულობ.

**- გულშემატკივართა სიყვარულს ქუჩაში თუ გრძნობდით?**

- ეს დაუჯერებელი იყო. ისინი მეუბნებოდნენ, რომ აუცილებლად უნდა დავბრუნებულიყავი, რადგან ვენატრებოდი. სწორედ ასეთი გარემოება გაძლევს ყველაზე დიდი სტიმულს და დაუღალავად მუშაობის სურვილს გიჩენს. არც „რეალის“ სამედიცინო შტაბის წევრები მაძლევდნენ, სულიერად დაცემის უფლებას. ვგრძნობდი, რომ სანდო ექიმების ხელში ვიყავი და მათი იმედი შეიძლებოდა მქონოდა დღისა და ღამის ნებისმიერ მონაკვეთში. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ისინი ზრუნავდნენ ჩემზე და ჩემთვის დასაყრდენს წარმოადგენდნენ. შეუძლებელია, მათში ვინმე ერთი გამოვარჩიო. ჩემს გამოჯანმრთელებაში თავისი წილი ყველამ დაიდო.

**- და ვის რიგებში ითამაშებს რუუდ ვან ნისტელროი მომავალ წელს?**

- რა თქმა უნდა, „რეალის“. კონტრაქტში ერთი წელი მაქვს დარჩენილი. აქ ბედნიერი ვარ და დარჩენა მინდა. ნამითაც კი არ მეპარება ეჭვი, რომ ისევ „ბერნაბეუზე“ ვიასპარეზებ.

**- როგორი განცდა იყო გუნდის ტელევიზორიდან ყურება?**

- უარესი, ვიდრე მინდორზე ყოფნა. რაღაც პერიოდში „ბარსასთან“ ჰანდიკაპი ამოვქაჩეთ, თანაც მათთან შეხვედრა შინ გვქონდა. ვიფიქრე, რომ ლალიგის მოგება ისევ შეგვეძლო. გუნდი ამ მიზნისთვის თავს არ ზოგავდა. ყოველ ქულას ბრძოლით ვიმსახურებდით. მიზანს თითქმის მივაღწიეთ, მაგრამ... სუპერკლასიკოს შემდეგ ყველანი ძალზე დაბნეულები ვიყავით. თითქოს დავმძიმდით. შემდეგ მწვრთნელიც შეიცვალა, პრეზიდენტიც შეიცვალა...

**- რობენი ამბობს, რომ ფეხბურთში ყოველთვის არის რევანშის შანსი. ასე რომ, მომავალში გუნდს კიდევ უფრო მეტი მონდომებით შეეძლება ბრძოლა.**

- ეს სურვილის საკითხია. დაიწყება სეზონი და ყველაფერი ისევ ნულზე იდგება. კლუბისთვის ახალი ეტაპი დგება. ამიერიდან მხოლოდ წინ უნდა ვიყუროთ.

ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პრემიერმა პატივი [illegible]

1966 წლის ფორმაციის ინგლისის ნაკრების წევრები დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა **გორდონ ბრაუნმა** დაუნინგ სტრიტზე თავის რეზიდენციაში მიიღო და სპეციალური ოქროს მედლები გადასცა. გეტყვით, რომ 1966 წელს, ფიფას წესებით, ოქროს მედალს მხოლოდ ის ფეხბურთელი იღებდა, რომელიც ფინალურ შეხვედრაში მონაწილეობდა. 43 წლის შემდეგ სამართლიანობა აღდგა. ოქროს მედლები გადაეცათ: **პიტერ ბონეტის, რონ სპინგეტს, ჯიმი არმფილდს, გარი ბრინს, რონ ფლაუერსს, ნორმან ჰანტერს, ტერი პეინს, იან კალაჰანს, ჯონ კონელის, ჯორჯ ისტჰემსა** და **ჯიმი გრივზს**. მაშინდელი ნაკრების მცველ **ჯონ კოენს** განსაკუთრებული პატივი ხვდა წილად. სწორედ მას ჩააბარეს **სერ ალფ რამსისთვის** კუთნილი მედალი, რომელსაც ის თავისი ხელით გადასცემს ლეგენდარული მწვრთნელის ოჯახს. რამსის თანაშემწის **ჰაროლდ შეპერდსონის** ოქრო კი მის მეუღლე **მარგარეტსა** და შვილ **ლინდას** გადაეცათ. სამწუხაროდ, ეს ადამიანები დღეს უკვე აღარ არიან ცოცხლები.

## უილიამ ჰილი ეჭვს გამოთქვამს

დიდ ბრიტანეთში უმსხვილესმა ბუკმეიკერმა „უილიამ ჰილმა“ შესაძლოა, ინგლისის პრემიერლიგის გარკვეულ შეხვედრებზე ფსონი აღარ მიიღოს. კომპანიის წარმომადგენლის **გრემ შარპის** განცხადებით, ამ ნაბიჯისკენ მათ უბიძგებს ის, რომ თავისუფლად შესაძლებელია, ისინი გარიგებული შეხვედრების გამო სერიოზულ ზარალზე წავიდნენ. ფსონის მიღებაზე უარის თქმის პრეცედენტი უკვე იყო. ირლანდიურმა „პედი პაუერმა“ ირლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურებში მთელ რიგ თამაშებზე ფსონის არ გამოაქვეყნა. მიზეზი მათაც ანალოგიური ჰქონდათ. აი, რას აცხადებს გრემ შარპი:

*„ინგლისში ფეხბურთი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი წესიერებით... თუმცა დრო შეიცვალა. გაჩნდა ეჭვები. ფაქტია, ჩვენი კომპანია ყველა შეხვედრის ნდობას ველარ ახერხებს. შეიძლება, ისეც კი მოხდეს, რომ ბუკმეიკერებმა მხოლოდ დაწვრილებითი ანალიზის შემდეგ შეარჩიონ მატჩები და ისე ითამაშონ აზარტულ ადამიანებთან“.*

აქვე დავამატებთ, რომ ამჟამად ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის მიერ სპეცილურად შექმნილი კომისია ქვედა ლიგების ხუთი შეხვედრის მიმდინარეობას სწავლობს. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით, ეს თამაშები არ სახელდება.

## ლიდსი უარყოფს

„ლიდს იუნაიტედის“ ხელმძღვანელობა კატეგორიულად უარყოფს, რომ „ევერტონისგან“ ოფიციალური შეთავაზება მიიღო გუნდის წამყვანი ნახევარმცველის, 19 წლის **ფაბიან დელფის** ტრანსფერთან დაკავშირებით. **დევიდ მოიესმა** ფეხბურთელით დაინტერესება პრესასთან საუბრისას დაადასტურა. „ლიდსის“ მთავარი მწვრთნელის **საიმონ გრეისონის** თქმით, მისი გუნდი მომავალი წლისთვის ამბიციურ გეგმებს შეეჭიდება და ჩემპიონშიფში გადასვლასაც ყოველგვარი პლეი ოფების გარეშე შეეცდება. შესაბამისად, იორკშირულ კლუბს სწრაფი განაპირა ნახევარმცველის სამსახური ნამდვილად დასჭირდება. ის ორივე ფეხით ერთნაირად კარგად თამაშობს, ამიტომ რომელ ფლანგზე იასპარეზებს, მისთვის სულერთია.

ასაკის მიუხედავად ფაბიან დელფი უკვე ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების წევრად მიიჩნევა.

## დროგბა რჩება

„ჩელსის“ შეტევების ლიდერი **დიდიე დროგბა** ლონდონიდან აბარგებას არ აპირებს. უკვე მოგახსენებდით, რომ ფეხბურთელის გუნდში დატოვების სურვილი **კარლო ანჩელოტიმ** გამოთქვა. ივუარელს კლუბმა უკვე შესთავაზა ახალი, სამწლიანი კონტრაქტი. არადა, იტალიური პრესა აქტიურად წერდა, „ინტერის“ თავკაცი **ჟოზე მოურინიო** ფეხბურთელის გადასაბირებლად ყველაფერს გააკეთებსო. *„ყოველდღიური ჭორებისგან წარმოუდგენლად დავიღალე. მერე რა, რომ „მარსელის“ სპორტულ დირექტორ ჟოზე ანიგოს ლონდონში ხშირად ვხვდები? ჩვენ ერთმანეთს დიდი ხანია, ვიცნობთ და ვმეგობრობთ. ეს არ ნიშნავს, რომ ჟოზე მუდმივად ჩემს გადაბირებაზე მუშაობს. ჩვენ ფეხბურთზე საერთოდაც ცოტას ვლაპარაკობთ. „ჩელსიში“ ყველაფერი მაწყობს, ასე რომ, ლონდონიდან ფეხს არსად გავადგამ“*, - განაცხადა დროგბამ.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**



## უცხოური ფეხბურთი




*(გაგრძელება)*

1985 წლის 29 აპრილი - ძალიან რთული, ამაღელვებელი დღეა. როდესაც საფრანგეთის პრეზიდენტი **ფრანსუა მიტერანი** ელისეის სასახლის საპატიო დარბაზში შემოვიდა, თითქოს მუხლები მომეკვეთა. ასეთი რამ ჩემს ცხოვრებაში პირველად მოხდა. აი, პრეზიდენტი მომიახლოვდა... ჩემი სახელი პირველი წერია ცნობილი საფეხბურთო პიროვნებების სიაში. მათ შორის არის საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ფერნან სასტრი**. ის „დამსახურებებისთვის" ეროვნული ორდენის მისაღებად ემზადება. მიტერანი საპატიო ლეგიონერის ორდენის ჯვარს გადმომცემს. შთამბეჭდავი სურათია, სადღესასწაულო მომენტი. მე დღესაც მახსოვს ის სიტყვები, რომელიც ცერემონიაზე წარმოსათქმელად სპონტანურად მოვნახე: *„დღეს, ფრანგულმა ფეხბურთმა ჩემი სახით განსაკუთრებული ღირსება შეიძინა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მომენტისთვის საზღვარგარეთ ვთამაშობ, ის ფაქტი, რომ მე საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი ვარ, ჩემთვის ამ ჯილდოს გადმოცემის მიზეზს ნათელს ხდის. ერთადერთი რამის გამო ვარ დანაღვლიანებული - იმით, რომ ამ ჯილდოს ჩემს საფეხბურთო მაისურაზე ვერ მივიმაგრებ".* ჩემ მიერ არჩეულმა სახუმარო ტონმა შესაძლებლობა მომცა, დამეფარა ის ემოციები, რომლის გამოც ყელს გამიშრდა და კინაღამ ცრემლები გადმომცვივდა...

ჟურნალისტებს განვუცხადე, რომ „ელისეის სასახლე - სტადიონი არ არის, სადაც 50 ათასი მაყურებლის წინაშე თამაშობ". მე, რა თქმა უნდა, ვხუმრობდი. ამ ხუმრობას ჩემი ნამდვილი სახის დასაფარავად მივმართე. ეს იყო უაღრესად ბედნიერი ბავშვის სახე, იმ პატარა პრინცის გამომეტყველება, რომელიც ოდესღაც სენტ-ეკზიუპერის ქუჩაზე ცხოვრობდა, ფეხბურთის მეფის **პელეს** ფოტოებს ათვალიერებდა და ფორთოხალს კენწლავდა; იმ ბიჭის სახე, რომელსაც შეეძლო საათობით მჯდარიყო ბაბუამისის **ფრანჩესკოს** „სპორტულ კაფეში" და ეთვალიერებინა **რივას, მაცოლასა** და **რივერას** ფოტოები, რომლებიც მაშინ დიდების ზენიტში იყვნენ; 17 წლის ჭაბუკის სახე, რომელმაც მეცში სამედიცინო შემოწმებისას, ნორმის ჩაბერვის დროს კინაღამ გონება დაკარგა; **მიშელ პლატინის** სახე, რომელიც ჩვეულებრივი ადამიანებისგან იმით გამოირჩევა, რომ სხვებზე უკეთესად შეუძლია ფეხბურთის თამაში...

1985 წლის 29 აპრილი - მართლაც რთული დღეა. ამ დღეს მე ვიღებ ჩემს მეორე „ოქროს ბურთს", რომელიც ყოველკვირეული „ფრანს ფუტბოლის" მიერ არის დაწესებული და აგრეთვე საკუთარ ბარელიეფს ვხსნი გრევენის მუზეუმში. ამდენი ჯილდოსგან თითქოს წელში მოვიხარე. ყველაფერი ბრწყინვალედ მიდის. თავს დამტყდარი ბედნიერების გამო შიშის გრძნობაც კი მიჩნდება. რა იქნება, იღბალმა ზურგი შემაქციოს? იქნებ ბედი მუხთალ დარტყმას მიმზადებს? ხომ შეიძლება ისე მოხდეს, რომ იღბალმა ერთი თვის შემდეგ, ბრიუსელში ევროპის ჩემპიონთა თასი წამართვას? ბედნიერება - ეს არის ეიფორიის სახიფათო გამოვლინება, რომელიც სიფრთხილის გრძნობას გიკარგავს, ასუსტებს თქვენი თავდაცვის უნარს ბედის მოულოდნელი დარტყმების წინააღმდეგ. სწორედ ერთი კვირის წინ ვიგრძენი ბედის სასტიკი დარტყმები, როცა წინასწარ ვტკბებოდი ამ ჯილდოების გადმოცემით. საკუთარ „სტადიო კომუნალეზე" „ფიორენტინასთან" წაგების შემდეგ, მე განსაკუთრებით მძიმედ აღვიქვი ეს სახიფათო სიგნალი. ამასთან, განსაკუთრებით მჭიდრო მეურვეობის გამო, მატჩის დროს ორჯერ დავკარგე ბუცი. ასეთი რამ ერთი თვის შემდეგ, „ეიზელზეც" შეიძლება განმეორდეს. და ამაზე ფიქრი დღეს უკვე მთელ იტალიას აღელვებს.

საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა **ანრი მიშელმა** ღირსეულად ვერ შეაფასა ჩემს დაჯილდოებებთან დაკავშირებული ამბები. უნდა ითქვას, რომ საზეიმო ცერემონიების გამო, საფრანგეთის ეროვნული გუნდის შეკრების დატოვება და ბულგარეთი-საფრანგეთის მატჩის წინ ვარჯიშის გამოტოვებამ მოგიწია.

ანრი მიშელი შეკრების დატოვების წინააღმდეგი იყო. მაგრამ მე ის ფაქტის წინაშე დავაყენე და უარის თქმის საშუალება აღარ მივეცი. მრცხვენოდა ჩემი საქციელის, მაგრამ მიშელს აღვუთქვი, რომ ცერემონიის შემდეგ იმ დღესვე დავბრუნდებოდი გუნდში. ამასთან, დარწმუნებული ვიყავი, რომ დაჯილდოების ცერემონია გულს მოულბობდა ანრი მიშელს, რადგან პლატინისა და ფერნან სასტრის გარდა, ელისეის სასახლეში მიწვეული იყვნენ ეროვნული გუნდის მწვრთნელი **ანრი გერენი** და ყოფილი ექიმი **ჟან-პოლ სერენი** - ისინი ლეგიონის ოფიცრებად აკურთხეს; აგრეთვე **მაქსიმ ბოსი, ალენ ჟირესი, ბერნარ ლაკომბი, დომინიკ როშტო, დიდიე სიქსი, პატრიკ ბატისტონი, ჟან ტიგანა და ბერნარ ჟენგინი** - ევროპის ჩემპიონები, რომლებიც „დამსახურებისთვის" ეროვნული ორდენის კავალრები გახდნენ. ასე დააჯილდოეს „სამფეროვნები", რომლებთან ერთადაც ეს მოვლენა სასტუმრო „კრიიონში" აღვნიშნე.

ტურინში თბილი დახვედრა მომიწყვეს. თანაგუნდელებმა მომილოცეს, რამაც მომავალი მატჩებისადმი სერიოზულად განმაწყო. პირველ რიგში, ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალზე ვფიქრობდი, რომელიც 29 მაისს უნდა გაიმართოს. მაშინ ბოლომდე ბედნიერი ვიყავი. მაგრამ სიფრთხილის გამოჩენა მმართებდა: საკუთარი, პატარა ვარდისფერი ღრუბლიდან ვარდნაზე მტკივნეული არაფერია.

### ეიზელის სტადიონზე დაკარგული ღირსება

ბრიუსელი, სტადიონი „ეიზელი", 1985 წლის 29 მაისი. დიადი დღე.

„იუვენტუსს" საფეხბურთო კლუბ „ლივერპულთან" შებრძოლება მოუწევს. ურთულესი გუნდია. გასულ წელს მან ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა, როცა „რომა" პენალტების სერიაში 4:3 დაამარცხა.

მთელი იტალია დღეს ჩვენ მხარესაა, ჩვენი მოწინააღმდეგეებიც კი. „იუვემ" შური უნდა იძიოს რომაელებისთვის, მაგრამ ეს წესების დაცვით უნდა გააკეთოს. ღირსება ღირსეულად უნდა მოვიპოვოთ.

გაafთრებული ბრძოლაა მოსალოდნელი. ინგლისელი და იტალიელი ფეხბურთელები კარდინალურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მხოლოდ მათი გულშემატკივრების ფანატიზმის შედარება შეიძლება. მაგრამ იქ, სადაც ტიფოზები თავის გამოჩენას ყვირილით ცდილობენ, ინგლისელი ხულიგნები საქმეში მუშტებსა და წიხლებს რთავენ.

„ეიზელის" სტადიონი - დენთის კასრივითაა. ტრიბუნა Z ჩვენი გულშემატკივრებისთვისაა განკუთვნილი, X - ინგლისელებისთვის. მათ შორის განლაგებულია ტრიბუნა Y, რომელსაც, როგორც ვარაუდობდნენ, ბელგიელი გულშემატკივრები დაიკავებენ. ამან ფინალის მონაწილე გუნდების გულშემატკივრებს შორის მოსალოდნელ შეტაკებებს უნდა შეუშალოს ხელი. ბრიუსელის ქუჩებშიც ბევრი რამ გაკეთდა ქომაგებს შორის ჩხუბებისა და შეტაკებების თავიდან ასაცილებლად.

მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე, იტალიელი გულშემატკივრების გამაყრუებელი შეძახილებისა და „ლივერპულის" ფანების სტვენის ფონზე, მინდორი დავათვალიერეთ. ყველაფერი შესანიშნავადაა. შემდეგ გასახდელში გავემართეთ შავ-თეთრი მაისურების ჩასაცმელად. თითოეული ჩვენგანი დუმილს ინარჩუნებს და მატჩისთვის კონცენტრირებას ცდილობს. ეს თასი ერთადერთია, რომელიც ჯერ არ გააჩნია „ბებერ სინიორას".

პუბლიკა თანდათან ავსებს დიდი ამფითეატრის ტრიბუნებს. Z ტრიბუნაზე შავ-თეთრ დროშებს აფრიალებენ. X ტრიბუნა წითელი ფერისაა. „ლივერპულის" ექსტრემისტულად განწყობილი გულშემატკივრები საომარ სიმღერებს ასრულებენ. ლივერპულიდან ბრიუსელამდე მგზავრობისას, საკუთარი პოლიციელების მეთვალყურეობის ქვეშ, ყველა ინგლისელ ხულიგანს „მშრალი კანონი" გამოუცხადეს. მაგრამ ვერც ოსტენდეში, ვერც ზეებრიუგესა და ვერც დიუნკერკში ბელგიელებმა სათანადო კონტროლი ვერ დააწესეს 20 ათას ინგლისელ გულშემატკივარზე. სწორედ მაშინ გადაწყვიტეს, რომ რისკი მინუმამდე დაეყვანათ და ორ მტრულად განწყობილ ბანაკს შორის, ბუფერის სახით ტრიბუნა გამოეყოთ.

შუადღის შემდეგ, სტადიონის შესასვლელთან რამდენიმე პატარა ჩხუბი ატყდა. ხულიგნების ჯგუფმა საიუველირო მაღაზიის ვიტრინა ჩაამსხვრია და დაახლოებით 10 მილიონი ბელგიური ფრანკი გაიტაცა. არც ერთი დაპატიმრებული. ბელგიელი სამართალდამცავები გასაოცარ თავშეკავებულობას იჩენენ.

სანამ გასახდელში მატჩისთვის ვემზადებით, ის ტრიბუნა, რომელიც ბუფერის როლს თამაშობს, პირთამდე ივსება. როგორც ყოველთვის, ყველაფერი ნორმალურადაა. გამონაკლისია მხოლოდ ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალი: ბელგიელი გულშემატკივრების გარდა, იქ იტალიელი იმიგრანტებიც იკავებენ ადგილს. „ეიზელის" ადმინისტრაციამ ამ ტრიბუნის ბილეთები „იუვენტუსის" გულშემატკივრებსაც მიჰყიდა. „წითლები, რომლებიც მრავლად იყვნენ სტადიონზე, ნეიტრალური ტრიბუნისკენ დაიძრნენ, რომელიც არა მარტო ბელგიელი გულშემატკივრებით, არამედ იტალიელი მუშებით იყო სავსე - ისინი ტრიბუნის ქვედა ნაწილში მოთავსდნენ. ესენი ძირითადად, ოჯახის მარჩენლები იყვნენ. ზოგიერთი მათგანი ბავშვებთან ერთად მივიდა სტადიონზე.

ლუდით გაჟღენთილი „ლივერპულის" გულშემატკივრები Y ტრიბუნის ზედა რიგებს იკავებენ.

„ეიზელის" სტადიონის X, Z და Y ტრიბუნებს „საქონლის ეზოს" ეძახიან, რადგან აქ იაფი ადგილებია და გულშემატკვირების ძირითადი მასა ფეხზე დგას. „საქონლის ეზო"... 19 საათსა და 30 წუთზე, მატჩის დაწყებამდე 45 წუთით ადრე „საქონლის ჟლეტა" იწყება...

ის მოვლენები, რომელიც საბუფერო ტრიბუნაზე განვითარდა, მთლიანად გამოხატავს მატჩის ორგანიზატორთა უუნარობას. „ლივერპულის" გულშემატკივრები Y და Z ტრიბუნების გამყოფი რკინის ბადისკენ ეშვებიან. ისინი იოლად უმკლავდებიან ამ ბარიერს და ტრიბუნის ზედა ნაწილში ჩვენს გულშემატკივრებთან შეტაკებას იწყებენ. „წითლები" თავს ესხმიან „შავთეთრებს". ისინი საქმეში რთავენ თავიანთი დროშების ტარებსა და დარღვეული ბადის წაწვეტებულ რკინებს. ისინი ჩხვლეტენ და სცემენ ტიფოზებს, რომელთაგანაც ყველაზე გაბედულები მუშტების ცემით პასუხობენ ინგლისელებს.

წარმოიქმნა პანიკა. „წითლების" ტალღის თავიდან ასაცილებლად, რომელიც მრისხანედ მოიწევს ზემოდან, იტალიელი გულშემატკივრები Y ტრიბუნიდან ქვემოთ ეშვებიან და მინდვრის კიდესთან ეძებენ შველას. იქ, ზემოთ კი „ლივერპულის" გაგიჟებული გულშემატკივრები ჯოხებს უშენენ ყველას, ვინც კი მათ გარშემო იმყოფება. პანიკა, რომელმაც ტიფოზები მოიცვა, იმდენად დიდია, რომ მათი მინდორზე ჩასვლა ნამდვილ კატასტროფად გადაიქცა.



*(გაგრძელება იქნება)*

**გია თვალაბეიშვილი**

საინტერესო სტატისტიკა




ედინ ჯეკო



გრაფიტე



დიეგო ფორლანი

# საუკეთესო გოლეადორები

## გრაფიტე-ჯეკოს შეუდარებელი დუეტი, იბიშევიჩის ფენომენი და დიეგო ფორლანი

**თავდამსხმელის სიძლიერე და შედეგები გოლებით იზომება. არც ისე მნიშვნელოვანია, თუ როგორ ითამაშა ამა თუ იმ ფორვარდმა - მთავარია, გოლი გაიტანოს. თუკი მთელი მატჩის განმავლობაში ყურადღების ცენტრში მხოლოდ სამჯერ მოექცა და სამივე შემთხვევაში მეტოქის კარის ბადე შეარხია, მატჩის შემდეგ უმაღლეს შეფასებას მისცემენ და მატჩის გმირადაც აღიარებენ. გუშინდელ ნომერში გასული სეზონის საუკეთესო მეპასეების რეიტინგები შემოგთავაზეთ, დღეს კი თავდამსხმელების ჯერია.**

ოქროს ბუცი მადრიდის „ატლეტიკოს" თავდამსხმელმა **დიეგო ფორლანმა** მოიგო. ურუგვაელმა ესპანეთის ჩემპიონატში 32 გოლის გატანა შეძლო, რაც ულაპარაკოდ გრანდიოზული შედეგია, მაგრამ არ დაიჯერებთ და ფორლანი ამ სეზონის ყველაზე ეფექტური თავდამსხმელი არ არის. თავდამსხმელის ეფექტურობაში კი იმას ვგულისხმობთ, თუ რამდენი საგოლე შანსი შეექმნა წინა ხაზში მოთამაშე ფეხბურთელს და რამდენი მათგანი გამოიყენა მან. მაგალითად, გერმანიაში შესანიშნავი დუეტი შექმნეს **გრაფიტემ** და **ედინ ჯეკომ** (ვოლფსბურგი) - მათ ანგარიშზე 54 გოლია, რითაც ორივე მათგანი ბუნდესლიგის ისტორიაში ჩაეწერა, როგორც ყველა დროის საუკეთესო დუეტი ერთ სეზონში გატანილი გოლების მიხედვით. გრაფიტემ და ჯეკომ **გერდ მიულერისა და ული ჰიონესის** ერთობლივი რეკორდი (53 გოლი 1971/72 და 72/73 წლების სეზონებში) დაამხეს.

ევროპის მასშტაბით „ვოლფსბურგის" ბრაზილიელ თავდამსხმელს ეფექტურობის მხრივ საუკეთესო სეზონი აქვს. მისი ვერმოგერიებული დარტყმების 42.4 პროცენტი გოლით მთავრდებოდა! თუმცა გრაფიტეს შემთხვევაში ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მან ამ სეზონში 8 გოლი პენალტებით გაიტანა. ისე, თერთმეტმეტრიანსაც გატანა უნდა!

ყველაზე გასაოცარი კი გრაფიტეს შემთხვევაში ის არის, რომ მან ბუნდესლიგაში მხოლოდ 25 თამაში ჩაატარა მოედანზე 2 090 წუთი გაატარა. თუკი გამოვთვლით, რამდენი წუთი სჭირდებოდა „მგლების" ბრაზილიელ გოლეადორს იმისთვის, რომ გოლი გაეტანა, 75 წუთს მივიღებთ. ასე „სწრაფი" კი თვით გერდ მიულერიც არ ყოფილა 1971/72 წლების სეზონში, როცა მან ბუნდესლიგის ყველა დროის რეკორდი დაამყარა და ერთ სეზონში 40 გოლი გაიტანა.

სტატისტიკა, ტრადიციულად, ხუთი წამყვანი ევროპული ქვეყნის (იტალია, ინგლისი, გერმანია, ესპანეთი, საფრანგეთი) შედეგებზეა დამყარებული. პირველი რეიტინგი გამოყენებული შანსების პროცენტული მაჩვენებლების მიხედვითაა შედგენილი და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მხრივ პირველობა არავის დაუთმო გრაფიტემ, რომელმაც შანსების 42.4 პროცენტი გამოიყენა. მეორე ადგილზე კი ასევე გერმანული კლუბის, „ჰოფენჰაიმის" თავდამსხმელი **ვედად იბიშევიჩი** გავიდა, რომელმაც გერმანიის ჩემპიონატის პირველი წრე შესანიშნავად ჩაატარა, მეორე წრეში კი საერთოდ არ უთამაშია, რადგან ზამთარში უმძიმესი ტრავმა მიიღო. ბოსნიელი მხოლოდ ახლაღა გამოჯანმრთელდა. ვედომ შანსების 40 პროცენტი გამოიყენა და ზოგადად შესანიშნავი შედეგია ის, რომ 17 თამაშში 18 გოლის გატანა შეძლო. რომ არა მძიმე ტრავმა, იბიშევიჩი გრაფიტეს ძალიან სერიოზულ კონკურენციას გაუწევდა. ბევრი ექსპერტი დარწმუნებულია, რომ ჰოფენჰაიმელი ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირიც კი გახდებოდა. აღსანიშნავია, რომ 17 თამაშში 18 გოლის გატანა გერმანიაში ბოლოს **დიტერ მიულერმა** შეძლო და თანაც 31 წლის წინათ! რაც შეეხება ფორლანს - მართალია, „ატლეტიკოს" ურუგვაელი თავდამსხმელი ევროპის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, მაგრამ ამ რეიტინგში მხოლოდ მეათე ადგილზეა, რადგან შანსების 27.8 პროცენტზე მეტი ვერ გამოიყენა.

| ფეხბურთელი | კლუბი | გოლი | გამ. შანს. |
|---|---|---|---|
| 1. გრაფიტე | ვოლფსბურგი | 28 | 42.4 |
| 2. ვედად იბიშევიჩი | ჰოფენჰაიმი | 18 | 40 |
| 3. რაული | რეალი | 18 | 33.3 |
| 4. ნიკოლა ჟიგიჩი | რასინგი | 13 | 31.7 |
| 5. ჯამპაოლო პაცინი | სამპდორია | 11 | 31.4 |
| 6. ხოსება ლორენტე | ვილიარეალი | 15 | 31.3 |
| 7. მარუან შამახი | ბორდო | 13 | 31 |
| 8. რობერტ აკვაფრესკა | კალიარი | 14 | 30.4 |
| 9. ვალტერ პანდიანი | ოსასუნა | 11 | 28.2 |
| 10. დიეგო ფორლანი | ატლეტიკო | 32 | 27.8 |

მეორე რეიტინგში კი შედეგები მოცემულია იმის მიხედვით, თუ საშუალოდ რამდენი წუთი სჭირდებოდათ თავდამსხმელებს გოლის გასატანად. პირველი აქაც გრაფიტეა, რის გამოც უნდა ვთქვათ, რომ შეიძლება, „ოქროს ბუცი" ამ უკანასკნელს უფრო ეკუთვნოდა, ვიდრე ფორლანს. მეორე ადგილზე კი ისევ იბიშევიჩია. აღსანიშნავია, რომ გერმანიის ჩემპიონ „ვოლფსბურგის" მეორე თავდამსხმელმა ჯეკომ ბუნდესლიგის მეორე წრეში 21 გოლის გატანა მოახერხა. ბუნდესლიგის მეორე წრეში მასზე მეტი გოლი 1971/72 წლების სეზონში გერდ მიულერმა შეაგდო - 23.

| ფეხბურთელი | კლუბი | გოლი | წუთი/გოლი |
|---|---|---|---|
| 1. გრაფიტე | ვოლფსბურგი | 28 | 75 |
| 2. ვედად იბიშევიჩი | ჰოფენჰაიმი | 18 | 81 |
| 3. დიეგო ფორლანი | ატლეტიკო | 32 | 88 |
| 4. სამუელ ეტოო | ბარსელონა | 30 | 98 |
| 5. ედინ ჯეკო | ვოლფსბურგი | 26 | 101 |
| 6. დავიდ ვილია | ვალენსია | 28 | 103 |
| 7. ფილიპო ინძაგი | მილანი | 13 | 109 |
| 8. ლეო მესი | ბარსელონა | 23 | 109 |
| 9. ტიერი ანრი | ბარსელონა | 19 | 112 |
| 10. ანტონიო დი ნატალე | უდინეზე | 12 | 112 |

**გოტფრიდ ლენცი**



რაული




ჯანპაოლო პაცინი




ვედად იბიშევიჩი

მილანი

# როსონერის კასანო მოუნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პირლო, პატო და ზეედორფი რჩებიან

ბოლო დროს, მასმედია „მილანზე" სერიოზულ ზეწოლას ახორციელებს. ჟურნალისტები მუდმივად იმაზე წერენ, თუ რომელი მილანელი მიყვება **კაკას** კვალს და სავსაყუდელს გამოიცვლის. ყველაზე ხშირად **ალეშანდრე პატოზე, კლარენს ზეედორფსა** და **ანდრეა პირლოზე** საუბრობენ. ორიოდე დღის წინ, ანალოგიური ცნობა გავრცელდა **ჯენარო გატუზოს** თაობაზეც. რინოსაც, პირლოს და ზეედორფის მსგავსად, ლონდონის „ჩელსიში" უწინასწარმეტყველებენ გადასვლას. თუმცა, როგორც ჩანს, წამყვან ფეხბურთელებთან გამოთხოვებას „მილანის" მესვეურები აღარ აპირებენ. გუშინ, პრესასთან საუბარში **ადრიანო გალიანიმ** შემდეგი განაცხადა:

„შემიძლია 99%-იანი ვარაუდით გითხრათ, რომ „მილანს" აღარც ერთი ვარსკვლავი აღარ დატოვებს. ჩვენ კაკას გაყიდვის სურვილიც არ გვქონდა, მაგრამ იძულებულნი გავხდით. პირლო, ზეედორფი და გატუზო გუნდის ხერხემალს წარმოადგენენ და მათთან განშორებას ნამდვილად არ ვაპირებთ. ალარაფერს ვამბობ პატოზე, ფეხბურთელზე, რომლის გარშემოც მომავლის „მილანი" უნდა აეწყოს. ალეშანდრე გუნდში რჩება და ამაში ორი აზრი არ არსებობს".

„მილანში" დარჩენის შესახებ განაცხადა კლარენს ზეედორფმაც. პრესასთან საუბარში ჰოლანდიელმა მისი ლონდონში შესაძლო გადასვლა კატეგორიულად უარყო: „კარლო ანჩელოტისთან მუშაობა დიდი ბედნიერებაა და მისი ინტერესი ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ „მილანიდან" წასვლას ნამდვილად არ ვაპირებ. იმ ასაკში აღარ ვარ, წინ და უკან ვიარო. ფეხბურთის თამაშს კიდევ სამი წელი ვაპირებ და მსურს, კარიერა „როსონერიში" დავასრულო. აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობ და გარემოს გამოცვლის სურვილი არ მაქვს. ლეონარდოსთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა და მასთან მუშაობის პრობლემას ვერ ვხედავ".

„გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტი, გუშინ **დევიდ ბექჰემს** შეეხმიანა და ჰკითხა, თუ რას აპირებს ინგლისელი, სად გააგრძელებს კარიერას:

„ივლისში ამერიკაში მიწევს დაბრუნება, სადაც „გალაქსის" უნდა შევუერთდე. ლოს ანჯელესში დეკემბრამდე ვითამაშებ და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდება, თუ სად გავაგრძელებ კარიერას. შესაძლოა „მილანში" დავბრუნდე, შეიძლება ამერიკაში დავრჩე. „როსონერიში" დაბრუნების სურვილი ნამდვილად მაქვს და ასეც ვაპირებდი, მაგრამ დღეს რაიმეს გადაჭრით თქმა მაინც გამიჭირდება. გუნდში ბევრი რამე იცვლება, შეიცვალა მთავარი მწვრთნელი და ჯერ ისიც არ ვიცი, რა დამოკიდებულება აქვს ჩემ მიმართ ლეონარდოს. ვცდილობ, ამ თემებზე არ ვიფიქრო, რადგან წინ რამდენიმეკვირიანი შვებულება მაქვს - ცოტა ხნით, ფეხბურთზე საუბარიც კი აღარ მსურს".




ანტონიო კასანო

ამასობაში, პრესა „მილანთან" დაკავშირებულ ძალიან საინტერესო შესაძლო ტრანსფერზე ალაპარაკდა. საუბარია, „როსონერის" მხრიდან **ანტონიო კასანოს** მიმართ დაინტერესებაზე. ფაქტია, რომ კაკას წასვლის შემდეგ, „მილანის" შეტევის ხაზი გაძლიერებას საჭიროებს და კლუბის მესვეურებიც ახალ შემტევს ეძებენ. კასანო არაერთი გრანდის თვალთახედვის არეშია, თუმცა აქამდე საქმე უბრალო დაინტერესებას არ გასცდენია. გენუური კლუბის მესვეურებს კარგად ესმით, რომ წამყვან ფეხბურთელს დიდხანს ვერ შეინარჩუნებენ და მის სარფიანად გაყიდვაზე წესით უარი არ უნდა თქვან. „მილანს" კი ფინანსების პრობლემა არ აქვს, უფრო სწორად აღარ აქვს, მას შემდეგ, რაც კაკა 67.2 მილიონ ევროდ გაასხვისა. ასე რომ, თუ მილანელებს მართლაც აქვთ ანტონიოს გადაბირების სურვილი, გარიგების ალბათობა საკმაოდ დიდია.

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# კვლავ ხოტენაშვილი დაწინაურდა



ბელა ხოტენაშვილი

**მაია ჩიბურდანიძის** თასის გათამაშებაზე გუშინ მე-7 ტურის პარტიები გათამაშდა. დიდ ინტერესს იწვევდა საქართველოს ნაკრების წევრ **ნანა ძაგნიძისა** და **ბელა ხოტენაშვილის** შეხვედრა. ხოტენაშვილმა გაიმარჯვა და 6 ქულით კვლავ ერთპიროვნულად ჩაუდგა გათამაშებას სათავეში. ლიდერს თითო ქულით ერთდროულად 8 მოჭადრაკე ჩამორჩება. მათ შორის არიან უკრაინელი დები - **ანა** (იგი სლოვენიის სპორტულ ღირსებას იცავს) და **მარია მუზიჩუკები**, რომლებიც გუშინ ერთმანეთს დაუზავდნენ. ასევე მშვიდობიანად დამთავრდა **ნინო ხურციძისა** და **მაკა ფურცელაძის, ნინო ბაციაშვილისა** და **ინგა ჭარხალაშვილის** პარტიები. **ლელა ჯავახიშვილმა ქეთი წაწალაშვილს** სძლია, ხოლო **ლილიტ გალოიანმა - ალა ვახანიას, სალომე მელიამ ანა გავაშელს** მოუგო.

დღეს მე-8 ტურში ერთმანეთს ხვდებიან: **მელია (5)-ხოტენაშვილი (6), ძაგნიძე (5) - ხურციძე (5), ა. მუზიჩუკი (5) - გალოიანი (5), მ. მუზიჩუკი (5) - ჯავახიშვილი (5), ფურცელაძე (5) - ბაციაშვილი (4.5).**

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

ფიგურული ციგურაობა

# ელენე ტოკიოს საგზურისთვის...



ელენე გედევანიშვილი

**სრიალის** საერთაშორისო კავშირმა (ISU) მოციგურავეთა 2009-2010 წლების გრან-პრის ყველა ეტაპი დაგეგმა და სპორტსმენებიც გადაანაწილა, ვინ სად იასპარეზებს. შეგახსენებთ, რომ გრან-პრი სულ 6 ეტაპისგან შედგება, თითოეულ ტოპმოციგურავეს მხოლოდ 2 ეტაპზე შეუძლია მონაწილეობის მიღება. შემდეგ დაითვლება ჯამი ქულებისა და გრან-პრის ფინალურ ტურნირში მონაწილეობას სეზონის განმავლობაში საუკეთესოები მიიღებენ. **ელენე გედევანიშვილს** გრან-პრის ორ ეტაპზე, პარიზსა (საფრანგეთი) და ლეიკ პლესიდში (აშშ) ერგო მონაწილეობა. პარიზის გრან-პრი სეზონის პირველი ეტაპია, შეჯიბრება 15-18 ოქტომბერს გაიმართება. ლეიკ პლესიდში ცნობილი ტურნირი „სქეით ამერიკა" 12-15 ნოემბერს ჩატარდება (რომელიც გრან-პრის მე-5 ეტაპია). ფინალური გრან-პრი 3-6 დეკემბერს ტოკიოში გაიმართება.

19 წლის ქართველი მოციგურავე მსოფლიოს რეიტინგში 1721 ქულით მე-15 ადგილზეა. კლასიფიკაციას კი იტალიელი **კაროლინა კოსტნერი** (3861 ქულა) ლიდერობს, მეორეზე კორეელი **იუნა კიმია** (3840), მესამეზე - იაპონელი **მაო ასადა** (3699). შეგახსენებთ, რომ წლევანდელი სეზონის ბოლოს ელენემ მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელიც ლოს-ანჯელესში გაიმართა, 162,48 ქულით მე-10 ადგილი დაიკავა. ერთიც და მეორეც (ქულები და ადგილი) მისი კარიერის საუკეთესო მიღწევაა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

უნივერსიადა 2009

# ჭავჭავაძელებს ვაშა!

**გუშინ**, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში საზეიმოდ დაიხურა საქართველოს „უნივერსიადა 2009". შეჯიბრებები ჩატარდა სპორტის 11 სახეობაში 24 უმაღლესი სასწავლებლის სპორტსმენთა მონაწილეობით. დაჯილდოვდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები. პირველობა და მთავარი პრიზი წილად ხვდა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მეორე ადგილზე თსუ გავიდა, მესამეზე — აგრარული უნივერსიტეტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



რაგბი

ჩერჩილის თასი

# ბორჯღალოსნებს გზა ამერიკაზე გადის

**ამერიკის** შეერთებული შტატების ქალაქ დენვერში მიმდინარე ჩერჩილის თასის გათამაშებაში მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა. საქართველოს ნაკრები, რომელიც A ჯგუფში ასპარეზობს, ამჯერად ისვენებდა.

სამაგიეროდ, საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა ბორჯღალოსანთა მეტოქეების კანადისა და ირლანდიის A ნაკრებების დაპირისპირება. შეხვედრა, რომელიც უშელავათო, ნამდვილ ბრძოლაში წარიმართა, ირლანდიელთა გამარჯვებით დასრულდა - 30:19.

ამრიგად, ჯგუფურ ეტაპზე ბოლო თამაშის წინ, რომელსაც საქართველოს ნაკრები სწორედ ირლანდიის A ნაკრებთან გამართავს, გათამაშებას „სამყურები" ლიდერობენ.

მეორე შეხვედრა შედგა B ჯგუფშიც. არგენტინის A ნაკრებმა მასპინძელთა ეროვნული გუნდი დაამარცხა - 35:14. ეს შედეგი გვაფიქრებინებს, რომ მესამე შეხვედრაში ჩვენი ნაკრების მეტოქეები, სავარაუდოდ, სწორედ ამერიკელები იქნებიან.

**A ჯგუფი**

საქართველო-კანადა 10:42, ირლანდია A-კანადა 30:19

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ირლანდია A - 5 ქულა, 2. კანადა - 5, 3. საქართველო - 0

**B ჯგუფი**

ინგლისი A-არგენტინა A 28:20, არგენტინა A-აშშ 35:14

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ინგლისი A - 4 ქულა, 2. არგენტინა A - 4, 3. აშშ - 0.

**14 ივნისი**

**საქართველო-ირლანდია A**
**ინგლისი A-აშშ**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ქალთა რაგბი. ინტერვიუ ზურაბ ამონაშვილთან

# ელიტამდე ერთი ნაბიჯი გვაშორებს



**ქალთა რაგბი საქართველოში დიდი ხანი არაა, რაც კულტივირებს. სერიოზულ საერთაშორისო ტურნირებში ჩვენი ქალები მეორე წელიწადია ასპარეზობენ. მანამდე კი მეზობელ აზერბაიჯანელებთან მართავდნენ ტესტებს. ევროპის ჩემპიონატის B ჯგუფის გათამაშებაში, რომელიც ახლახან ბოსნიაში ჩატარდა, საქართველოს ნაკრებმა მეექვსე ადგილი დაიკავა. დამაკმაყოფილებელია თუ არა ეს შედეგი და რა გეგმები აქვთ სამომავლოდ ჩვენს ქალ მორაგბეებს, გუნდის მწვრთნელს, ზურაბ ამონაშვილს დავეკითხეთ.**

- შარშანდელ შეჯიბრებაში ნაჩვენებ შედეგთან შედარებით ბოსნიაში მიღწეული მეექვსე ადგილი ნამდვილად დამაკმაყოფილებელია. მაგრამ მთლიანობაში ამ მაჩვენებლით არ ვარ კმაყოფილი. მეტის მიღწევა შეგვეძლო. სამწუხაროდ, გოგონებმა გვიან ირწმუნეს თავიანთი ძალა. ყველა თამაშს ვიგებდით და ყველა მატჩის ბოლო წამებზე წავაგეთ. ფიზიკურად ვერ ვუძლებდით. არადა, ფინალში შეგვეძლო თამაში.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, გუნდისთვის ეს შეჯიბრება წლეულს პირველი ტურნირია. გამოდის, რომ ბოსნიაში სათამაშო პრაქტიკის გარეშე წახვედით.**

- სამწუხაროდ ასეა. ეს ტურნირი იყო ჩვენი გუნდისთვის ვარჯიშიც, თამაშიც და საწვრთნელი შეკრებაც. მთელი გუნდიდან მხოლოდ სამ მოთამაშე იყო ისეთი, ვინც შარშან ანალოგიურ ტურნირზე ითამაშა და გარკვეული გამოცდილება დაუგროვდა. სხვა დანარჩენი დებიუტანტები არიან. ამ მომზადებით და ასეთი გამოცდილებით, რაც ჩვენ გაგვაჩნდა, მართლაც კარგი შედეგი ვაჩვენეთ.

პოლონეთს, რომელიც ფინალში გავიდა, ვუგებდით და მხოლოდ მატჩის მიწურულს გაგვიტანეს ლელო. შედეგად სამი ქულით დავმარცხდით. შეგვეძლო დანიასთან მოგებაც, მაგრამ რადგან პირველმა თამაშმა მათთან მოგვიწია, ფსიქოლოგიურ წნეხს ვერ გავუძელით.

**- რა პერსპექტივა აქვს ამ გუნდს. მოთამაშეთაგან ვინმეს თუ გამოარჩევდით?**

- პერსპექტივა ძალიან კარგი აქვს. ყველა, ვისაც ჩვენი გუნდის შარშანდელი თამაშები ჰქონდა ნანახი, ერთხმად აღნიშნავდა, რომ პროგრესი აშკარაა, ბევრად წინ ვართ წასულები. ეს ყველაფერი კი კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, მხოლოდ ვარჯიშის ხარჯზეა მიღწეული. მაშინ, როცა გუნდს შეთამაშებისთვის, რაც შეიძლება მეტ ტურნირში ასპარეზობა ესაჭიროება.

გუნდიდან მინდა ორი მოთამაშე განსაკუთრებით გამოვყო, თუმცა არც დანარჩენებს მინდა დავწყვიტო გული. მათ თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმუმი გაიღეს. თამამად, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ ტურნირის საუკეთესო მოთამაშე ანა პოლოსიანი იყო. ძალიან გამაკვირვა ბელა გოქსაძემ, რომელიც ანასაგან განსხვავებით გამოუცდელია.

**- თუ იგეგმება წლეულს კიდევ რაიმე შეჯიბრებაში მონაწილეობა?**

- თუ გვინდა რომ გუნდი შევინარჩუნოთ, ეს უბრალოდ აუცილებელია. წლეულს დუბაიში იმართება კიდევ ერთი დიდი ტურნირი, სადაც, ვფიქრობ, ძალიან სასარგებლო გამოცდილებას მივიღებთ. გარწმუნებთ, ჩვენი გუნდის ამ შემადგენლობას კიდევ ორი სერიოზული ძალის მოთამაშე რომ დაემატოს, სულ ადვილადაა შესაძლებელი ელიტაში შესვლა. ჩვენგან ისინი არც ისე შორს არიან წასულნი.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ლეგიონერები

# მაგრაქველიძის ტარბს კრიზისი შეეყარა

**ქართველი** მორაგბის, შერკინების პირველხაზელის **მამუკა მაგრაქველიძის** „ტარბს" ფინანსური პრობლემა შეექმნა. საფრანგეთის რაგბის პროფესიული ლიგის სპეციალურმა ფინანსურმა კომისიამ კლუბს 600 ათასი ევროს დანაკლისი აღმოუჩინა.

„ტარბის" ხელმძღვანელებმა გარღვევა ბიუჯეტში 22 ივნისამდე უნდა დაფარონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტარბელებს ელიტური მეორე დივიზიონიდან რანგით დაბალ, ფედერალ 1-ელი დივიზიონში დააქვეითებენ. მის ადგილს კი, სავარაუდოდ, მეორე დივიზიონიდან გავარდნილი, კიდევ ერთი ქართველის **ლაშა მალაღურაძის** „ბეზიე" დაიკავებს.

შეგახსენებთ, რომ „ტარბი" ახლახან დასრულებულ სეზონში პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძოდა და საბოლოოდ მე-7 ადგილს დასჯერდა.

**ბესიკ ჯანგავაძე**



ბურთით მამუკა მაგრაქველიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# კიდევ ერთი ქართველი აღიარეს: მეტრეველი იტალიის ახალგაზრდული ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში



პარმაში დასრულდა 19-წლამდელთა იტალიის ჩემპიონატი. მასში **ნიკა მეტრეველის** "მონტეპასკიც" მონაწილეობდა და ტურნირი ვერცხლის მედლით დაასრულა. თუმცა, ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში ქართველი ფორვარდი მოხვდა. ნაკრები ასე დაკომპლექტდა: **ალესანდრო ჯენტილე** (ბენეტონი), **დევიდე პასკოლო** (უდინე), **კლაუდიო ტომასინი** (ბოლონია), ნიკა მეტრეველი (მონტეპასკი) და **იაკუბ ვოიცეხოვსკი** (ბენეტონი).

როგორც ხედავთ, ნიკა სიმბოლურში მძიმე ფორვარდის პოზიციაზე გაამწესეს. იგი "მონტეპასკიში" სწორედ მეოთხე ნომერია, ხშირად პერიმეტრზეც ადის და ზოგჯერ ცენტრის ფუნქციებსაც ასრულებს. ასე რომ, მეტრეველის გამოყენება საქართველოს ნაკრებშიც რამდენიმე პოზიციაზე შეიძლება...

დავუბრუნდეთ იტალიის ახალგაზრდულ ჩემპიონატს. ტურნირი შემოდგომით დაიწყო. ჯერ რეგიონის გუნდებმა გამოარკვიეს საუკეთესოთა ვინაობა, შემდეგ ფინალური ტურნირის შესარჩევი მატჩები გაიმართა, ბოლოს კი ერთმანეთს საუკეთესო ოთხეული დაუპირისპირდა. ნახევარფინალში "მონტეპასკის" მეტოქე უდინეს "სნაიდერო" იყო, რომელმაც ნიკას გუნდს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია.

პირველი ტაიმის შემდეგ სიენელები 41:24-ს იგებდნენ, თუმცა მესამე პერიოდში უდინელებმა თამაში გამოასწორეს და ბოლო რაუნდის წინ 56:54 დაწინაურდნენ.

მეოთხე ათწუთეულში მეტრეველის თანაგუნდელებმა ბოლო წამებზე სამქულიანი უპირატესობა მოიპოვეს და 73:70 გაიმარჯვეს.

ნიკამ 7-დან 4 ორქულიანი ჩააგდო და მატჩი 8 ქულით დაასრულა. შეხვედრის ბომბარდირი უდინელი პასკოლო გახდა – 20 ქულა.

"მონტეპასკის" ფინალში "ბენეტონი" დაუპირისპირდა. მატჩის საწყისი სამი მეოთხედი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. მეოთხე პერიოდის წინ ტრევიზოელები ხუთი ქულის სხვაობით იგებდნენ (59:54). მათ ბოლო ათწუთეულში უპირატესობა კიდევ უფრო განავრცეს, 81:70 იმარჯვეს და შარშანდელი ჩემპიონი "მონტეპასკი" ვერცხლს დააჯერეს.

ამ შეხვედრაში მეტრეველმა ნახევარფინალთან შედარებით ორჯერ მეტი ჩააგდო – 16 ქულა, თუმცა მატჩის ბომბარდირი მაინც ვერ გახდა. ეს პატივი ბენეტონელ ჯენტილეს ერგო. მის ანგარიშზე 33 ქულაა.

მართალია, საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები უახლოეს დღეებში შეიკრიბება, მაგრამ მეტრეველი ისევ საკლუბო საქმეებითაა დაკავებული. ის ხომ "მონტეპასკისთან" ერთად სერია-A-შიც თამაშობს. სადღეისოდ სიენელები იტალიის ჩემპიონატის ფინალში "მილანთან" არკვევენ ურთიერთობებს. სერიას "მონტეპასკი" იგებს – 1:0. მეორე მატჩი დღეს გაიმართება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

1998-წლიანთა მინი-საკალათბურთო ფესტივალი



# ჩემპიონები აკადემიური სიმშვიდით

**აკადემიას დარბაზი**

**I ტური**

| აკადემია–ორბი | 36:29 |
|---|---|

15:5, 8:5, 9:19, 4:0
აკადემია: ლეონიძე (14), ზურაბაშვილი (8)
ორბი: გონჯილაშვილი (13), ლოლიშვილი (9)

| რუსთავი–ბათუმი | 13:24 |
|---|---|

4:8, 5:3, 0:5, 4:8
რუსთავი: ბოგვერაძე (5), ბეჟანიშვილი (2)
ბათუმი: აფხაზავა (8), ბაბილოძე (7)

**II ტური**

| აკადემია–ბათუმი | 48:30 |
|---|---|

2:7, 21:4, 10:1, 15:18
აკადემია: ცირეკიძე (22), აკობია (12),
ბათუმი: ბაბილოძე (14), აფხაზავა (6)

| რუსთავი–ორბი | 12:31 |
|---|---|

6:11, 0:7, 2:13, 4:0
რუსთავი: ბოგვერაძე (4), აბაიშვილი (2), გრიგოლაშვილი (2)
ორბი: ყირიმელი (11), მახარაშვილი (6), მჭედლიშვილი (5)

**III ტური**

| ბათუმი–ორბი | 23:30 |
|---|---|

4:7, 4:4, 7:8, 8:11
ბათუმი: აფხაზავა (13), ბაბილოძე (8), თურმანიძე (2)
ორბი: ყირიმელი (9), ლოლიშვილი (8), მჭედლიშვილი (5)

| რუსთავი–აკადემია | 7:33 |
|---|---|

0:6, 3:14, 2:6 2:7
რუსთავი: ლვედაშვილი (3), ბაქრაძე (2), პატაშური (2)
აკადემია: ცირეკიძე (9), აკობია (8), ლეონიძე (7)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. აკადემია | 3 | 3 | 0 | 6 |
| 2. ორბი | 3 | 2 | 1 | 5 |
| 3. ბათუმი | 3 | 1 | 2 | 4 |
| 4. რუსთავი | 3 | 0 | 3 | 3 |

"აკადემიას" დარბაზში 1997 წელს დაბადებულთა ფესტივალის დასრულების შემდეგ დაიწყო 1998-წლიანთა ანალოგიური შეჯიბრება. ამ ტურნირში ოთხი გუნდი მონაწილეობდა: "აკადემია", "ორბი", "რუსთავი" და "ბათუმი". ისინი ჩემპიონის ვინაობას ჯგუფური სისტემით არკვევდნენ. ანუ, სამი ტურის შემდეგ ვინც სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცეოდა, ჩემპიონადაც ის გამოცხადდებოდა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საჩემპიონო მატჩი პირველ ტურში შედგა. ერთმანეთს **გია კაზანჯიანის** "აკადემია" და **ზვიად დიდბარიძის** "ორბი" დაუპირისპირდა. შარშანდელმა ჩემპიონმა "ორბმა" პირველ ტაიმში მეტოქეს ვერაფერი მოუხერხა, 10:23 ჩამორჩნენ. ისინი მესამე პერიოდში კი გაყოჩაღდნენ (19:9), მაგრამ მეოთხე ათწუთეულში ქულა ველარ ჩააგდეს და გამარჯვება "აკადემიას" დაუთმეს – 36:29.

აკადემიკოსებმა ჩემპიონობა მეორე ტურში გაინაღდეს. მათ ბათუმელები დაამარცხეს და მეტოქეთათვის მიუწვდომელნი შეიქნენ.

მესამე ტურს ვერცხლის მედლის მფლობელის ვინაობა უნდა გამოერკვია. ვერცხლის მატჩში ერთმანეთს დაეჭიდნენ "ორბი" და "ბათუმი". შარშანდელმა ჩემპიონებმა ზღვისპირელებს დაძაბულ ბრძოლაში 30:23 აჯობეს და ადგილები ასე გადანაწილდა: "აკადემია", "ორბი", "ბათუმი", "რუსთავი".

ტურნირის პარალელურად გაიმართა ესტაფეტა სისწრაფეში, დრიბლინგსა და ბურთის სროლაში. ეს შეჯიბრება "ორბმა" მოიგო. ფესტივალის ყველა მონაწილეს საკალათბურთო ბურთები, სიგელები და საჩუქრებიც გადაეცა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები

# ჭაბუკები ისრაელით იწყებენ

10 ივნისს, კალათბურთის აკადემიის დარბაზში შეიკრიბა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები. იგი B დივიზიონის მატჩებისთვის მოემზადება.

საკვალიფიკაციო ტურნირი 23 ივლისიდან 2 აგვისტომდე ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში გაიმართება. 18-წლამდელებს რუმინეთის, ჰოლანდიის, შოტლანდიისა და მონტენეგროს ნაკრებებთან მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა.

დივიზიონში 21 გუნდია, რომლებიც 4 ჯგუფში არიან განაწილებულნი. მათგან ზედა ეშელონში მხოლოდ ორი აინაცვლებს. შეგახსენებთ, რაც ევროპის კალათბურთი დივიზიონებად გაიყო, ქართველ ჭაბუკებს ელიტაში არ უთამაშიათ (განსხვავებით ახალგაზრდებისა და კადეტებისგან).

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების შეკრებაზე 16 კალათბურთელი გამოცხადდა:

უკანა ხაზი: **გივი ბაქრაძე, გიორგი ტეტელაშვილი, გიორგი გლოველი, ტარიელ თავართქილაძე, ბექა ჩიკვილაძე.**

ფორვარდები: **დავით იოსელიანი, აკაკი ლომოური, მერაბ ბოქოლიშვილი, ნოდარ თენიეშვილი, დუდა სანაძე, ბექა ჭიჭვეიშვილი.**

ცენტრები: **ლევან სულაბერიძე, ბექა ბექაური, დავით ალხანაიძე, გოგა ჯავახიშვილი, აკაკი დვალიშვილი.**

ამ თექვსმეტეულში არ არის გასულ შესარჩევზე საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი **თორნიკე შენგელია.** მან ახლახან დაასრულა ტრევიზოს კემპი. თუმცა, რომც ეცალოს, მისი ჭაბუკთა ნაკრებში თამაში მაინც საეჭვოა. აი, რას ამბობს ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **მიხეილ კობეშავიძე:**

*- შენგელიას ჭაბუკთა ნაკრებში თამაში ჯერ კითხვის ნიშნის ქვეშაა. როგორც ვიცი, მას ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი იგორ კოკოშკოვი თავისი გუნდისთვის ამზადებს. ჯერ გადაწყვეტილი არ არის, დაგვეხმარება თუ არა შენგელია, თუმცა ფაქტი ისაა, რომ ვარჯიში მის გარეშე დავიწყეთ. შენგელია თუ არ გვეყოლება, ევროპის ჩემპიონატზე ძალიან გაგვიჭირდება. ჯგუფიდან გასვლის შანსები მინიმუმამდე დადის.*

სასურველია, მოსამზადებელ ციკლში ერთ-ორ ტურნირზე თამაში, მაგრამ ქართული რეალობიდან გამომდინარე, ჭაბუკთა ნაკრებს ოფიციალურ შეხვედრებამდე მხოლოდ 3 თამაშის გამართვა მოუწევს. ჩვენები ისრაელში ჩავლენ და სამ საკონტროლო მატჩს გამართავენ.

*- ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად ისრაელის ნაკრებთან შეხვედრები ძალიან წაგვადგება. ისრაელში წასვლამდე, თბილისში მოვემზადებით, ოპტიმალურ შემადგენლობას შევარჩევთ და ფიზიკურად მოვძლიერდებით. საწყის 10 დღეს მძლეოსნობას დავუთმობთ, შემდეგ უშუალოდ ტაქტიკაზე გადავალთ და ისრაელში წასვლის დროც მოვა, სადაც 14 მოთამაშით გავემგზავრებით. დაბრუნების შემდეგ მზადებას თბილისში განვაგრძობთ. ევროპის ჩემპიონატისთვის კი 12 კალათბურთელს შევარჩევთ.*

**ვაჟა სიმონიშვილი**



მიხეილ კობეშავიძე

ჩოგბურთი

# ჩახნაშვილი იგებს და იგებს



მაკა ჩახნაშვილი

**მაკა ჩახნაშვილი** (253) იტალიური კამპობასოს საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი $) მე-5 ნომრადაა განთესილი. ჩვენებურმა პირველი წრე უკვე გადალახა, მან იტალიელი **ვალენტინა სულპიციო** (463) იოლად დაამარცხა - 6:1, 6:4. მერვედფინალში მაკას მეტოქედ ფრანგი **სტეფანი ვონგსუტი** (269) ერგო, რომელთანაც შარშან ორ სეტში წააგო ორთაბრძოლა. ჩვენი თანამემამულე წყვილთა თანრიგშიც კარგად გამოდის, მისი და სერბი **ანა იოვანოვიჩის** (236) დუეტი, რომელიც მე-4 ნომრადაა განთესილი, უკვე ნახევარფინალშია. მეოთხედფინალში მათ იტალიელებს (**ფედერიკა დი სარა** (411), **ნატალი ვიერინი** (259) მოუგეს - 6:3, 6:1. მაკას ნახევარფინალშიც იტალიელებთან მოუწევს თამაში, მე-2 ნომრად განთესილებთან, ვალენტინა სულპიციოსა და **ანა ფლორისის** (240) წყვილთან.

14 წლის უზბეკმა ჩოგბურთელმა **საბინა შარიპოვამ,** ამას წინათ, **სოფიო შაფათავა** (270) ნამანგანის ტურნირში დაამარცხა, ახლა კი უზბეკეთის კიდევ ერთ ქალაქში მიმდინარე შეჯიბრებაში, ქარშიში მერვედფინალში მოუგო მე-7 ნომრად განთესილ **ოქსანა კალაშნიკოვას** (290) - 6:2, 7:5. ოქსანამ თავისზე 4 წლით უმცროს შარიპოვაზე შური წყვილთა თანრიგში იძია, სადაც მან და უკრაინელმა **კრისტინა ანტონიჩუკმა** (229) შარიპოვასა და **დიანა ნარზიკულოვას** გუნდს სძლიეს - 6:1, 7:5. ამით ოქსანა წყვილთა ბადის ნახევარფინალში გავიდა. ნახევარფინალშია სოფიო შაფათავასა და რუსი **ელენა კულიკოვას** (343) დუეტიც. მათ უკრაინელები (**ტატიანა არეფიევა** (352), **ანასტასია ლიტოვჩენკო**) დაამარცხეს - 6:1, 6:0.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფორმულა 1

# ექლსტოუნის გაფრთხილება



ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** მუქარის შეტყობინება გაუგზავნა „სამეფო რბოლების" მეამბოხე გუნდებს, რომლებიც მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატში მონაწილეობას არ აპირებენ და ალტერნატიული სერიის შექმნა აქვთ განზრახული. ექლსტოუნი იმუქრება, რომ ახალი ჩემპიონატის ჩამოყალიბების შემთხვევაში, ის სასამართლოს მიმართავს და რამდენიმე ასეულ მილიონ ფუნტს მოიგებს. გარდა ამისა, ბერნი დარწმუნებულია, რომ გუნდები ვერ შეძლებენ საკუთარი სერიის ორგანიზებას.

*„თუ ისინი შეეცდებიან საკუთარი სერიის შექმნას - მე კი დარწმუნებული ვარ, რომ არაფერი გამოუვათ - მათ დიდი პრობლემები შეექმნებათ. ჯერ ერთი, გუნდებს 2012 წლამდე აქვთ გაფორმებული ჩემპიონატში მონაწილეობის კონტრაქტები. გარდა ამისა, თუ ვინმე შეეცდება იმ კომპანიებთან და ტელეარხებთან დაკავშირებას, რომლებსაც ჩვენთან ხელშეკრულებები აქვთ დადებული, ეს ყველაფერი სერიოზულ გართულებებს გამოიწვევს. საქმე გვექნება მოქმედი კონტრაქტების დარღვევასთან და ამაში მთელი პასუხისმგებლობა გუნდებს დაეკისრებათ. ასე რომ, გულხელდაკრეფილი ჯდომას არ ვაპირებ. ეს ყველაფერი ასობით მილიონი ფუნტი ღირს.*

*დარწმუნებული არ ვარ, რომ ისეთი კომპანიების დირექტორთა საბჭოები, როგორებიც არიან „ტოიოტა" და BMW, მოიწონებენ ახალი სერიის შექმნის იდეას. ახალი ჩემპიონატის ორგანიზებას ძალიან დიდი ფული სჭირდება, ეს კომპანიები კი დღეს ავტოსპორტში ხარჯების შემცირებას ცდილობენ.*

*დღეს ჩვენ გუნდებისთვის უფასოდ უზრუნველვყოფთ რბოლების ჩატარების ადგილს. ისინი აქ ჩამოდიან თავიანთი სპონსორული ლოგოებით და უდიდესი სატელევიზიო აუდიტორიის წინაშე ეჯიბრებიან ერთმანეთს. ეს ყველაფერი კი ჩვენი კონტრაქტებით არის გამყარებული.*

*შემდეგ ფული გუნდებს ურიგდებათ და ისინი მოგებას განვითარებისთვის ხარჯავენ. ახალი სერიის დროს კი ყველაფერი სხვანაირად იქნება: მათ თავად მოუწევთ გრან-პრის ჩასატარებელი ადგილის მოძებნა, საკუთარი ხალხის დაქირავება, სატელევიზიო კონტრაქტებზე ზრუნვა... არადა, ამ მხრივ საუკეთესოებთან ჩვენ უკვე გვაკავშირებს ხელშეკრულებები.*

*რაც შეეხება პილოტებს, მათ FIA-ს მიერ ორგანიზებული მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება უნდათ, თუმცა ზოგიერთები შეიძლება სხვაგან წავიდნენ, მეტი ფული მიიღონ, მაგრამ ნაკლებად პრესტიჟული ტიტული მოიპოვონ. არ მგონია, რომ მათ გამოუვიდეთ ახალი სერიის შექმნა*", - ამბობს ექლსტოუნი Daily Express-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

# რენო ფორმულას დატოვებს

ფორმულა 1-ის ფრანგული საჯინიბო „რენო" „სამეფო რბოლების" დასატოვებლად ნიადაგს ამზადებს. როგორც გერმანული პრესა ირწმუნება, ფრანგები მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ სერიას 2009 წლის ბოლოს დაემშვიდობებიან. ბოლო ინფორმაციით, „რენოს" სპორტული განყოფილების ხელმძღვანელობამ შეტყობინება გაუგზავნა თავის მომწოდებლებს იმის თაობაზე, რომ საჯინიბო, სავარაუდოდ, მონაწილეობას არ მიიღებს 2010 წლის ჩემპიონატში.

*„დიდი, ალბათობა იმისა, რომ 2010 წელს „რენო" ფორმულა 1-ში არ იქნება. ტექნიკურ და სპორტულ რეგლამენტში მასშტაბური ცვლილებების გამო, „რენო სპორტი" ვერ ხედავს ფორმულა 1-ში თავის მომავალ ადგილს, ამიტომაც, შესაძლოა, გაისად სეზონმა ჩვენი გუნდის გარეშე ჩაიაროს*", - წერია „რენოს" განცხადებაში.

ასეთი ხმები ადრეც ვრცელდებოდა და მაშინ ექსპერტებმა გამოთქვეს ვარაუდი იმის შესახებ, რომ განმეორდება „ჰონდასთან" დაკავშირებული ისტორია, როცა იაპონურმა საჯინიბომ უარი თქვა ფორმულა 1-ში მოღვაწეობაზე, რის შემდეგაც გუნდის ტექნიკურმა დირექტორმა **როს ბრაუნმა** „ჰონდა რეისინგი" შეიძინა და „ბრაუნ გრან-პრი" ჩამოაყალიბა. „რენოს" შემთხვევაში, ფრანგული საჯინიბოს გადამრჩენლად მისი ამჟამინდელი შეფი **ფლავიო ბრიატორე** მოგვევლინება.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **სამხრეთ აფრიკა 2010** | |
| **კონკაკაფი** | |
| ჰონდურასი-სალვადორი | 1:0 |
| მექსიკა-ტრინიდადი | 2:1 |
| **იტალია** | |
| **სერია A/B. პლეი ოფი** | |
| ლივორნო-გროსეტო | 4:1 |
| ბრეშია-ემპოლი | 3:0 |
| **ბელგია** | |
| **პლეი ოფი** | |
| ანტვერპენი-ლიერსი | 1:1 |
| დენდერი-რუზელარე | 3:2 |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| კიოლდინგი-ლუნგბიუ | 1:4 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| იონჩოპინგი-მიალბიუ | 0:3 |
| **ხორვატია** | |
| **პლეი ოფი** | |
| დრაგოვოლიაცი-კროაცია | 0:0 |
| **აშშ** | |
| ჰუსტონი-ჩივასი | 1:0 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| პოლონეთი-სლოვაკეთი | 56:65 |
| საბერძნეთი-ესპანეთი | 48:67 |
| ლატვია-ჩეხეთი | 65:47 |

| გერმანია | |
|---|---|
| **პლეი ოფი** | |
| ალბა-ტელეკომი | 71:82 |
| **ესპანეთი** | |
| **პლეი ოფი** | |
| ტაუგრესი-ბარსელონა | 80:82 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ჰალე** | |
| ბეკი-ლაკო | 7:5, 7:6 |
| პეტცშნერი-ო. როხუსი | 7:5, 5:7, 2:6 |
| ჯოკოვიჩი-სერა | 5:7, 7:5, 6:1 |
| კიფერი-მელცერი | 1:6, 0:6 |
| **ATP. ლონდონი** | |
| ბლეიკი-კუერი | 6:4, 4:6, 6:3 |
| ფიში-ფ. ლოპესი | 6:1, 6:4 |
| მიურეი-გარსია ლოპესი | 6:4, 6:4 |
| ფერერო-მალისე | 6:4, 7:6 |
| კარლოვიჩი-მაუ | 6:3, 6:4 |
| როდიკი-ჰიუიტი | 7:6, 7:6 |
| იუჟნი-სიმონი | 6:1, 2:6, 6:2 |
| **WTA. ბირმინგემი** | |
| შარაპოვა-გლეტჩი | 6:3, 6:4 |
| ერანი-გორგესი | 4:6, 7:5, 5:7 |
| ვიკმაიერი-კანეპი | 6:2, 6:4 |
| ვინჩი-ოსტერლო | 6:4, 6:2 |
| პავლიუჩენკოვა-ბალტაჩა | 6:7, 6:3, 7:6 |
| სკიავონე-კორიტცევა | 6:1, 6:1 |
| ნა ლი-გროტი | 6:4, 2:6, 6:1 |
| ჟენგი-საუთი | 6:3, 6:1 |
| რიბარიკოვა-სხეპერსი | 6:7, 6:1, 6:3 |
| რეზაი-კუდრიავცევა | 7:6, 3:6, 6:2 |
| ვოგელი-კავადაი | 6:4, 6:2 |

სპორტული ოსკარები

# ბოლტი წლის სპორტსმენია



იამაიკელი სპრინტერი **უსაინ ბოლტი** სპორტის სფეროში Laureus-ის პრესტიჟული პრემიის მფლობელი გახდა. ამ ჯილდოს მეორენაირად „სპორტულ ოსკარს" უწოდებენ და ბოლტმა ის 2008 წელს ნაჩვენები შედეგების მიხედვით მოიპოვა. იამაიკელმა უკან ჩამოიტოვა „საუკეთესო მამაკაცი სპორტსმენის" ნომინაციაში წარდგენილი ათლეტები: მოცურავე **მაიკლ ფელპსი**, ჩოგბურთელი **რაფაელ ნადალი**, ფორმულა 1-ის პილოტი **ლუის ჰემილტონი**, მოტომრბოლი **ვალენტინო როსი** და ფეხბურთელი **კრისტიანო რონალდო**. ბოლტის აღიარება პეკინის ოლიმპიადაზე მისმა ბრწყინვალე გამოსვლამ განაპირობა - უსაინმა სამი ოქრო მოიპოვა - 100 და 200 მეტრ დისტანციებზე და 4x100 მეტრზე ესტაფეტაში. თანაც ამ სამივე დისციპლინაში მსოფლიოს რეკორდი დამყარდა.

*„ჩემთვის დიდი პატივია ისეთი დიდი სპორტსმენების გვერდით დგომა, როგორებიც არიან როჯერ ფედერერი, მიხაელ შუმახერი, ლენს არმსტრონგი და ტაიგერ ვუდსი*", - განაცხადა ბოლტმა. 22 წლის სპრინტერს ჯილდო Laureus-ის აკადემიის წევრებმა **მაიკლ ჯონსონმა** და **ედვინ მოზესმა** ტორონტოში გადასცეს.

მძლეოსნობის ლეგენდამ ჯონსონმა ოლიმპიადაზე ბოლტის 100 მეტრზე გარბენს სპრინტში ყველა დროის უდიადესი გამოსვლა უწოდა.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, ქალთა შორის „სპორტული ოსკარის" მფლობლად ასევე მძლეოსანი - რუსი ჭოკით მხტომელი **ელენა ისინბაევა** გამოაცხადეს.

Laureus World Sports Awards - მთავარი საერთაშორისო სპორტული ჯილდოა, რომელსაც სპორტსმენებს წლის შედეგების მიხედვით გადასცემენ. გამარჯვებულს სპეციალური სპორტული ჟიური ირჩევს, რომლის შემადგენლობაშიც აკადემიის 46 წევრი შედის.

კალათბურთი

# საკრამენტოომ მწვრთნელი იშოვა

„**საკრამენტო კინგზს**" მომავალ სეზონში ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება. მართალია, ჯერ ოფიციალურად დადასტურებული არ არის, მაგრამ უკვე გაჟონა ინფორმაციამ იმის თაობაზე, რომ „მეფეებს" სათავეში **პოლ უესტფალი** ჩაუდგება, რომელიც ადრე „ფინიქსსა" და „სიეტლს" ავარჯიშებდა.

როგორც ცნობილი გახდა, უესტფალმა „საკრამენტოსთან" ორწლიანი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა. მწვრთნელი ამ პერიოდში 3 მილიონ დოლარზე მეტს მიიღებს. ხელშეკრულება თანამშრომლობის ერთი წლით (+2 მილიონი) გახანგრძლივებასაც ითვალისწინებს.

„საკრამენტოს" სამ მწვრთნელს შორის უნდა აერჩია ახალი დამრიგებელი - „მეფეების" მწვრთნელობის კანდიდატები იყვნენ „ლეიკერსისა" და „ბოსტონის" მთავარი მწვრთნელების ასისტენტები - **კურტ ლემბისი** და **ტომ ტიბოდო**.

პოლ უესტფალის ბოლო სამუშაო ადგილი „დალასის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტის თანამდებობა იყო. ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ამ სპეციალისტის მთავარი მიღწევაა 1993 წელს „ფინიქს სანზის" ფინალში გაყვანა, სადაც უესტფალის გუნდმა „ჩიკაგო ბულზთან" წააგო.

■ ■ ■

„კლივლენდ კავალიერზის" ხელმძღვანელობა კლუბის მთავარი მწვრთნელის **მაიკ ბრაუნის** გადაყენებას აპირებს. გუნდის მენეჯმენტი უკმაყოფილოა იმით, რომ რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულმა ნახევარფინალური სერია წააგო (2:4) „ორლანდო მეჯიქთან".

შეგახსენებთ, რომ „კლივლენდმა" 66 გამარჯვებით (82 მატჩიდან) დაასრულა რეგულარული სეზონი, ხოლო მაიკ ბრაუნი წლის საუკეთესო დამრიგებლად დაასახელეს.

■ ■ ■

„მაიამი ჰიტის" ფორვარდები **ჯერმეინ ო'ნილი** და **იაკუბა დიავარა** მომავალ სეზონშიც ფლორიდულ კლუბში ითამაშებენ. ამ კალათბურთელებმა გამოიყენეს თავიანთ კონტრაქტებში არსებული პუნქტი, რომელიც მათ ხელშეკრულების ერთი წლით გახანგრძლივების საშუალებას აძლევდა. მომავალ წელს ო'ნილი დაახლოებით 23 მილიონ დოლარს მიიღებს, დიავარას ხელფასი კი 900 ათასი დოლარი იქნება.



ჯერმეინი გასული სეზონის მსვლელობისას გადავიდა „ტორონტოდან" „მაიამიში". მისი საშუალო სტატისტიკური მონაცემები 13.3 ქულასა და 6.4 მოხსნას შეადგენდა, დიავარას მონაგარი კი 3.4 ქულას უდრის.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

TV პროგრამა

**12 ივნისი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:15 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ფინეთი-რუსეთი.
09:05 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
10:10 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ინგლისი-ანდორა.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
12:30 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ბრაზილია-პარაგვაი.
14:20 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ფინეთი-რუსეთი.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:30 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
17:35 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ნუმანსია-ბარსელონა.
19:25 საფეხბურთო პროგრამა.
20:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
21:00 საფეხბურთო კლუბი.
21:55 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. იუვენტუსი-ზენიტი.
23:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:15 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
00:45 საფეხბურთო კლუბი.
01:35 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ინგლისი-ანდორა.
03:20 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბაიერნი.
05:05 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. რომა-კლუჟი.

**EUROSPORT**

10:40 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
11:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. საბერძნეთი.
11:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-ნორვეგია.
12:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-მალტა.
13:15 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). 1/2 ფინალი. ტულონი. საფრანგეთი.
14:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. IV დღე. ლონდონი. ინგლისი.
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
17:00 ველოსპორტი. Criterium du Dauphine Libere. VI ეტაპი (LIVE).
18:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
22:30 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). ფინალი. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
00:35 ავტოსპორტი. ლე მანის სერია. მიმოხილვა.
00:45 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. საბერძნეთი.
01:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-ნორვეგია.
02:15 მულტისპორტი.
02:30 სანაოსნო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მალტა.
03:00 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. საბერძნეთი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. კვალიფიკაცია. საფრანგეთი.
13:00 ახალი ამბები.
13:30 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
14:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ბირმინგემი. ინგლისი (LIVE).
15:45 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-მალტა.
16:45 კრიკეტი. World Twenty 20. სუპერ 8. ბრიტანეთი.
18:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ბირმინგემი. ინგლისი (LIVE).
19:45 ახალი ამბები.
20:00 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). მე-3 ადგილისთვის. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
21:45 ახალი ამბები.
22:00 რაგბი. მსოფლიოს ჩემპიონატი (ახალგაზრდები). არგენტინა-ურუგვაი. იაპონია.
23:00 რაგბი. ერთა თასი. ურუგვაი-რუმინეთი.
00:45 კრიკეტი. World Twenty 20. სუპერ 8. ბრიტანეთი.
02:00 ახალი ამბები.

ვარსკვლავები მოედნებს მიღმა



# ანას ახალი კაბები

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ანა ივანოვიჩმა** ჩოგბურთის გულშემატკივრებს იმ კაბების მოდელები წარუდგინა, რომლითაც ის უიმბლდონსა და ამერიკის ღია პირველობაზე ითამაშებს.

სერბმა ჩოგბურთელმა ამჯერად თეთრი და ლურჯი ფერის კაბებს მიანიჭა უპირატესობა. თეთრი, რა თქმა უნდა, უიმბლდონზე სათამაშოდ არის გაკუთვნილი, რადგან ეს ტურნირი სხვა ფერს არ ცნობს, ლურჯი კაბით კი ანა აშშ-ის ღიაზე ითამაშებს.





# რაფა ზღვაზე ისვენებს



მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** ორი დღის წინ ძალიან გაახარა თავისი გულშემატკივრები, როდესაც გამოაცხადა, რომ აუცილებლად ითამაშებს წლევანდელ უიმბლდონზე. როლან გაროსზე განცდილი ფიასკოს შემდეგ, ესპანელმა ჩოგბურთელმა გონს მოსასვლელად პლაჟზე დასვენება აირჩია. თავის შეყვარებულ **მარია ფრანსისკო პერელიოსთან** ერთად, რაფამ მზეზე ნებივრობით იჯერა გული, რის შემდეგაც აკვაბაიკზე სეირნობით გაერთო.



# ბატონის ფსონი საკუთარ თავზე



"ბრაუნ გრანპრის" ბრიტანელი პილოტი, წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერი **ჯენსონ ბატონი** მსოფლიო კრიზისის პირობებში ფულის შოვნის ათასგვარ ხერხს ეძებს.

ცნობილი გახდა, რომ ბატონმა, რომელმაც ამ სეზონში შვიდიდან ექვსი გრან-პრი მოიგო, ერთ-ერთ საბუკმეიკერო კანტორაში ჩემპიონატში საკუთარ გამარჯვებაზე 50 ათასი ევრო დადო. თუმცა ბრიტანელი პილოტი არ ამხელს, როდის გააკეთა ეს ფსონი: ბოლო ერთი თვის განმავლობაში, როცა მის ჩემპიონობაზე კოეფიციენტი ძალიან დაპატარავდა თუ სეზონის სტარტზე, როცა მის საბოლოო გამარჯვებაზე ერთ ევროში დაახლოებით 100-150 ევროს იხდიდნენ.

თუ ბატონმა ჩემპიონატში აღებული ტემპი შეინარჩუნა, ამ ფსონის მოგება არ უნდა გაუჭირდეს. ფორმულა 1-ის მორიგი ეტაპი 21 ივნისს ჯენსონის სამშობლოში გაიმართება, მანამდე კი ის თავის შეყვარებულთან **ჯესიკა მიჩიბატასთან** ერთად ისვენებს.

# ევას სადო-მაზო

"სან ანტონიო სპურსის" ფრანგი ვარსკვლავის **ტონი პარკერის** მეუღლე **ევა ლონგორია** მეტად თამამი ფოტოსესიით წარდგა თაყვანისმცემლების წინაშე. პოპულარული ტელესერიალის "სასოწარკვეთილი დიასახლისების" ვარსკვლავის ფოტოები ჟურნალ GQ-ის მექსიკურ ვერსიაში დაიბეჭდა.

ლონგორიამ ამ ფოტოსესიაში მეტად უცნაური იმიჯი აირჩია - შავ თეთრეულში გამოწყობილი და ტყავის მათრახით ხელში ის ბრწყინვალედ გამოიყურება. რაც მთავარია, ეს ფოტოსესია ძალიან მოსწონებია მის მეუღლეს.

ევამ კიდევ ერთხელ დაანახვა თავის თაყვანისმცემლებს, რომ შესანიშნავ ფორმაში იმყოფება და ძველი მომხიბვლელობა არ დაუკარგავს.

საკალათბურთო სეზონის დასრულების შემდეგ, პარკერი-ლონგორიას წყვილი სენტ-ტროპეში ისვენებდა, წინა კვირას კი პარიზში როლან გაროსის ტურნირს სტუმრობდა.



გვერდი მოამზადა **გია თვალაბეიშვილმა**

# სელეშის ახალი საყვარელი





დადასტურდა ამერიკულ პრესაში ბოლო დროს გავრცელებული ჭორი იმის შესახებ, რომ ქალთა ჩოგბურთის ყოფილი ვარსკვლავი **მონიკა სელეში** 67 წლის მილიარდერ **ტომას გოლისანოს** ხვდება.

*"დიახ, მე და მონიკას ახლო ურთიერთობა გვაქვს"*, - განუცხადა გაზეთ New York Post-ს გოლისანომ, რომელიც ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბ "ბაფალო სეიბრზის" მფლობელია.

